



განათლების, მცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Samtskhe-Javakheti State University



ახალგაზრდა მცნიერები

კლანდის პანთონი მოსკოვისთვის

YOUNG SCIENTISTS
FOR THE BETTER FUTURE OF THE PLANET

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

LEPL - Samtskhe-Javakheti State University

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„მეცნიერება ერთიანი ინტელექტუალური
სივრცისთვის“

International Scientific Conference

"Science for a Single intellectual
space"

ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეული
„ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი
მომავლისთვის“

Young scientists week

"Young scientists for a better future of the planet"

2024 წლის 17 ივნისი / June 17, 2024

ენათმეცნიერება

ლამზირა კობაიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

გემინირებული ხმოვანი მთიულურ დიალექტში (სახუდაბლისა და ორგორის მაგალითზე)

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის ბგერათმეერთებათაგან დამახასიათებელია გრძელი ხმოვნები. ხმოვნები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა გზით: 1. მსგავსი ბგერის მეერთებით 2. დაკარგული ხმოვნის აღსადგენად. 3. მახვილის შედეგად. 4. შეგნებულად დაგრძელებით. ჩვენთვის ამ ეტაპზე, საყურადღებოა მთიულური დიალექტი და მასში მიმდინარე ცვლილებები სამცხე-ჯავახეთში მდებარე ორი სოფლის, სახუდაბლისა და ორგორის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ სოფლები მცირეკომლიანია, მათ მეტყველებაში თავს იჩენს გემინირებული (გრძელი) ხმოვანი, რომელიც ერთობ ცვლის მოსახლეობის მეტყველებას და განსხვავებული იერსახით წარმოგვიჩენს სხვა სოფლებში მცხოვრებ მთიულების მეტყველებასთან მიმართებით. ვფიქრობთ, საკითხის ამ კუთხით შესწავლა საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს, როგორც ლინგვისტებს, ასევე საკითხით დაინტერესებულ პირებსაც. ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ, ან გამოვკვეთოთ ის თავისებურება,

რომელიც განასხვავებს ამ ორი სოფლის მეტყველებას სხვა დანარჩენი სოფლებისაგან.

საკვანძო სიტყვები: გემინაცია, გემინირებული ხმოვანი, ხმოვანთა დაგრძელება, მახვილი.

მაია ქუჭიშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**კონცეპტი „მზე“ „ვეფხისტყაოსანში“ და მისი
ეკვივალენტები ბერძნულ თარგმანში
(კორპუსლინგვისტური კვლევის შედეგები)**

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს XII საუკუნის ძეგლს, რომელიც აქტუალობას არ კარგავს არც XXI საუკუნეში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ემმანუილ მიტაფიდის მიერ ბერძნულად თარგმნილი პოემა „ვეფხისტყაოსნის“ კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი. სტატიაში წარმოდგენილია მზის კონცეპტების კორპუსლინგვისტური ანალიზი; კერძოდ, კონცეპტი მზე, როგორც ასტროლოგიური სხეულის ეკვივალენტი, „ვეფხისტყაოსანის“ ბერძნულ თარგმანში.

ჩვენი ამოცანაა „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნული თარგმანის ორიგინალ ტექსტთან შედარების საფუძველზე ბერძნული თარგმანის ადეკვატურობის კვლევა. შესაბამისად, ქართული დედნის კონცეპტები

შედარდა ბერძნულ თარგმანში გამოყენებულ ეკვივალენტებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი და ბერძნულად თარგმნილი ტექსტის კვლევა და კორპუსლინგვისტური ანალიზი პირველად არის წარმოდგენილი სამეცნიერო სივრცეში.

აღნიშნული ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზის განსახორციელებლად კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე მეთოდები. კლასიკური მეთოდებიდან კვლევაში გამოყენებულია ტექსტის კრიტიკული ანალიზისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი. თანამედროვე მეთოდებს შორის გამოვიყენეთ კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდი. „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტისა და ბერძნული თარგმანის დაპარალელების სახეებიდან კი - ფრაზული აღინიერების სახე.

კორპუსლინგვისტური ანალიზის მიხედვით „ვეფხისტყაოსანში“ მზე 309-ჯერაა ნახსენები. იგი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვათაგანია და ასტროლოგიურთან ერთად, მას ესთეტიკური დატვირთვაც ახლავს;

„ვეფხისტყაოსნის“ კორპუსლინგვისტურმა ანალიზმა, ერთი მხრივ, გამოავლინა სტატისტიკური სურათი - მზის სიხშირე, თუმცა კორპუსლინგვისტური ანალიზის შედეგების თარგმანმცოდნეობის ასპექტში შედარება-შეპირისპირებამ, კერძოდ, ბერძნულ თარგმანში ეკვივალენტების ტიპის ანალიზმა, საინტერესო სურათი გამოავლინა. ტექსტის

დაპარალელებამ და კორპუსლინგვისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, შეგვესწავლა და გამოგვევლინა მთარგმნელის მიერ გამოყენებული ეკვივალენტები.

კვლევის მიხედვით, თარგმანში კონცეპტი მზე ყველაზე ადეკვატურად მზის, როგორც ასტროლოგიური სხეულის გადატანის დროს დასტურდება. იგი არა მხოლოდ მხატვრული საშუალებაა, არამედ პერსონაჟთა შინაგანი ბუნების გამომხატველი კონცეპტია, რომელიც სინათლის, სიკაშკაშის, ბრწყინვალეების, სიცოცხლის სიმბოლოა.

შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ თარგმანში შინაარსობრივი მხარე მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, მაგრამ ხშირად მთარგმნელი საკუთარ ინტერპრეტაციას ავლენს, რაც პოემის განსაკუთრებულობას სცილდება და რასაც თავისუფალი თარგმნისკენ მივყავართ.

საკვანძო სიტყვები: რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, ბერძნული თარგმანი, კორპუსლინგვისტური კვლევა, მზის კონცეპტი, ეკვივალენტები.

მარიამ ბალასანიან-გოგნაძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ხოჯაბეგის ისტორიის ეტიმოლოგია და ფონეტიკური პრობლემები

„სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა“ ლექსიკონი ადგილობრივ სომხურ

მოსახლეობაზე დაყრდნობით გვაწვდის ისტორიულ ცნობებს მათი ჩამოსახლების შესახებ. კერძოდ, მითითებულია, თუ რომელი პროვინციდან მოვიდა სომხური მოსახლეობა თითოეულ სოფელში. უმრავლესობა ოსმალეთიდან, კერძოდ, არზრუმიდან ჩამოსახლებული სომხები არიან.

ადგილთა სახელწოდებანი შეპირობებულია ისტორიული სიტუაციებით. გეოგრაფიულ სახელებში, განსაკუთრებით სოფლის სახელებში, აისახება მათი ისტორია, როდის შეიძლებოდა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და როდის შეიძლებოდა გაჩენილიყო ამ ხალხთა ენებთან დაკავშირებული ტოპონიმები. ზოგიერთი სოფლის სახელი პირდაპირ მიგვითითებს მოსახლეობის საქმიანობაზე წარსულში.

ხუთტომეულში ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებებით დასტურდება, რაც გამოწვეულია სომეხი მოსახლეობის მიერ ქართული ტოპონიმების არასწორი წარმოთქმით, მხარის ტოპონიმიაში არცთუ იშვიათად ზოგი თურქული სიტყვაა დამკვიდრებული.

ხუთტომეულში მოცემულია ტოპონიმთა ენათმეცნიერული ანალიზი: ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი, განსხვავებული ლექსიკა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ენის (სომხური, თურქული, რუსული) ზეგავლენით. ენობრივი შერევის საფუძველზე მიიღება კომბინაციები: ქართულ-თურქული, სომხურ-თურქული, თურქულ-რუსული სიტყვების ნაერთი. გეოგრაფიული სახელების კვლევა

აუცილებელია ყოველივე ამ ენის მონაცემების გათვალისწინებით.

ამიტომ საჭიროა თითოეული სახელის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, რათა დადგინდეს სახელის ზუსტი ეტიმოლოგია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ენის ისტორიისათვის.

საკვანძო სიტყვები: ხოჯაბეგი, ეტიმოლოგია, ტოპონიმები.

დიანა მიქელაძე,

ასოცირებული პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

კორონავირუსის ლექსიკური მემკვიდრეობა ინგლისურ ენაში

კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ღრმა ცვლილებები მთელს მსოფლიოში, გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. პანდემიამ შეცვალა არა მხოლოდ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, არამედ გავლენა იქონია ინგლისური ენის ლექსიკურ მხარეზეც. ვირუსთან ბრძოლის პროცესში, გაჩნდა ახალი სიტყვები და გამონათქვამები ახალი გამოცდილებების, ფენომენებისა და საზოგადოების ნორმების აღსაწერად. ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს და გაანალიზოს ის ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გაჩნდა ინგლისურ ლექსიკონში პანდემიის დაწყების შემდეგ. ნათელი მოჰფინოს ენის ევოლუციის დინამიურ ბუნებას გლობალური კრიზისის

ფონზე. სისტემატური გამოკვლევისა და კატეგორიზაციის გზით, გაარკვიოს ენობრივი ინოვაციების სემანტიკური ევოლუცია და სოციოკულტურული შედეგები. სოციალური მოვლენები და ტექნოლოგიური წინსვლა კაცობრიობის არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მუდამ გავლენას ახდენდა ენის ევოლუციაზე. ე.წ. COVID-19 პანდემია წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ გადაძწყვეტ მომენტს, რომელიც უბიძგებს ლინგვისტურ ინოვაციებს ეპოქის უნიკალური გამოცდილებისა და გამოწვევების აღსაბეჭდად. პანდემიის ფონზე ახალი სიტყვებისა და გამონათქვამების გაჩენისა და მიღების გაგება აყალიბებს ღირებულ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ ემსახურება ენა საზოგადოების დინამიკისა და კულტურული ცვლილებების ასახვას. ენათმეცნიერებისა და ლინგვისტიკის სფეროში COVID-19-ის შემდგომ გაჩენილი ახალი სიტყვებისა და გამონათქვამების იდენტიფიცირებისა და ანალიზისათვის პანდემიასთან დაკავშირებული ნეოლოგიზმებისა და გამონათქვამების ჩამონათვალის შედგენის, განმარტებისა და ანალიზისათვის, სისტემური მიდგომის საფუძველზე, ჩატარდა მთელი რიგი კვლევები, მოხდა ლექსიკური ერთეულების კატეგორიზებად დაყოფა ისეთი თემატური სფეროების მიხედვით, როგორცაა ჯანდაცვა, ტექნოლოგია, სოციალური ქცევა და ეკონომიკა. ლექსიკური ერთეულების მაგალითები შეგროვდა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის მედიასტატიებიდან, სოციალური მედიის პლატფორმებიდან და აკადემიური ლიტერატურიდან. ანალიზმა გამოავლინა ახალი

სიტყვებისა და გამოთქმების სიმრავლე, რომლებიც დამკვიდრდა ინგლისურ ენაში COVID-19 პანდემიის დაწყების შემდეგ. საკონფერენციო ნაშრომში წარმოდგენილი ლინგვისტური ინოვაციები მოიცავს ფართო სპექტრს და ასახავს ვირუსის მრავალმხრივ გავლენას საზოგადოებაზე.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, პანდემია, ნეოლოგიზმები, ლინგვისტური, ინოვაციები.

ეთერი ხიმშიაშვილი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ზემოაჭარაში მცხოვრებ ჯაყელიძეთა გვარ-სახელის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ისტორიულმა ბედუკულმართობამ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აყარა-დაარბია და მოსპო. XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მიგრაციის შედეგად ზემოაჭარაში დასახლდა უამრავი გვარი. ჩვენთვის ყურადსაღებია სამცხის ათაბაგთა ერთ-ერთი დინასტიური გვარის, ჯაყელიძეთა ისტორია, რომელთა ფუძე ისტორიულ სამცხეში მდებარე ერთ-ერთ სოფელს, ჯაყი//ჯაყისმანს უკავშირდება. დღეს ეს სოფელი თურქეთის ტერიტორიაზეა. ონომასტიკაში დასაშვებია, რომ ტოპონიმმა სათავე დაუდოს ადამიანის აღმნიშვნელ

როგორც პირსახელს, ასევე გვარსახელსაც. ჯაყი//ჯაყისმანი→ჯაყელი→ჯაყელიძე. წოდება-მოსაქმეობის გვარი სამცხის ათაბაგთა დინასტიურ გვარს უკავშირდება. სამცხეში ცხოვრების დროს ჯაყელებად იწოდებიან და ზემოაჭარაში გადმოსახლებისას ისინი ჯაყელიძეებად იფორმებენ გვარსახელს. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ინფორმატორთა მონათხრობი, თუ რატომ იკეთებენ//იცვლიან ძირძველ გვარს ჯაყელიძეები.

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, გვარსახელი, პირსახელი, ტოპონიმი, ონიმი, ეპონიმი.

ნინო ზედგინიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ტერმინოლოგიური პრობლემები სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკაში

მრავალი ენა და, შესაბამისად, მრავალი ეროვნული ონომასტიკური სკოლა წარმოდგენილია ონომასტიკის საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში. აქედან გამომდინარე, ტერმინების სისტემატური დამუშავება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო კომუნიკაციაში. თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ონომასტიკური ტერმინოლოგია ხასიათდება ტერმინების ფართო

სპექტრით, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი; ზოგიერთი ტერმინი ზოგჯერ არასწორად ან არასაკმარისად არის გამოყენებული. რადგან მრავალი ონომასტიკური ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა, ისინი სტანდარტიზებულია სხვადასხვა ენაზე; ამასთან, ონომასტიკური ტერმინები განიცდიან ზოგიერთ ენობრივ სპეციფიკურ ადაპტაციას, მაგალითად, ფონოლოგიურს ან ორთოგრაფიულს. ჩვენი მიზანია, ონომასტიკურ ტერმინთა კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკაში არსებული ტერმინოლოგიური პრობლემების გამოვლენა და მათი ანალიზი. საკითხის კვლევისას გამოყენებული გვაქვს შედარებითი და ანალიზური მეთოდი. შედეგი: ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად მოვიძიეთ და შევისწავლეთ უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა კერძოდ გერმანული, რუსული და ინგლისური ლიტერატურა, რაც საინტერესო აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით. სამცხე-ჯავახეთი არის ისტორიულად მრავალენოვანი რეგიონი, რის გამოც გარკვეული სირთულეები ყოველთვის ახლდა ონომასტიკურ სიჭრელეს, რაც გამოწვეული იყო ისტორიული და ლინგვისტური კატაკლიზმებით.

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, ტერმინოლოგია, ტოპონიმი, ადგილის სახელი, გეოგრაფიული სახელი.

გულნარა ჯანოვა,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
მაკა მურვანიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ინგლისური ნეოლოგიზმები ქართულ სოციალურ მედიაში

სტატია ეხება ინგლისურ ნეოლოგიზმებს, რომელსაც იყენებს ფეისბუქის მომხმარებელი სტუდენტობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტზე დაფუძნებულმა კომუნიკაციამ და სოციალური ქსელების შექმნამ წინ წამოსწია სოციალური მედიის როლი. შესაბამისად, გაუმჯობესდა ადამიანებს შორის კომუნიკაცია. სოციალურ მედიას ყველაზე მჭიდრო კავშირი ინტერნეტთან აქვს და რადგან ინგლისური სიტყვები ძირითადად ინტერნეტის დისკურსიდან მომდინარეობენ, შესაბამისად, ისინი სოციალურ მედიაშიც ადვილად ვრცელდებიან და ფართოდ იკიდებენ ფეხს. სოციალურ მედიაში ამბები სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდება, სწორედ სოციალური ქსელებია ინგლისური სიტყვების ქართულ ენაში შემოდინების ძირითადი წყარო. სტატია მიზნად ისახავს ინგლისური ნეოლოგიზმების მოძიებას და მათი გამოყენების სიხშირის შესწავლას სტუდენტებში. ნეოლოგიზმების ბევრი ქართული შესატყვისი განმარტებას ითხოვს და ხშირად ამისათვის

რამდენიმე სიტყვაა საჭირო. ამის გამო მომხმარებლები მის მოკლე ვარიანტს ანიჭებენ უპირატესობას. სწორედ სოციალურ ქსელებთანაა დაკავშირებული მთელი რიგი ინგლისური ლექსიკური ერთეულები: დომეინი, ბლოგ-პლატფორმა, სერვერი, იუზერი, პოსტი, სპამი, შეარი, პანელი, აპლიკაცია, თაიმლაინი, პროფილი, ქავერი და სხვა. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის სიტყვები, რომლებსაც ახალგაზრდები ანიჭებენ უპირატესობას სოციალურ მედიაში.

საკვანძო სიტყვები: ნეოლოგიზმები, სოციალური მედია, სოციალური ქსელები, კომუნიკაცია, ლექსიკური ერთეულები.

ლიტერატურათმცოდნეობა

დალი ბეთხოშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

წმიდა სერაპიონ ზარზმელის სულიერი მისია – ქვაბიჯვარის და ვალისონის ნაეკლესიარები

მერვე-მეცხრე საუკუნის უდიდესი სულიერი მოღვაწე წმიდა სერაპიონ ზარზმელი და მისი სულიერი ძმები სამცხეში შემოსვლისას ღმერთის ჩვენებითა და უწყებით იწყებენ ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობით საქმიანობას. წმიდა მამა სერაპიონი სამცხეში მოვიდა კლარჯეთიდან, რათა უდაბნო და უტყვი ქვეყანა, სამცხის ადგილი გაეცხოველებინა, რაც გამოიხატებოდა სულიერი სიწმინდეების აღმართვაში, ეკლესიების დაფუძნებასა და ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებაში, რადგან, თუკი ასეთი ღვაწლი გაიშლებოდა აღნიშნულ მხარეში, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა რწმენის უფრო განმტკიცებას, სულიერი ცხოვრების მოფენას.

წმიდა სერაპიონის სულიერი ცხოვრება ძირითადად დაკავშირებულია სამცხის ერთ-ერთ გამორჩეულ მხარეში - ადიგენში, სოფელ ზარზმაში ეკლესიის აღმშენებლობასა და დაფუძნებასთან, რამაც შეუქცევადად განსაზღვრა ამ კუთხის სულიერი ცხოვრების აყვავება, ქრისტიანული ღვთისმსახურების უპირობოდ დამკვიდრება, რამაც სულიერი წინამძღვრობის და მეწინავეობის როლი იტვირთა

არამართო მერვე-მეცხრე საუკუნეებში, არამედ შემდეგ ეპოქებშიც, როდესაც ქართული ეკლესია და ღვთისმსახურება დიდ განსაცდელში იყო ყოველთვის და დღესაც უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია ქრისტიანული რწმენის განმტკიცების გზაზე.

წმიდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების და მისი სულიერი ძმების სამოღვაწეო სივრცეში უნდა განვათავსოთ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ნაეკლესიარები - ქვაბიჯვარისა და ვალისონის, რომლებიც დღეს ნაშთის სახითაა შემორჩენილი, მაგრამ კარგად გვამცნობს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, აგების სტილს, მათ სულიერ დანიშნულებას... ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ტექსტის გარკვეული მონაცემები გვაპარაუდებინებს, რომ მათი დაარსების ისტორია სწორედ სერაპიონ ზარზმელის სულიერ ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. წმიდა სერაპიონი როდესაც შემოდის სამცხეში, მას თან ახლავს მისი ძმა იოანე და კიდევ ორი სხვა, რომელთა სახელი არაა ნახსენები ტექსტში. ისინი მიდიან სამცხის სხვადასხვა ადგილას, აკეთებენ ნიშებს, ზოგს ჯვრის სახით, რათა შემოსაზღვრონ და მონიშნონ წმინდა ადგილები. სწორედ ამგვარ ღვაწლთან უნდა გვეკონდეს საქმე. ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ საუკეთესო წყაროა სამცხის ისტორიული, გეოგრაფიის და ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობის თვალსაზრისით შესწავლისათვის. თვითონ ტექსტის მონაცემები ცხადყოფს, რომ მართო ზარზმის ეკლესია ვერ იქნებოდა ასეთი დიდი სულიერი მოღვაწის სამოღვაწეო სივრცე, ეს უფრო ვრცელ და დიდ მასშტაბებზე გადის, მოიცავს გეოგრაფიულად და

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ დიდ არეალს და ქმნის ერთ მთლიან სულიერ კერას ამ რეგიონში.

ამდენად, წმიდა სერაპიონ ზარზმელის და მისი სულიერი თანამოღვაწეების საქმიანობაში ზარზმის მონასტრის გვერდით უნდა მოვაქციოთ ქვაბიჯვარის და ვალისონის ნაეკლესიარები, რომელნიც დღესაც ამაყად დგანან და გვახსენებენ თავს საკუთარი უდიდესი სულიერი მისიის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სერაპიონ ზარზმელი, ქვაბიჯვარი, ვალისონი, ადიგენი, ქრისტიანობის კერა.

ლალი ბერიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**უსამშობლობის, ენისა და იდენტობის
მიმართებისათვის ემიგრანტი პოეტების შემოქმედებაში
მაშა კალეკოს ლირიკის მიხედვით**

სტატია ეხება ავსტრიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, მაშა კალეკოს ლირიკაში ენისა და სამშობლოს თემის საკითხს. მასში მოკლედ ვეხებით ემიგრანტი ლიტერატორი ქალების თემას, მაშა კალეკოს ცხოვრებას და მოღვაწეობას. არსებულ კვლევებში საკითხი მაშა კალეკოს შემოქმედებაში ენის, როგორც სამშობლოსა და იდენტურობის საფუძველის შესახებ ნაკლებად

შესწავლილია, თუმცა მკვლევრების აზრით ენისადმი ასეთი დამოკიდებულება ემიგრანტული ლიტერატურის ქალი წარმომადგენლებისათვის თითქმის ტიპურია და იმ დიდი ნაღველისა და ცხოვრებისეული ტრავმის ამსახველია, რომელიც მათ ემიგრაციაში ერგოთ. მშობლიური ენა რჩება იდენტობის განმსაზღვრელად მაშინაც კი, როცა ადამიანი რამდენიმე ენაზე სრულყოფილად საუბრობს. თვით მამა-პაპათა სამკვიდრო ადგილზე ცხოვრებისასაც შეიძლება უსამშობლოდ იგრძნოს ადამიანმა თავი, რადგან მშობლიურად აღქმული ენა ისეთ კოდს დებს ადამიანში, რომ ის მუდმივად მისკენ ისწრაფვის. ასე იყო კალეკოს შემთხვევაშიც. ის წარმოშობით ებრაელი, მაგრამ გერმანულენოვანი მწერალი, სამშობლოს ძიებაშია მუდამ იმიტომ, რომ მისთვის მხოლოდ გერმანულია მშობლიური ენა. მისი ლირიკის პრობლემატიკის განხილვისას ნათლად იკვეთება, რომ მის შემოქმედებაში ენა ლირიულ გმირად გვევლინება ისე, როგორც წარმოსახვითი სამშობლო. მიუხედავად მრავალენოვნობისა, ავტორის მიერ მშობლიური ენის როლის აღმატებულად შეფასება ენის და იდენტობის ერთობლიობის შესახებ რეალობაში დამკვიდრებულ მოსაზრებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. სტატიის თემა აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვისაც, რაც მამა კალეკოს, როგორც სამშობლოდან გაძევებულ, დავიწყებულ და მაინც ხელახლა აღმოჩენილ ავტორს განსაკუთრებულ ადგილს უმკვიდრებს ავსტრიულ ლიტერატურაში. სტატიისათვის საკითხზე არსებული კვლევების მოძიებისა და გაცნობის გარდა ავტორის

ლირიკის ანალიზისთვის საკუთარი თარგმანები გამოვიყენეთ.

საკვანძო სიტყვები: ემიგრანტული ლირიკა, პოეტი ქალები, უსამშობლობა, ენა და იდენტობა.

ქეთინო გრძელიშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მითოსურის მხატვრული ფუნქცია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“

ნაშრომი ეხება მითისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთობის თემას. მხატვრულ ლიტერატურაში მითი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, წარმოაჩენს ავტორის არა მარტო მსოფლმხედველობრივ, არამედ მხატვრულ-ესთეტიკურ თვალთახედვას. ვაჟა ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“ ამის საუცხოო ნიმუშია. მასში გვხვდება როგორც მითოსური სიუჟეტები, ისე მითოსური მხატვრული სახეები, რომლებიც ქმნიან ერთიან მხატვრულ სისტემას, მონაწილეობენ როგორც სიუჟეტის განვითარების, ასევე მხატვრული დროისა და სივრცის, თხზულების სტრუქტურის, მხატვრულ სახეთა აგების პროცესში. ვაჟა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე შემოქმედია, მის თხზულებებში მეცხრამეტე საუკუნის მსოფლალქმასთან ერთად მეოცე საუკუნის

მაჯისცემაც იგრძნობა. მხატვრულ ლიტერატურაში ის პროცესი, რომელსაც ლიტერატურულ მითოლოგიზმს უწოდებენ, ვაჟასთან დაწყებულია, ოღონდ მისი ფუნქცია არ ემთხვევა მოდერნიზმში მითოსურის ფუნქციას. ვფიქრობ, ვაჟა აღნიშნულ პოემაში ილიასა და აკაკის მსგავსად ემსახურება საზოგადოების გარდაქმნის, პიროვნების ფერისცვალების მნიშვნელოვან საკითხს, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. პოემის მიხედვით, ვაჟამ მითოსური ჩააყენა ქვეყნის სამსახურში. მითოსურის მოხმობით, რემითოლოგიზაციით, შექმნა ძალზედ ჩამორჩენილი, ბნელი, გაუტანელი რუსული სივრცე, რომელიც ჭამს და ანადგურებს პიროვნებას. ამ სივრცეში მცხოვრები ადამიანი განუსჯელად ემორჩილება დადგენილ წესებს, სანამ შემთხვევის წყალობით ერთი პიროვნება არ განსხვავდება სხვათაგან. ის ერთი საკუთარ თავში ატარებს მსხვერპლს და გააზრებულად ეწირება პროგრესს. ბორხესის აზრით, იმ ოთხი არქეტიპული სიუჟეტიდან, რომლებიც საფუძვლად უდევს მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს, მეოთხე ღმერთის თავგანწირვაა. ეს სიუჟეტი ვაჟას „ალუდა ქეთელაურში“ ორგანულად უკავშირდება „წმინდა მხედრის“ იდეალს. ალუდა წმიდა მხედარია, ზნეობრივი გმირი, რომლის მაგალითმა უნდა აღზარდოს თაობები. პოემაში წარმოჩენილია ადამიანში ახალი ადამიანის დაბადების მუდმივი პროცესი და ამ პროცესში სიზმრის მხატვრული ფუნქცია. ნაშრომში

მოცემულია სიზმრის ახლებური ინტერპრეტაცია. აქვეა საუბარი დროის მითოლოგიზაციაზე, მხატვრულ ხერხზე, რომელიც კონკრეტულ პრობლემებს ზოგად მნიშვნელობას ანიჭებს და ყველა ეპოქის კუთვნილებად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: მითოსური, წმინდა მხედარი, სიზმარი, რემითოლოგიზაცია.

მაია ივანიძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

შელოცვები სამცხე-ჯავახეთში

შელოცვა, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრია. ბიბლიაში დაცულია შელოცვის აღმნიშვნელი ტერმინი "სახვრა", რომელიც ორი მნიშვნელობით იხმარება: გრძნეულება და შელოცვა. სამცხე-ჯავახეთში შელოცვებს ასრულებდნენ ხმადაბლა ჩიფჩიფითა და ბუტბუტით, იშვიათი იყო ნაწერის წაკითხვაც. საველე მუშაობის დროს, დაკვირვებების შედეგად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამკურნალო შელოცვები, მაგალითად, ავი ქარის ლოცვა, ნაღრძობის შელოცვა, შაკიკის შელოცვა, ნაკბენის ლოცვა, დამწვრის ლოცვა, უფრო მეტია, ვიდრე სამეურნეო დანიშნულების შელოცვები.

საკვანძო სიტყვები: შელოცვა, განკურნება, სამეურნეო დანიშნულების შელოცვები, გრძნეულება.

ვახტანგ ინაური,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

წინაპართა მეტაფორული სახეები შერმადინ ქალდანის ლექსში "ჩალისფერი აგონია“

შერმადინ ქალდანი მეოცე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთე საუკუნის ათასწლეულის დასაწყისის ცნობილი პოეტია. ამ პერიოდის მოღვაწე თაობაში ტარიელ ხალხელაურთან, ბადათერ არაბულთან, ვახტანგ ხარჩილავასთან, თეიმურაზ ჩალაბაშვილთან და სხვებთან ერთად ქმნიდა ეპოქალურ ასალ პოეზიას. იგი რამდენიმე კრებულის ავტორია, რომელთაგან ყოველი ლექსი და ყოველი ციკლი დამოუკიდებელი, ორიგინალური და ღრმად ეროვნული შედეგია ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში. მაგრამ მათგან უპირატესი პოპულარობა წილად ხვდა ლექსს ჩალისფერი აგონია, რომელმაც მკითხველის გული და გონება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეზე წაკითხვისთანავე დაიპყრო და დაუვიწყარი ზეგავლენა მოახდინა პოეტებით სავსე აუდიტორიაზე.

ლექსი ხიბლავს მკითხველს თავისი იდეურობით, პოეტური ჩანაფიქრით, წარსულის რომანტიული და ნაღვლიანი აღქმით, პოეტიკით. ლექსწყობით, შედარებებითა და მაღალმხატვრული მეტაფორებით. იგი 2013 წლის გამოცემულ ლექსების წიგნში დაიბეჭდა, რომელსაც ლექსის სათაური ჩალისფერი აგონია დაარქვა. ამ ლექსით შ. ქალდანმა გამოხატა წარსულის ეროვნულ–რელიგიური სიმბოლოებისა და დიდი გმირების პატივისცემა და სიყვარული, ამასთანავე გააცოცხლა ისინი თანამედროვე ცხოვრებაში. წარსულში მათი დამსახურება და ღვაწლი ერის, ქვეყნის, მეფისა და ქრისტიანობის წინაშე პოეტურად წარმოაჩინა და მკითხველს სრულიად ახალი, თავისებური ხედვა შესთავაზა. მათი წვლილიც ისტორიაში განსხვავებულ ასპექტებში ასახა და ზოგადი, მარტივი და ცნობილი ფაქტები განსაკუთრებული ფერებით დაგვიხატა და თანამედროვე ცივილიზაციის სული შთაბერა ისტორიულ და მხატვრულ სახეებს. მკითხველის გონიერებაში თანდათანობით ცოცხლდებიან ვახტანგ გორგასალი, მარიამ ღვთისმშობელი, დავით აღმაშენებელი, სულხან–საბა ორბელიანი, ვაჟა–ფშაველა და სხვა. ისტორიაში აღიარებული რეალური გმირები ორიგინალურად, თავისი პოეტური ჩანაფიქრის მიხედვით არიან შერჩეული და პოეტურად დახატული. ყოველი მათგანის წვლილი ერის წინაშე, მათი დიადი საქმეები და საერთოდ მხატვრული სახეები ამაღლებული მეტაფორებითა და განწყობილებითაა ასახული.

საკვანძო სიტყვები: ჩალისფერი, დროშა, მცხეთა, წინაპრები.

ნესტან სულავა,
პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მეფისა და მეფისწულის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ „ბალავარიანში“

მეფისა და მეფისწულის ხატ-სახის ინტერპრეტაციისათვის ქართულ „ბალავარიანში“ ქართული „ბალავარიანის“ სიუჟეტურ განვითარებასა და კომპოზიციურ აგებულებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მთავარი გმირი იოდასაფი, მამის, აბენესის სურვილისა და მცდელობის საწინააღმდეგოდ, სულიერი თვალსაზრისით მკითხველის თვალწინ გარდაისახება უფლისწულიდან წმინდანად და იდეალურ გმირად ყალიბდება თხზულების სხვა პერსონაჟთა ფონზე. მეტიც, ბალავარისაგან განსწავლული მეფისწული ქრისტიანული მრწამსის გავრცელების ინიციატორია თავის სამეფოში. „ბალავარიანი“ კომპოზიციურად განსხვავებული ჟანრის თხზულებებთანაც ამჟღავნებს სიახლოვეს უშვილო მეფის ამბის ასახვით; მეფე აბენესი უფლისწულის აღზრდას უძველესი რელიგიური მრწამსისა და სწავლებების მიხედვით შეეცადა, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განაგო და სრულიად

განსხვავებული სულიერი ცხოვრების, ქრისტიანული მსოფლხედვისა და თვითშეგნების გზით წარმართა უფლისწულის მომავალი. იოდასაფი, აკრძალვების მიუხედავად, ეზიარა ქრისტიანულ მრწამსს და თვითშემეცნების უმაღლეს საფეხურს მიაღწია: შეძლო სხვათა მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ მამის გაქრისტიანება. ეს იოდასაფის მხრიდან უდიდესი ძალისხმევის, შეუპოვარი ბრძოლის შედეგად გახდა შესაძლებელი. „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ქართული ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებულ ტენდენციებს ამჟღავნებს და ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გაკვალულ გზას მიჰყვება. მასში არაა ეროვნული პრობლემა წარმოსახული, რასაც თვით თხზულების წარმომავლობა განსაზღვრავს: იგი ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსიაა. აქ ავტორის ეროვნული პოზიცია არ შეინიშნება, არც იყო მოსალოდნელი; მასში ავტორისეული ქრისტიანული ასკეტური ცხოვრების კონცეფცია უმთავრეს ადგილს იჭერს, რადგან მთავარია პერსონაჟის სულიერი გარდასახვა, მაცხოვარს მიმსგავსება, მის კვალზე წმინდანის სვლა, მაცხოვრის ვნების გზის გავლის დამოწმება, ცოდვითდაცემული ადამის პირველსახის დაბრუნება, საღმრთო შურით აღჭურვილი ყოველი ადამიანის მცდელობით დაცემული ადამის ამაღლებაზე ზრუნვა, რაც მხოლოდ ღვთის ნებითაა შესაძლებელი; თხზულების მიზანდასახულობა წმინდანობის გზაზე შემდგარი ჰაგიოგრაფიული გმირის განღმრთობა და ღმერთშემოსილად ქცევაა. ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა ურთულესია, იგი ფიზიკური ტანჯვითა და

ქრისტიანული სიხარულითაა გასავლელი, რათა წმინდანმა, ჰაგიოგრაფიული გმირის ზოგადი მხატვრული სახის ნიშან-თვისებით შემკულმა და უფალს მიახლოებულმა ადამიანმა, ამქვეყნიური თვისებები ღვთაებრივს მიმსგავსებულად გარდასახოს. ავტორი საკვანძო საკითხად იოდასაფის წმინდანად ჩამოყალიბების მხატვრულ ხერხს მიმართავს, შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ქმნის იოდასაფს წმინდანად. ჰაგიოგრაფიის წმინდანი, „ბალავარიანში“ თვით ბალავარი და მისი მოწაფე იოდასაფი, რომლებსაც უახლოვდება აბენესი, თანდათანობით იმოსებიან ხატით „ზეცისაგანით“, რაც ამქვეყნიური ღირსად ცხოვრება-მოღვაწეობის შემდეგ/შედეგად განღმრთობითა და ღმერთთან ზიარებით სრულდება. მოხსენების მიზანია ქართული „ბალავარიანის“ მეფისა და მეფისწულის სულიერი ხატ-სახის წარმოჩენა, იოდასაფის და ბალავარის წმინდანად ჩამოყალიბების პროცესის შესახებ მსჯელობა.

საკვანძო სიტყვები: იოდასაფი, აბენესი, „სიბრძნე ბალავარისი“, სულიერი განვითარება.

მარინე შონია,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ჰალდუნ თანერის ნოველების შესწავლისათვის

ჰალდუნ თანერმა (1915-1986), ცნობილმა თურქმა ნოველისტმა, დრამატურგმა, პუბლიცისტმა, რეჟისორმა

და კინოსცენარისტმა საინტერესო და მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა დატოვა. თანერი ინტელექტუალური საზოგადოების წარმომადგენელი, რომელმაც თავის დროზე საფუძვლიანი განათლება მიიღო, როგორც მშობლიურ ქალაქ სტამბოლში, ისე გერმანიასა და ავსტრიაში, მკითხველის, მაყურებლისა თუ ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკოსების ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა. ამის დასტურია მისი არაერთი პრესტიჟული ლიტერატურული და თეატრალური პრემია.

წარმოდგენილი მოხსენების მიზანი ჰალდუნ თანერის ნოველების შესწავლაა. ისინი უმეტესწილად იუმორისტული ხასიათისაა. ავტორი სევდანარევი იუმორით აღწერს მისი მშობლიური ქალაქ სტამბოლის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა რთულ ყოფას, ადამიანურ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. მძაფრი განცდების მოყვარული ავანტიურისტები თუ გულუბრყვილო სოფლელები, მდიდრები თუ ღარიბები თავიანთი უცნაურობებითა და აუხდენელი ოცნებებით მწერლის დიდ თანაგრძნობას იმსახურებენ. იგი გამოცდილი ფსიქოლოგის თვალთ სიღრმისეულად აკვირდება თავისი გმირების ხასიათისა და ქცევის განვითარებას. თანერს, ადამიანის ბუნების ჩინებულ მცოდნეს, არა აქვს იმის ილუზია, რომ ზნეობრივი, სოციალური და კულტურული ნაკლოვანებები ძირფესვიანად აღმოიფხვრება. ეს სამწუხარო მოცემულობა ადამიანებს მუდამ თან სდევს. იგი ცდილობს თავისი გმირების ნაკლოვანი მხარეები გესლიანი სარკაზმისა და დიდაქტიკის გარეშე წარმოაჩინოს. ვითარებისა და გმირის

დასახასიათებლად იუმორისა და მსუბუქი ირონიის ოსტატური გამოყენება ჰ.თანერის ნოველებს განუმეორებელ ხიზლს სძენს. „გაუმარჯოს დემოკრატის“, „ჟღალთმიანი ამორძალი“, „ორი მეზობელი“, „Made in USA“ და მისთ. ამის ჩინებული დასტურია. ნოველა „სან ჩოს გასეირნება“ ვფიქრობთ, ერთი დიდი მეტაფორაა, რომელშიც თანერმა ძალი სანჩოს საშუალებით (ლეგენდარული დონ-კიხოტის საჭურველმტვირთველის სეხნია) მისი თანადროული სტამბოლის საზოგადოება დაახასიათა.

ღრმა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა ნოველა „Allegro Ma Non Troppo“, რომელშიც ერთი ყმაწვილის უიღბლო სიყვარულისა და სათაყვანებელი მასწავლებლისადმი ნდობის დაკარგვის მწარე ტკივილია აღწერილი.

თანერის ნოველების ენა სტამბოლის ცოცხალი, დახვეწილი და მდიდარი თურქული ენაა, ნაკლებად დატვირთული „ოსმანიზმებით“. მწერალი მიმართავს სტამბოლის ჟარგონს, რაც ნოველებს უფრო შთამბეჭდავსა და კი ხდის, თუმცა არათურქი მკითხველისაგან მეტ დაკვირვებულობასა და ენის კარგ ცოდნას ითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ნოველა, იუმორი, ირონია, სარკაზმი, თანაგრძნობა.

ნანული კაჭარავა,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
საქართველო

მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების შემოქმედება

ქართული საზოგადოება განებივრებული არ არის მუჰაჯირების, დედასამშობლოს მოწყვეტილი ქართველების თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებებით. როგორც ჩანს, საქართველოში ეს თემა დიდი ხანია ტაბუდადებული იყო. ამ ხალხის ისტორიის, კულტურის, ფოლკლორის, მათი მშობლიური ქართული ენის თავისებურებების მეცნიერული კვლევაც კი მხოლოდ ბოლო პერიოდში, თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნის შემდეგ დაიწყო. გასული შვიდი წლის განმავლობაში მიწვეული პროფესორის სტატუსით ვიმუშავე თურქეთის დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე. ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი მჭიდრო ურთიერთობები მქონოდა რეგიონის ქართულ დიასპორასთან. აქ 1998 წლიდან არსებობს დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაცია. ამჯერად მოხსენებაში სწორედ ამ ასოციაციის 3 წევრზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. აბდულაჰ ჩელებიოღლუ გახლავთ ჩელებამეთა გვარის შთამომავალი, რომელთა წინაპრებს აჭარის, ქედის რაიონის სოფ. წონიარისიდან მოუხდათ ოსმალეთში

გადასახლება. მან ლექსების წერა 1980 წლიდან დაიწყო. მის კალამს ეკუთვნის რითმით თუ თავისუფალი სტილით დაწერილი მრავალი ლექსი. იგი არის დუზჯეს პოეტთა და ხელოვანთა ასოციაციის დამაარსებელი და თავმჯდომარე. მისი თაოსნობით გამოიცა დუზჯელ პოეტთა ანთოლოგია, რომელშიც არაერთი ეთნიკური ქართველის (მათ შორის ლაზების) ლექსებია გამოქვეყნებული. ჟურნალების „არმადანის“, „ანეულისა“ და „აღმოსავლეთმცოდნეობის“ ფურცლებზე მკითხველს გავაცანით ქართულად თარგმნილი ა. ჩელებიოღლუს ლექსები. მუჯელა ულჯაი (კომიშვილი) გახლავთ ქალი-პოეტი, რომლის წინაპრები ქობულეთის რაიონის სოფ. გვარადან აყრილან და გადასულან ოსმალეთში. ქართულად თარგმნილი მისი ლექსები გამოქვეყნებულია ჟურნალ „არმადანში“. ილჰან აკინი (ბერიძე) უკვე ცნობილი მწერალია. მისი სახელი კარგა ხანია გასცდა მშობლიურ დუზჯეს. იგი ოცზე მეტი რომანის ავტორია, რომლებიც თარგმნილია ინგლისურ, არაბულ, ქართულ და ჰინდის ენებზე. ამ ნაწარმოებებს შორის ჩვენი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“ (თარგმნილი და გამომცემლობა „საგას“ მიერ გამოცემულია ქართულად), „წმინდა ბარბარე & ნიკომედია“ და „ოქროს საწმისი.“ ამ უკანასკნელზე მწერალი ახლა მუშაობს. მასში საინტერესოდ, ორიგინალურად და განსხვავებულად არის გაშუქებული არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების ამბავი.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური ქართველები
დუზჯედან, პოეზია, მუჰაჯირები, პოეზიის
ანთოლოგია.

ისტორია

ნიკოლოზ ახალკაცი,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII-XI საუკუნეებში „ზღვის ხალხების“ მცირე აზიაში შემოსევის შედეგად გამოწვეული მიგრაციული პროცესები სამხრეთ კავკასიაში

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII-XI საუკუნეებში „ზღვის ხალხების“ შეჭრამ მცირე აზიაში მნიშვნელოვანი პროცესები გამოიწვია მიმდებარე რეგიონებში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. „ზღვის ხალხების“ შემოსევის შედეგად მცირე აზიაში მთლიანად განადგურდა ხეთების იმპერია და უგარიტი. ეგვიპტესა და ასურეთს დიდი ძალისხმევა დაჭირდათ მათ მოსაგერიებლად. ამ პროცესებმა დიდი მიგრაციული პროცესები გამოიწვია მთელს რეგიონში. ამ მიგრაციების ერთ-ერთი შედეგი იყო ხალხის გადაადგილება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც მოიცავს თანამედროვე სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთის ჩრდილო - აღმოსავლეთ ტერიტორიებს. აღნიშნული პროცესებით გამოწვეული მიგრირებადი ჯგუფების სამხრეთ კავკასიის მიმართულეებით გადაადგილება კატალიზატორი გახდა ახალი დასახლებებისა და სახელმწიფოების გაჩენისთვის. ასურული წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში (ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე)

ჩამოყალიბდა დაიენის (დიაოხის) სახელმწიფო. პარალელურად, არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებს ქალაქური ტიპის დასახლებების განვითარებაზე საქართველოს (შიდა ქართლში (გრაკლიანი), კახეთში (დიდნაური)), სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. ეს ახალშობილი ურბანული ცენტრები და პოლიტიკური ერთეულები მიუთითებენ სამხრეთ კავკასიაში იმულებით გადაადგილებული ხალხების შემოდინებით გამოწვეულ მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდზე, დაიენისა და სხვა დასახლებების დაარსება მიუთითებს ძირძველი და მიგრაციული კულტურების კომპლექსურ ურთიერთკავშირზე. ამ ახალმა ერთეულებმა, სავარაუდოდ, მოახდინეს ადაპტირება და ინტეგრირება იმ კულტურების სხვადასხვა ასპექტებთან, რომლებთანაც ურთიერთობდნენ, რაც ასახავს მიგრაციის შედეგად მოტანილ მრავალფეროვან გავლენას. მოსალოდნელია, რომ მომავალი არქეოლოგიური გათხრები დამატებით ნათელს მოჰფენს ამ მიგრაციულ პროცესებს, რაც მოგვცემს უფრო ყოვლისმომცველ ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობასა და შემომავალ ჯგუფებს შორის ურთიერთქმედების შესახებ. ეს მონაცემები გააძლიერებს ჩვენს ცნობადობას „ზღვის ხალხების“ შემოსევების უფრო ფართო ზეგავლენის შესახებ და მათ როლს სამხრეთ კავკასიის ისტორიული ტრანსფორმაციაზე.

საკვანძო სიტყვები: ზღვის ხალხები, მიგრაციული პროცესი, სამხრეთ კავკასია.

მედიკო ბურდული,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ზოგიერთი ეთნიკური ტრადიციის შესახებ საქართველოში (ისტორია და თანამედროვეობა)

ნაშრომში აღწერილია ქართული ტრადიციული კულტურის რამდენიმე მიმართულების ისტორიული დინამიკა, ცვლილებები და თანამედროვე მდგომარეობა. ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ბუნებრივია, გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ტრადიციულ კულტურაშიც. მაგრამ ეთნოსის ცხოვრებაში ზოგჯერ დგება ისეთი დრო, როდესაც ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია და ხალხური ცოდნა, უხეში ჩარევით ზარალდება, ჩამორჩენილობად და მავნე გადმონაშთად ითვლება. ასე მაგ. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია, რომელიც თითქოსდა ხელს უშლიდა „საბჭოთა ადამიანის“ მორალური სახის ჩამოყალიბებას, ამიტომ ისინი წარსულის „მავნე გადმონაშთებად“ მოინათლა. ასეთი დამოკიდებულებით ქართული ტრადიციული კულტურის ზოგიერთმა მიმართულებამ აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა, „მრავალი

ეთნოგრაფიული ფენომენი სამუდამოდ დაილუპა...“ ცნობილია, რომ ტრადიციული კულტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ ხასიათს და პირიქით; გლობალიზაციის თანამედროვე ტემპებიდან გამომდინარე ეთნიკური ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. ნაშრომში განვიხილავთ ზოგიერთ ეთნიკურ ტრადიციას, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ყველაზე მეტად დაზარალდა, რადგან წარსულის „მაწვე გადმონაშთად“ იქნა მიჩნეული. 1980-იანი წლებში „მაწვე ტრადიციად“ მიიჩნიეს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული (კახური) ტრადიცია; თუმცა დღეს იგი იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლადაა აღიარებული. ბოლო დროს საქართველოში მოსახლეობის გარკვეულ ფენებში განსჯის საგანი გახდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რიტუალები, რომლის ზოგიერთმა ელემენტმა თანამედროვე ყოფისთვის მიუღებელი ფორმა მიიღო (მიცვალებულის მოსახსენიებელ დღეებში საფლავებზე „ქეიფი“, ხალხმრავალი ქელებები და სხვ.). საბჭოთა პერიოდში 1960-იან წლებამდე ტრადიციული საგვარეულო სამედიცინო ცოდნის მქონე ქართველი სახალხო მკურნალების წინააღმდეგ ატარებდნენ მთელ რიგ სადამსჯელო ღონისძიებებს: აჯარიმებდნენ, აპატიმრებდნენ და, ბუნებრივია, მათი შთამომავლები შემდეგში აღარ აგრძელებდნენ წინაპრების საქმიანობას. ამის გამო საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი

ბევრი რაციონალური სამკურნალო საშუალება და მეთოდი სამუდამოდ დაიკარგა.

საკვანძო სიტყვები: ტრადიცია, კულტურა, ეთნიკური, რიტუალი, გადმონაშთი.

თინა იველაშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ოჯახური ფასეულობანი საქართველოში (ისტორია და თანამედროვეობა)

ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი „მცირე ეკლესია.“ ოჯახის წრეში ხდება პიროვნების პირველადი სოციალიზაცია და განათლება, მისი ეროვნულ-კონფესიური იდენტობის ჩამოყალიბება, რომელზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს რელიგია და კულტურა. ოჯახის, როგორც მიკროსოციალური უჯრედის, როგორც სახელმწიფოს მიკროსახის, უპირველესი ფასეულობა და ღირებულებაა "ენა, მამული, სარწმუნოება."

ოჯახი საზოგადოების სპეციფიკური ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირშია საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან (თუმცა გარკვეული დამოუკიდებლობითაც ხასიათდება). მათ აქვთ განვითარების ფაზები და ოჯახის წევრთა გარკვეული სტრუქტურა. ოჯახის სტრუქტურა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი

ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოების, თუ პიროვნების მოთხოვნილებების კვალდაკვალ იცვლება, ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ მდგრადობას.

ქართული ოჯახური ფასეულობები და ღირებულებები არის ის საფუძველი, რომელზედაც აგებულია საზოგადოება. ამ პატარა ორგანიზმში ყვავის და იფურჩქნება საზოგადოების მომავალი წარმომადგენელი. მისი ზრდილობა, ზნეობა, ეთიკა, კარგი ქცევა, უფროსებისადმი პატივისცემა, პატარებისადმი გულისხმიერება, მეგობრებისადმი გულითადი და ჰუმანური მოპყრობა, სტუმარ-მასპინძლობა და ა. შ ყველა ის კეთილ ქცევა, რომელიც ადამიანს უნდა ახასიათებდეს..

უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ქართული ოჯახის ფასეულობებისა და ღირებულების შენარჩუნებაზე დამანგრეველ იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ქართველი ხალხისათვის უცხო და დამანგრეველი იდეებისა და ღირებულებითი სისტემის - დესტრუქციული იდეოლოგიის დანერგვა, ასეთად კი მიჩნეულია: ეგოიზმის, ყველაფრის ნებადართულობის (დაუსჯელობის), უზნეობის კულტი, პატრიოტიზმის, სამშობლოს მსახურების, დემოგრაფიული მდგომარეობის დარეგულირების, შემოქმედებითი შრომის, მსოფლიო ისტორიაში საქართველოს პოზიტიური წვლილის იგნორირება.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, ფასეულობები, საზოგადოება, ტრადიცია.

თამარ მათიაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან საქართველოს გლიპტიკური ძეგლების მიხედვით

აქემენიდურ ირანსა და კოლხეთ-იბერიას შორის არსებული პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ეკონომიური კონტაქტების შესახებ საკმაოდ დიდი ინფორმაციის მომწოდებელია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ არქეოლოგიაში აქემენიდური ირანის თემა შემოიტანა იულონ გაგოშიძემ, რომელიც ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც აღნიშნული პრობლემის მრავალპლანიანი ასპექტით შესწავლის აუცილებლობა დაასაბუთა. ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ზ. ბრაგვაძეს, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით. მას საქართველოში აღმოჩენილი ირანული არტეფაქტები განხილული აქვს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ურთიერთობების შედეგი. სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია აზრი, რომ კოლხეთში სახელმწიფო შეიქმნა ძვ.წ. VI ს-ში და ამ სამეფოს აღმავლობის პერიოდად მიჩნეულია ძვ.წ. -VI-IV სს-ში, ანუ აქემენიდური ირანის ძლიერების ხანა. როგორც ცნობილია, სტრაბონის ცნობით კოლხეთი ამ დროს დაყოფილია სკეპტუხებად ხოლო დარიოს I-ის რეფორმების შედეგად ირანი დაყოფილია სატრაპიებად,

აქვე უნდა გავიხსენოთ ლეონტი მროველიც - ფარნავაზმა სამეფო დაყო ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად, საერისთაოებად და რაც მთავარია, მან ეს რეფორმა გაატარა და სამეფო მოაწყო სპარსთა სამეფოს მსგავსად. ანუ, სახელმწიფოს მოწყობის ირანული მოდელი ქართლის (იბერიის) სამეფოში ამოქმედდა აქემენიდების სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, ძვ.წ. III საუკუნეში. არქეოლოგ ზურაბ ბრაგვაძის აზრით ეს მეტად საყურადღებო გადმოცემაა, რადგან კარგად წარმოაჩენს, რომ ირანში შემუშავებული და განხორციელებული რეფორმები ამ სამეფოს შემდეგაც აქტუალური და მისაბამი იყო. მისაბამი იყო აგრეთვე ეკლექტიკური აქემენიდური ხელოვნებაც, რომელსაც ნასესხები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნების (ასურეთის, ბაბილონის, ელამის, ურარტუს, საბერძნეთის და სხვა.) ხელოვნების დეტალები. იგივე შეიძლება ითქვას აქემენიდური გლიპტიკის შესახებაც. ჯ. ბორდმანის აზრით აქემენიდური გლიპტიკის ძეგლებში ბერძნული და სპარსული სტილის მკვეთრად გამოიჯვნა რთული საკითხია და ზოგჯერ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აქემენიდურ საბეჭდავების მასალად უმეტესად სხვადასხვა ფერის ქალცედონი იხმარებოდა - დიდი სიყვარულით სარგებლობდა რძისფერი, განსაკუთრებით კი ცისფერი ქალცედონი-საფირინი. იშვიათად იყენებდნენ აგრეთვე აგატსა და სარდიონსაც. გლიპტიკოს ქეთევან ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრულია საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური გლიპტიკის ძეგლების

ფორმები: ცილინდრული, კონუსური, პირამიდული, სკარაბეოიდისა და მრავალწახნაგა. ჩვენ ამ ჩამონათვალს დავუმატეთ სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის სახელურიანი ბრინჯაოს საბეჭდავები, რომელთა ინტალიოზე აღბეჭდილი სიუჟეტები აქემენიდური ხელოვნების ზეგავლენით არიან შექმნილნი.

საკვანძო სიტყვა: აქემენიდები, გლიპტიკა, საბეჭდავები.

ცირა მესხიშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

იერუსალიმის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ

ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაში გამორჩეული ადგილი ჯვაროსნულ ომებს უკავია. ასეთი მასშტაბის სამხედრო-კოლონიური მოძრაობა, განხორციელებული რელიგიური იდეოლოგიით ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ, ისტორიას არ ახსოვს. 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა დაპყრობები განაგრძეს და მთლიანად დაიკავეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქები. ჯვაროსანთა დაპყრობების შემდეგ ევროპელმა ფეოდალებმა დაკავებულ ტერიტორიებზე ჯვაროსნული სახელმწიფოები დაარსეს, მათ შორის იერუსალიმის სამეფო, რომელიც პალესტინისა და

სირიის სამხრეთ ტერიტორიას მოიცავდა. ჩვენი მოხსენების ძირითადი თემა სწორედ იერუსალიმის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის თავისებურებების წარმოდგენაა, რომლის შესახებ ინფორმაციები ქართულ სამეცნიერო სივრცეში შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. იერუსალიმის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ საუკეთესო აღწერას გვაწვდის ცნობილი ებრაელი მეცნიერის, ჯომუა პრაუერის უზარმაზარი მემკვიდრეობა, რომელიც გამოცემულია ებრაულ ინგლისურ და სხვა ევროპულ ენებზე. სწორედ მისი ნაშრომების მიხედვით შევეცდებით შევავსოთ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობები იერუსალიმის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობაზე. იერუსალიმის მეფეებმა პირველ რიგში მიიღეს კანონები, რათა უზრუნველყოთ ქალაქში მყოფ ემიგრანტების სამართლებრივი მდგომარეობა. თავდაპირველად, იერუსალიმი იყო მთელი ჯვაროსნული სახელმწიფოს დედაქალაქი "იერუსალიმის სამეფო" (Regnum Hierosolymitanum), სახელმწიფოს დედაქალაქს სტატუსის პარალელურად, მაგრამ ამავე დროს იგი იყო "სენიორი" ჯვაროსნული სახელმწიფოს სამეფოში. სენიორის საკუთრება, ისევე როგორც სხვა სენიორების რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ჯვაროსნების მეთაურები და თავადაზნაურობა. და ბოლოს, იერუსალიმი, იყო და რჩებოდა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრად, როგორც განსაკუთრებული სიწმინდის, ისე

უკვე არსებული საეკლესიო ადმინისტრაციული სტრუქტურის გამო. იერუსალიმი იყო პატრიარქის ადგილსამყოფელი, სადაც ეპისკოპოსები და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მონასტრების წინამძღვრები იყვნენ მასზე დამოკიდებულები, აქვე იყო სამხედრო ორდენების მთავარი შტაბი, ქონებისა და ძალაუფლების მფლობელები, აგრეთვე სამონასტრო გაერთიანებების დაწესებულებები. საინტერესო იყო ძალიან იერუსალიმისთვის დამახასიათებელი ფენომენი სხვა ჯვაროსნულ ქალაქებთან შედარებით ე.წ. "პატრიარქის უბნის" არსებობა. ამ დროს იერუსალიმში არ არსებობდა ურბანული ორგანიზაცია ისეთი როგორც განვითარდა მაგ. დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში, (*municipium. comunitas*). ამ თავისებურებებმა ჩამოაყალიბა ქალაქის განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც თითქმის შეუდარებელი იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. იერუსალიმი, როგორც აღინიშნა იყო სამეფო ადმინისტრაციის ცენტრი, მაგრამ არსებობდა ორ სხვადასხვა დონეზე, სახელმწიფო დონეზე და მუნიციპალურ დონეზე. ურთიერთობები მეფესა და ვასალებს შორის სპეციალური სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრებოდა, რომელსაც „იერუსალიმის კონსტიტუცია, ე.წ. ასიზები“ ეწოდებოდა. ასიზების მიხედვით მეფე იყო „პირველი თანასწორთაგანი“ სახელმწიფოს ასეთი სისტემით მართვა-გამგეობის დაწესება განპირობებული იყო იმით, რომ ამ სახელმწიფოს შექმნაში ყველას თანაბარი წვლილი მოუძღოდა და ხელისუფლების

განხორციელების დროს ასევე თანაბარი უფლებები უნდა ჰქონოდათ. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქალაქის ადმინისტრაციის დანიშნულება და საგარეო, საშინაო, ინფრასტრუქტურის, სასამართლოს, თუ ფინანსური გავლენების სფეროების მიხედვით განსაზღვრული იერარქიები. საინტერესო ინფორმაციას წამოადგენს აგრეთვე ჯოშუა პრაუერი იერუსალიმის გეოეთნოგრაფიულ მდგომარეობასა და მის გავლენების შესახებ იერუსალიმზე, მის მმართველობაზე, ადმინისტრირებასა და სტატუსზე.

საკვანძო სიტყვები: იერუსალიმის სამეფო, პატრიარქის უბანი, იერუსალიმის კონსტიტუცია, სამხედრო ორდენების შტაბი, ჯოშუა პროუერი.

ვასილ მოსიაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ახალქალაქის გალავნის მშენებლობის საკითხი „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით

ნაშრომის მიზანია ახალქალაქის გალავნის მშენებლობის საკითხის კვლევა „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობების მიხედვით. ქართულ საისტორიო წყაროებში ახალქალაქი პირველად ბაგრატ IV-ის დროს არის მოხსენიებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მანამდე არ არსებობდა. „მატიანე ქართლისაჲს“ ახალქალაქის გალავნის მშენებლობასთან ერთად, მის

განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ვფიქრობთ, ჯავახეთის გაძლიერება-აღორძინებას ფართო გასაქანი XI საუკუნის დასაწყისში უნდა მისცემოდა. ამ დროს თმოგვი და სხვა ცენტრები შეცვალა ახალქალაქმა, რომელიც ზემო ჯავახეთში მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ჩვენი აზრით, იმდროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ჯერ ახალქალაქი დაარსდა და შემდეგ, მოგვიანებით, დაიწყო მისი ზღუდის მშენებლობა. გალავნის მშენებლობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდებოდა. ბაგრატ IV-ის დროს იგი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს ალფ-არსლანის ლაშქრობის დროს ახალქალაქის დაუმთავრებელი გალავნის მშენებლობის დაწყებაზე. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, როცა ლიპარიტი და ბაგრატ მეფის ძმა დემეტრე ბერძენთა ლაშქართან ერთად მოადგნენ ატენის ციხეს, მეციხოვნეები ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელის გარდა მეფის მხარეს დადგნენ.. ამის შემდეგ „გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“. ქართველი მემატიანის ამ ცნობის გამო ზოგიერთი მკვლევარი (გ. აფრასიძე, ლ. ჭილაშვილი, ე. ჯანდიერი) ახალქალაქის გალავნის მშენებლობას მეფის მოწინააღმდეგე მხარეს მიაწერს. ჩვენ ახალქალაქის გალავნის მშენებლობის ინიციატორად საქართველოს მეფე ბაგრატ IV მიგვაჩნია: „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ატენის ციხესთან ბრძოლაში, რომელსაც უშუალოდ მოსდევს

ახალქალაქის გალავნის მშენებლობის დაწყება, მეფე არ დამარცხებულა. იგი ლიპარიტს დაუზავდა და ისევ გაძლიერდა. ატენის ციხესთან ბრძოლის შემდეგ გამორიცხული არ არის, გაძლიერებულ მეფეს ახალქალაქის გალავნის მშენებლობის გადაწყვეტილება მიეღო. ახალქალაქის ზღუდის მშენებლობის შეწყვეტის მიზეზი ლიპარიტთან ურთიერთობის გამწვავება უნდა გამხდარიყო. შესაძლებელია, XI საუკუნის 60-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დროს ბაგრატ IV-მ ისევ განაახლა ამ გალავნის მშენებლობა, თუმცა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობის გამო ვერც ამჯერად მოხდა მისი დასრულება. დაუსრულებელი გალავანი, „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, ალფ-არსლანის ლაშქართან ახალქალაქის მეციხოვნეების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

საკვანძო სიტყვები: ახალქალაქი, ჯავახეთი, გალავანი, „მატიანე ქართლისაჲს“.

ედიშერ ნარიმანიძე,
ასისტენტ-პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს
ოკუპაცია" (კომუნისტური აგრესიის შემსწავლელი
საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში №6, აშშ-
ის წარმომადგენელთა პალატა, 83-კონგრესი, მე-2
სხდომა), აშშ, ვაშინგტონი, 1955**

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, მოსპო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მწარე ხვედრი გაიზიარა. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა მონობის მძიმე და სამარცხვინო უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარწუხებში. სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს ბრძოლა დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში 1921 წლიდან... ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით, 1954 წლის 31 დეკემბერს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესმა თავის მეორე სხდომაზე, კომუნისტური აგრესიის

შემსწავლელი საგანგებო კომიტეტის №6 სპეციალური ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადებული იყო წარმომადგენელთა პალატის ბრძანებების (რეზოლუციების) - HH. RES. 346 და HH. RES. 438 თანახმად (კანონპროექტი №929, წარმომადგენელთა პალატის მოხსენება №2684, ნაწილი 9), მიიღო რეზოლუცია სახელწოდებით: „COMMUNIST TAKEOVER AND OCCUPATION OF GEORGIA“ („კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია“). ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლის შექმნის და კონგრესის აღნიშნულ კომიტეტზე გატანის ინიციატორი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, იმ დროს აშშ-ის (ნიუ-იორკის) ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ლეო დუმბაძე იყო, 1954 წლის 31 დეკემბერს წარედგინა წარმომადგენელთა პალატის სახელმწიფო მდგომარეობის შემსწავლელ კომიტეტს და გადაეცა დასაბეჭდად. 1955 წელს, ვაშინგტონში, ის, ბროშურის სახით, აშშ-ის მთავრობის საგამომცემლო სახლმა გამოსცა. რეზოლუცია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია უცხოეთში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის წარმოჩენის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: 1921 წელი, ქართული ემიგრაცია, აშშ, 1955 წ.

ზურაბ ოქროპირიძე,
ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მესხეთის დიდი მოამაგე (ნიკო შიუკაშვილის ახალციხეში მოღვაწეობის შესახებ)

ნიკო შიუკაშვილი (1870-1937) XX ს. I ნახევრის თვალსაჩინო ქართველი დრამატურგი, პედაგოგი და თეატრალური მოღვაწე თელავის მაზრის სოფელ ხოდაშენში დაიბადა. იგი, როგორც თაობათა აღმზრდელი და შემოქმედი, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა. მას დიდად აფასებდნენ ქართულ სამწერლო და სათეატრო წრეებში. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში. მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა (1932) და დოცენტის (1935) სამეცნიერო წოდებები. სამწუხაროდ, გარდაცვალების შემდეგ დრამატურგის სახელი უსამართლოდ მიივიწყეს. ნიკო შიუკაშვილმა პედაგოგიურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე სამოღვაწეოდ ქვეყნის ყველაზე რთული რეგიონი - მესხეთი აირჩია, რომელიც თურქთა ხანგრძლივი ბატონობისაგან ყოველმხრივ დაუძლურებულიყო. ჩვენი მიზანი მისი მოღვაწეობის ამ პერიოდის (1894-1907) წარმოჩენაა. მან ახალციხეში ჩასვლისთანავე ფართო სამოღვაწეო ფრონტი გაშალა, სკოლის კათედრას თეატრიც მიაშველა, შექმნა

დრამატული წრე, აწყობდა წარმოდგენებს. თვითონ იყო რეჟისორიც, სცენარისტიც, მსახიობიც. ეხმარებოდა ობოლ, გაჭირვებულ ბავშვებს. 1898-1900 წლებში იგი ახალქალაქის სკოლის მასწავლებლად გადაჰყავთ. 1901 წლიდან კვლავ ახალციხეშია. ერთხელ დასს პიესები შემოაკლდა. ნიკომ თავად სცადა პიესის დაწერა. ასე შეიქმნა მისი პირველი დრამა - „გამხმარი ფოთოლი“ (1906), რომელიც ოჯახურ საკითხებს ეხებოდა. პიესა წარმატებით დაიდგა სცენაზე. მსახიობები გვიან მიხვდნენ ავტორის ვინაობას და ოვაციებით შეხვდნენ მას. პირველს მეორე დრამა - „მეგობრობა“ (1907) მოჰყვა. ორივემ ფართო გამოხმაურება ჰპოვა სალიტერატურო კრიტიკაში. ნიკო შიუკაშვილის ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენია სამცხის ქართველობას. გაზეთი „ასპინძა“ (1974, N146) წერდა: „ნიკო შიუკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კუთხის აღორძინებაში, კულტურული ცხოვრების წინსვლაში... მის ამაგს აღნიშნავენ მკვლევრები: გ. ჯავახიშვილი, ი. მაისურაძე, დ. კოჟორაძე და სხვები. „თერგდალეულთა“ ეროვნულ იდეებზე აღზრდილი ცდილობდა მესხთათვისაც განეცხადებინა დიდ ქართველთა გულისწადილი. 1907 წელს (27.10) ნიკოს თაოსნობით გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. გაზეთი „ისარი“ (1907, N249) ვრცლად გამოეხმაურა ამ მოვლენას. რეცენზენტი აღფრთოვანებულია წარმოდგენის ორგანიზებით, დამდგმელის ღრმააზროვანი სიტყვით: „ნეტარ-განსვენებულ იყავ მოძღვარო!.. აქ, ძველს მესხეთში, პატარა ჯგუფი შენის ერისა გიძღვნის

გვირგვინს დიდი მგოსნის, შოთას აკვანზედ აღმოცენებულს...“ დრამატურგმა დამსწრეთ მოუწოდა დარაზმულიყვნენ ილიას ეროვნული იდეის გარშემო.

საკვანძო სიტყვები: ნიკო შიუკაშვილი, მესხეთი, ახალციხე, პედაგოგი, მოღვაწეობა.

დარეჯან ჟუჟუნაძე,
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სოციალურ–პოლიტიკური საკითხები სამცხე– ჯავახეთში 1917–1921 წლებში

1917–1921 წლებში სამცხე–ჯავახეთში დაძაბული ცხოვრების გამო არაერთი მტკივნეული პრობლემა ინასკვებოდა. ეს პრობლემები მხოლოდ საომარი მოქმედებების შედეგად შექმნილი ეკონომიკური სიძნელეებიდან კი არ გამომდინარეობდნენ, არსებობდა სხვა სახის პრობლემებიც. შინაგანად დაძაბულ ურთიერთობებში იკვეთებოდა ამ კუთხის რელიგიურად და ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის პოზიცია. ძირითადი პრობლემა იყო ერთი მხრივ აბორიგენ მოსახლეობას, ქართველებსა და მეორე მხრივ XIX საუკუნეში შემოხიზნულ „უცხოელთა“ თანაცხოვრების მოუგვარებელი სოციალურ–პოლიტიკური საკითხები. ცალკეულ ეთნიკურ რელიგიური ჯგუფების მიხედვით ეს პრობლემები სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა და განსხვავებულ მიმართულებას იძენდა. მესხეთის მაჰმადიან

ქართველთა ნაწილმა, რომელთა გონება ქრისტიანული რელიგიისადმი შიშმა მოიცვა, ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა თურქეთის პოლიტიკურ აგენტებს, თურქი ემისრებისა და ავანტიურისტი ბეგ-აღალარების ერთ ბლოკში გაერთიანებას. ჯამუშებისა და პოლიტიკური ავანტიურისტების ამ კავშირმა საბედისწერო როლი შეასრულა მესხეთის ისტორიაში. ისინი თანდათან გაეთიშნენ საკუთარ ხალხს და ქვეყანას და აშკარად თურქოფილურ პოზიციებზე დადგნენ. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ წინააღმდეგობამ თავი იჩინა მესხეთში. ამასთან ერთად, მმართველმა ორგანოებმა, („ოზაკომმა“) მოსახლეობაზე ფიქრის ნაცვლად, მრავალეროვანი ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალ-რელიგიური დაპირისპირების, მტრობა-შეტაკებისა და ურთიერთსისხლისღვრისთვის პირობები შეამზადეს. საქართველოს სამხრეთ რეგიონებში უკვე 1917 წელს შესამჩნევი გახდა მუსლიმთა ბანდების გააქტიურება, რაც ამ კუთხეში თურქული პარტიების პირდაპირი მუშაობის შედეგი იყო. პანისლამიზმის იდეების მქადაგებლეთან დაახლოებული ბეგები მთავრობასთან აშკარა კონფლიქტში ჩაებნენ „ჩართების“ იმედად. სამცხე-ჯავახეთში სამოქალაქო ომის ვითარება შეიქმნა და მან რელიგიურ-შოვინისტური ხასიათი მიიღო. საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ქართული სოფლების ლტოლვილი მოსახლეობის გახიზვნისა ფაქტები, მენშევიკური მთავრობის სახელზე გაგზავნილი საჩივრის წერილები, სადაც დაწვრილებითაა აღწერილია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. „გაქცევები“ - ასე ეწოდა მესხეთში

სამოქალაქო ომის დროს ამ კუთხიდან მარაბდასა და წალკაში, ბორჯომსა და ბაკურიანის ტყეებში გაქცეულ ქართველთა მასიურ დევნას, რომელსაც მუსლიმური რაზმები ეწეოდნენ თურქეთულ ჯარებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ლტოლვილები, სამოქალაქო დაპირისპირებები, აჯანყებები, გაქცევები, მსხვერპლი.

განათლება

გულიკო ბექაური,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სწავლის მოტივაცია დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან (ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის მაგალითზე)

უდავოა, რომ მოტივი მნიშვნელოვანად განსაზღვრავს პიროვნების ქცევის მიმართულებას, შინაარსს და გავლენას ახდენს მის წარმატება-წარუმატებლობაზე, სწავლის მიზანსა და განვითარებაზე. ბოლო პერიოდში განათლების ფსიქოლოგიაში უფრო და უფრო აქტიურად ვხვდებით სხვადასხვა ტიპის კვლევებს სტუდენტთა სწავლის მოტივაციაზე ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოტივს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მასზე ბევრად არის დამოკიდებული პიროვნების ღირებულებები, ქცევის ხასიათი და შინაარსი. კვლევის მიზანი იყო, ფსიქოლოგიის სასწავლო კურსთან დაკავშირებული სწავლის მოტივების შესწავლა. ამ მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი

განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის I-IV კურსის სტუდენტებთან ჩავატარეთ გამოკითხვა. კვლევის დროს გამოყენებული იქნა სწავლის მოტივაციის საკვლევი სტანდარტიზებული კითხვარი. გამოკითხვა იყო ნებაყოფლობითი, დაცული იყო ანონიმურობა და კონფიდენციალურობა. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი (90 %-ზე მეტი) ფსიქოლოგიის საგნის სწავლებისას შინაგანი მოტივებით ხელმძღვანელობს, ანუ, მათ ქცევას საფუძვლად უდევს შინაგანი ინტერესი, მოთხოვნილება და პიროვნული თავისებურებები. სხვადასხვა კურსის სტუდენტთა მონაცემების შედარების შედეგად არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. დებულებების შეფასებისას კვლევაში მონაწილე 72 სტუდენტი (100 %) თვლის, რომ "ფსიქოლოგიის ცოდნა ღირებულია და უნდა ეცადო, რაც შეიძლება მეტი იცოდე". I და IV კურსის სტუდენტებთან უფრო მაღალია შინაგანი მოტივაციის საშუალო ქულა, (I-17,61%, IV-17,38%) თუმცა არის მცირედი განსხვავება I კურსის უპირატესობით. მეორე კურსის სტუდენტებში შედარებით დაბალია შინაგანი მოტივაციის საშუალო ქულა (14,11%). მოტივაციის ამადლებაზე ზრუნვა ფუნდამენტურია სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ, ნებისმიერი საგნის სწავლებისას, სწორად უნდა შევაფასოთ სტუდენტთა ინტერესები და მოთხოვნილებები. შესაბამისად დავგეგმოთ ისეთი

სასწავლო პროცესები და აქტივობები, რომელიც უკეთ დაანახებს თითოეული საგნის საჭიროებას და დადებით გავლენას მოახდენს მათ თვითშეფასებაზე, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, მოტივი, სტუდენტი.

ნინო კარკაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სოციალური მედიის როლი ბავშვთა განვითარების ადრეულ ეტაპზე

ციფრული გარემო თავდაპირველად შეიქმნა მოზარდი მომხმარებლისათვის და ვერავინ იფიქრებდა, თუკი ის ერთ დღეს გახდებოდა ადგილი, სადაც ბავშვობას გაატარებდი. ეს სიტყვები ხშირად გვესმის სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც ბავშვთა ფსიქოლოგები, უფლებადამცველები, მასწავლებლები თუ მშობლები გამოდიან და 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევასა თუ პრობლემაზე - სოციალურ მედიაზე საუბრობენ.

სამეცნიერო სტატიაში გაშუქებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და ანალიზი, თუ რა გავლენას ახდენს სოციალური მედია ბავშვთა განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. კვლევა ჩატარდა 2024 წლის მარტის თვეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში. საკვლევ მეთოდად შეირჩა კვლევის თვისებრივი მოდელი და თვისებრივი კვლევიდან გამოყენებული

იქნა ფოკუს ჯგუფი. ფოკუს ჯგუფი შედგებოდა სამი მშობლისგან განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიის ბავშვების, ორი ბავშვთა ინკლუზიური განათლების და განვითარების სოციალისტი და ერთი ბავშვთა ფსიქოლოგისგან.

კვლევის შედეგებსა და ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ციფრული ჩვევები იწყება ადრეულ ასაკში და ის ზეგავლენას ახდენს მოზარდ ასაკზეც. ბავშვთა ფსიქოლოგი მ. შოვნაძე აცხადებს: “ ჩვენ ბრმად ვერ ვენდობით ციფრულ სანდოობას ბავშვებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კონტროლირებადი უნდა იყოს მთავრობის და სხვადასხვა ინდუსტრიის მიერ”.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, სოციალური მედია მენეჯმენტი, ბავშვთა განვითარება, განვითარების ეტაპები.

ირმა ქურდაძე,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

ტრანზიციის მნიშვნელობა სკოლამდელი და ზოგადი განათლების ინტეგრაციის პროცესში

ბავშვის სკოლის დაწყებისათვის მომზადება მის ცხოვრებაში ახალ ცხოვრებისეულ ეტაპს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია იმ გამოწვევებისა და სირთულეების ცოდნა, რაც ბავშვებმა და მათმა ოჯახებმა უნდა გადალახონ ამ პროცესში.

კვლევების თანახმად, ბავშვების დიდი ნაწილისთვის სკოლის დაწყების გამოცდილება კულტურულ შოკსაც კი უკავშირდება (Brostrom, S 2007).

სკოლაში ტრანზიცია, რომელიც ყველა ბავშვისთვის კომპლექსურ ცხოვრებისეულ ცვლილებასთან არის დაკავშირებული, კიდევ უფრო სტრესული და გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის (Rosier, K., McDonald, M., 2011).

სკოლაში ტრანზიციისადმი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ ბავშვების მხარდაჭერა, რომლებსაც განვითარებისა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ, ასევე სოციალურად დაუცველი ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახების შვილები და სხვა.

აღნიშნული პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისათვის სკოლას ბავშვების ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა უნდა გააჩნდეს, რაც სკოლების ავტორიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია.

ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ყველა ბავშვისთვის გარკვეული სტანდარტული მხარდამჭერი პროცედურების არსებობის გარდა, აუცილებელია ასევე ცალკეული ბავშვისათვის მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, სპეციფიკური მხარდამჭერი ღონისძიებების არსებობის გათვალისწინებაც.

საკვანძო სიტყვები: ტრანზიცია, ბავშვების მხარდაჭერა, განვითარებისა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.

ნატო ყრუაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ქართველ დედათა სასწავლებელი სტამბოლში (XIX-XX საუკუნეთა მიჯნა)

XIX საუკუნეში, 1861 წელს, მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა ქალაქ სტამბოლში დააფუძნა ქართველ კათოლიკე მამათა სავანე. 1871 წელს კი დაარსა დედათა მონასტერი. მისი მიზანი იყო სასულიერო პირთა მომზადება და მათი სამშობლოში დაბრუნება. სავანეთა დამფუძნებელს სურდა, რომ მოწაფეებს საფუძვლიანად სცოდნოდათ მშობლიური ენა და ჰქონოდათ ეროვნული ცნობიერება. პეტრე ხარისჭირაშვილის ზრუნვით დედათა სავანეს კუთვნილებაში გადაეცა საცხოვრებელი და სასწავლებლის შენობები. მისივე ანდერძით მამათა სავანეს უნდა ეზრუნა დედათა სავანეზე 10-15 წლის განმავლობაში. სინამდვილეში კი ოცდაცამეტი წელი გაგრძელდა - 1904 წლამდე. ამის შემდგომ „სტამბოლის დედათა მონასტრის წინამძღვარი“ ოცდაათი წლის განმავლობაში იყო ელისაბედ ბეჟანიძე. იგი ასევე ხელმძღვანელობდა მონასტერთან არსებულ ქალთა ქართულ-ფრანგულენოვან სკოლას. ცდილობდა გაეფართოებინა მონასტერი და გაეზარდა საქართველოდან წაყვანილი მოსწავლე გოგონების რიცხვი. პედაგოგები მხოლოდ ქართველი მონაზვნები იყვნენ. თავისი მიზნების მისაღწევად სჭირდებოდა ახალი შენობა. ამიტომ დახმარებისათვის მიმართა

ცნობილ მეცენატებს - ზუბალაშვილებს. მამათა და დედათა მონასტრების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინების გეგმა მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1919 წელს ელისაბედ ბეჟანიძემ ოფიციალური თხოვნით მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრს ნოე რამიშვილს. კერძოდ, მან მოითხოვა ნება დაერთოთ, რათა ევროპული სწავლა-განათლების შემოტანის მიზნით, ქალაქ ახალციხეში გაეხსნა ქართულ და ფრანგულ ენაზე დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები. საქართველოს მთავრობამ მას თანხმობა განუცხადა. ამიტომ, ელისაბედ ბეჟანიძე 1920 წელს საქართველოში ჩავიდა და მთავრობას წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ჩაშალა ეს ეროვნული საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის ქართველ დედათა მონასტერში და სკოლაში სწავლობდა ახალციხის (რაბათის) ქალთა სკოლის მრავალი კურსდამთავრებული. მათ შორის იყვნენ: ნატალია გიორგაძე და ალათია გოზალიშვილი. ასევე სწავლობდნენ სტამბოლელი ქართველების შვილებიც. ე.ი. ემსახურებოდნენ თურქეთში გადახვეწილი ქართველების განათლებასა და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: სტამბოლი, დედათა სავანე, ეროვნული ცნობიერება, ელისაბედ ბეჟანიძე...

ვეტერინარია

ვასილი ბასილაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
დემნა ხელაია,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

პარამფისტომიდოზების გავრცელება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სასაკლავოს მონაცემების მიხედვით

იმის გათვალისწინებით, რომ პარამფისტომების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შუალედურ მასპინძელს - მტკნარი წყლის ლოკოკინას, გადავწყვიტეთ დაავადების გავრცელება შეგვესწავლა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის მაგალითზე, სადაც მრავლადაა ჭაობიანი საძოვრები და, შესაბამისად, დაავადების განვითარებისათვის ესოდენ საჭირო პირობები. 2023 წლის ნოემბერ/დეკემბერსა და 2024 წლის თებერვალ/მარტში სრული პათანატომიური გამოკვლევა ჩატარდა 481 სულ საკლავ მსხვილფეხა პირუტყვის შინაგან ორგანოებზე (ფაშვი, ბადურა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი), რომელთაგან 95 - ში აღმოჩენილი იქნა პარამფისტომები, რაც შეადგენს 19,8 %-ს. აღმოჩნდება, რომ პარამფისტომატოზის ექსტენსივობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ხობის (23,2 %), სამტრედიისა (21,9 %) და აბაშის (20,7%)

მუნიციპალიტეტებიდან გამოკვლეულ მსხვილფეხა რქოსან საქონელში. გარდა ამისა, ჩვენ მიერ დადგენილ იქნა პარამფირტომიდოზით დაინვაზების ინტენსივობის მაჩვენებელი. იგი მერყეობდა საშუალოდ 100 -დან 300 ერთეულ პარამფისტომამადე, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში მან გადაამეტა 400 ერთეულსაც (6 შემთხვევა). აქვე აღვნიშნავთ, რომ სუსტი ინვაზის შემთხვევაში საკლავი ცხოველის ნასუქობის მაჩვენებელი (FOCT 5110 – 87 - ის მიხედვით) ძირითადად იყოს საშუალო, ხოლო საშუალო და ძლიერი ინვაზიას - საშუალო ან საშუალოზე დაბალი.

საკვანძო სიტყვები: პარამფისტომები, შუალედურ მასპინძელი, ლოკოკინა, დაინვაზების ინტენსივობის მაჩვენებელი.

გიორგი ბუცხრიკიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
თენგიზ ყურაშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ენდომეტრიტით დაავადებული ფურებიდან გამოყოფილი პათოგენების ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობა

ენდომეტრიტით დაავადებული ფურებიდან გამოყოფილი და შესწავლილია აღმძვრელი, დადგენილია ეთიოლოგიური როლი. ცდების

მსვლელობისას ავადმყოფი ფურების საშოდან და საშვილოსნოს ყელიდან გამოვყავით ბაქტერიები, E. coli (8 შემთხვევა), Staphylococcus aureus(4 შემთხვევა), Staphylococcus spp(2 შემთხვევა), Candida albicans(1 შემთხვევა), Proteus vulgaris (1 შემთხვევა), კულტურები. ჩვენს შემთხვევაში ბაქტეროგიული კვლევის შედეგად გამოყოფილი მიკრობები, მგრძნობიარეა და რეზისტენტულია ანტიბიოტიკების მიმართ. E. coli, Staphylococcus aureus, Staphylococcus spp, Candida albicans და Proteus vulgaris 12 დასახელების ანტიბიოტიკის უმრავლესობის მიმართ. ამოქსაცილინი/კლავულანი მჟა, პიპერაცილი/ ტაზობაქტანი, ცეფოტაქსიმი, ცეფტაზიდიმი, ცეფეპიმი, ცეფოქსიტინი, ტიგეციკლინი, ციპროფლოქსაცინი, ერტაპენემი, ტრიმეტოპრიმ / სულამეტოქს, ნიტროფურანტიონი და ფოსფომიცინი.

საკვანძო სიტყვები: ენდომეტრიტით დაავადებული ფურები, ეთიოლოგიური როლი, რეზისტენტულობა.

სერგო რიგვავა,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
მერაბ ნათიძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ლევან მაკარაძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ჰუმორული იმუნიტეტის შეფასება ანტისტაფილოკოკურ შრატში თანამედროვე ტესტ-სისტემების გამოყენებით

ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, ჰომოლოგიურ და პოლიკლონურ ჰიპერიმუნურ შრატებში სპეციფიკური ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სეროლოგიური ტესტ-სისტემები.

ნაშრომის მიზანია სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების შემუშავება და პასიური (არაპირდაპირი) ჰემაგლუტინაციის რეაქციაში გამოყენება პროდუცენტ-ცხოველებიდან (თხები) მიღებულ ჰიპერიმუნურ შრატში, ანტიბაქტერიული და ანტიტოქსიკური ანტისხეულების ტიტრის დასადგენად.

სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემის დამზადება და კონტროლი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) სენსიტინების - ბაქტერიული ანტიგენების და გაწმენდილი ანატოქსინის გამოყენება. სადიაგნოსტიკო პრეპარატის მგრძნობელობა დამოკიდებულია სენსიტინის ოპტიმალური დოზის დადგენაზე, რომლის განსაზღვრა ექსპერიმენტული გზით ხორციელდება, ბ) სენსიტინის მტარებლის მომზადება, რომლის ფუნქციას ყოჩიდან აღებული და სათანადო ტექნოლოგიით დამუშავებული ფორმალინიზირებული სისხლის ერთროციტები ასრულებს. დიაგნოსტიკუმის დამზადების შემდგომი ეტაპებია ერთროციტების სენსიბილიზაცია და მზა პრეპარატის ლიოფილური გაშრობა პროტექტული ხსნარების გამოყენებით.

ექსპერიმენტულ გამოკვლევებს დაექვემდებარა 11 თხის ჰიპერიმუნიზაციით მიღებული სისხლის

შრატი. სარწმუნო შედეგების მისაღებად პასიური ჰემაგლუტინაციის ტესტით ანტისხეულების განსაზღვრა ხორციელდებოდა ნორმაში და ჰიპერიმუნიზაციის ციკლის დამთავრების შემდეგ. დადგენილ იქნა, რომ ნორმაში ანტიბაქტერიული ანტისხეულების ტიტრმა შეადგინა 1:10 – 1:80, ხოლო ანტიტოქსიკური ანტისხეულების ტიტრმა - 1:10-1:40. ანტისხეულების დონის მკვეთრი ზრდა აღინიშნა იმუნიზირებული ცხოველების სისხლის შრატში, რასაც ადასტურებს მიღებული შედეგები, კერძოდ, ანტიბაქტერიულმა ტიტრმა შეადგინა 1:5120 -1:20480, ხოლო ანტიტოქსიკურმა 1:320 – 1:1280.

პასიური (არაპირდაპირი) ჰემაგლუტინაციის რეაქცია არ საჭიროებს ძვირადღირებულ აპარატურას, ხასიათდება მაღალი მგრძნობელობით და სპეციფიკურობით, დადგმის სიმარტივით და უმოკლეს დროში (3-5 სთ) შედეგების აღრიცხვით.

საკვანძო სიტყვები: ტესტ-სისტემები, ანტისხეულები, ჰიპერიმუნიზაცია, ანტიბაქტერიულმა ტიტრი.

ლევან მაკარაძე,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

ზურაბ მაკარაძე,

ასოცირებული პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

ნინო მილამვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ეკატერინე ჩაჩუა,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სიმსივნეები და მათი განვითარების თავისებურებები

სიმსივნეები ვეტერინარიის და მედიცინის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემაა და მის მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია. სიმსივნეების ორგანიზმში განვითარების მექანიზმის დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის.

ასევე ბურუსითაა მოცული უმრავლესი სიმსივნეების ეტიოლოგიის ფაქტორი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ართულებს, ზოგჯერ კი შეუძლებელს ხდის სიმსივნეების წინააღმდეგ განხორციელდეს მეცნიერულად დასაბუთებული, ეფექტური სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ავტორების მიერ ყურადღება გამახვილდება ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში სიმსივნეების განვითარების თავისებურებებზე და მოსალოდნელ შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: სიმსივნე, სიკვდილიანობის მაჩვენებელი, სიმსივნეების ეტიოლოგიის ფაქტორი.

მიხეილ სოხაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
იოსებ მენტეშაშვილი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
თენგიზ ყურაშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

საქართველოში კენტჩლიქიანი ცხოველების და ძაღვების ბრუცელოზის გავრცელება და მისი ეპიზოოტიური და ეპიდემიური შეფასება

ბრუცელოზი ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური, ზოონოზური უჯრედშიდა ბაქტერიით გამოწვეული დაავადებაა. ავადდება მრავალი სახეობის შინაური და გარეული ცხოველი. კერძოდ: მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ღორი, ირემი, ცხენი, აქლემი, ძაღლი, კატა, კურდღელი, ქურციკი, მელია, გარეული ღორი, მღრღნელები და სხვა.

ბრუცელოზის ბაქტერიით დაინფიცირება ჩვეულებრივ ხდება დაავადებულ ცხოველებთან და მათ გამონაყოფებთან უშუალო კონტაქტით ან დაბინძურებული საკვები პროდუქტების მოხმარებით.

ბრუცელოზის დაავადების სამართავად მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას ეპიზოოტიურ

პროცესში მონაწილე ყველა დაავადების ამთვისებელი ცხოველი.

ბრუცელოზზე გამოკვლეული კენტჩლიქიანი ცხოველების და ძაღლების კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია საშუალებას მოგვცემს გავიგოთ თუ რა როლს ასრულებენ ზემოაღნიშნული ცხოველები საქართველოში ბრუცელოზის დაავადების გავრცელებაში.

საკვანძო სიტყვები: ბრუცელოზი, ზოონოზი, ეპიზოოტიური პროცესი.

აგრონომია და ეკოლოგია

თეიმურაზ გვარამაძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ენტომოლოგიის როლი მცენარეთა დაცვის საქმეში

ნაშრომში განხილულია მცენარეთა მავნებლები, რომლებიც მძიმე მდგომარეობის წინაშე აყენებს მოსავლიანობას მემცენარეობის მხრივ. განხილულია თავისი მავნეობის მიხედვით, თუ რომელი მავნე მწერთა ჯგუფი რომელ მცენარეებს აზიანებენ. ესენია: ხეხილის ბაღები, ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები კულტურები, მაგალითისათვის, ძაღლყურძენათა ჯგუფის წარმომადგენელი მცენარეები და სხვა. ცალცალკე განხილულია თავისი მავნეობის მიხედვით ტკიპები, ნემატოდები, მოლუსკები, თაგვები, ვირთაგვები, კალიები და სხვა. მავნე მწერები გვხვდებიან ადამიანის ბინებშიც, სადაც აფუჭებენ ტანსაცმელს (ჩრჩილი), ავეჯს (რკილი, ხარაბუზები). ამრიგად, მავნე მწერები ადამიანებისათვის ყველაზე საშიშ მტრებს წარმოადგენენ. თავისი მავნეობის მიხედვით ყველაზე დიდი მავნეობით გამოირჩევა.

მასიური გამრავლების მწერები მაგალითისათვის სიმინდის ფარვანა, რომელიც დასავლეთ საქართველოში სამ თაობას იძლევა და დებს 2000-2500-კვერცხს.

ნაშრომში განხილულია ასევე სასარგებლო მწერები, რომლებიც იკვებებიან მავნე მწერების კვერცხებითა და მატლებით, ასევე ტკიპებით და ბუგრებით. მაგალითისათვის 1960-იან წლებში, ბორჯომის ხეობებში და მთლიანად საქართველოს ტყეებში, გახმოვის პირას მიიყვანა ნამვის ხეები ლაფანჭამიამ, რომლის გადარჩენაში მთავარი გადამჭრელი როლი ითამაშა ენტომოფაგმა, ხოჭო რიზოფაგუსმა. ბათუმის ბიოლაბორატორიაში გამოყავდათ ხოჭო კრიპტოლემუსი, რომელიც იკვებება ციტრუსებსა და ჩაიში ბუგრებითა და ტკიპებით. მავნე მწერების განადგურების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჭიამაია როდოლიას.

საკვანძო სიტყვები: ენტომოლოგია, სასარგებლო მწერები, მცენარეთა დაცვა.

ნანა ზუბაშვილი,
ბიოლოგიის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მარცვლეულ კულტურებში დაავადების გავრცელების მოდელირება კლიმატის ცვლილების პირობებში

მცენარეთა დაავადებების გავრცელება მნიშვნელოვან რისკებს უქმნის გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას და გარემოს მდგრადობას, მთელ მსოფლიოში და იწვევს პირველადი პროდუქტიულობისა და ბიომრავალფეროვნების

დაკარგვას, რაც უარყოფითად აისახება დაზარალებული რეგიონების ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. მცენარეთა დაავადებებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების პროგნოზირება საკმაოდ რთულია, რადგან ჩართულია მცენარეების, პათოგენების და გარემოს მრავალი ასპექტი. ეს ფაქტორები მოიცავს ტაქსონების განაწილებას და სიმრავლეს (გეოგრაფიული დიაპაზონი, ნიშების უპირატესობა), მათ ვარგისიანობა და ვირულენტობა, აბიოტური ურთიერთქმედება, მცენარე-მიკროორგანიზმის ევოლუციური პროცესები, მასპინძლისა და ვექტორის ბიოლოგია და გარემო პირობები. ასევე ნაშრომში ხაზგასმით აღვნიშნავთ რომ კომბინირებული ეფექტები უფრო გამოხატულია, ვიდრე ინდივიდუალური ეფექტები და, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა ფაქტორების კომბინაცია. ტექნოლოგიური მიღწევები გვთავაზობს უპრეცედენტო შესაძლებლობებს ბიოლოგიური, ეკოლოგიური და ევოლუციური ცოდნის გენერირებისა და ინტეგრაციის პოლიტროფიულ მოდელებში. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც მოიცავს ტექნიკურ ინოვაციებს და ციფრულ ინოვაციებს მცენარეთა დაავადებების მართვის ეფექტური და მდგრადი გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის ზუსტი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებს შეუძლია დაავადების ადრეული იდენტიფიცირება რათა დაეხმაროს ეფექტური და ეკოლოგიურად მიზნობრივი კონტროლის ზომების განხორციელებაში მოდელირება უნიკალური და ეკონომიური მიდგომაა მცენარეთა ინფექციურ დაავადებებსა და მდგრადობაზე კლიმატის ცვლილების

გრძელვადიანი ზემოქმედების პროგნოზირებისთვის. ნაშრომში განხილულია სიმულაციური მოდელები. DSSAT მოდელის და/ან APSIM მოდელი დაავადების რისკის შესაფასებლად ხორბლის და სხვა მარცვლოვან კულტურებში საქართველოს ზონებში. მაგ. DYMEX-APSIM მოსავლის დაავადების მოდელის გამოყენებით ხორბლის ჟანგის დაავადების სიმულაციისთვის, აჩვენა, რომ მოდელს შეეძლო დაავადების პროპორციის პროგნოზირება გამოკვლეულ რამდენიმე წელიწადში და შეუძლია შეცვალოს ხორბლის მცენარის განვითარება ჟანგის პოპულაციაზე. ნაშრომში ვაანალიზებთ თუ რა მნიშვნელოვანია დაავადებების და მოსავლიანობის პროგნოზირებისათვის მოდელირების გამოყენებას და ხაზს ვუსვამთ სხვადასხვა პრინციპების ინტეგრირების აუცილებლობას პოლიტროფიულ, ეკო-ევილუციური ჩარჩოებში. კლიმატის ცვლილება ქმნის შიდა და ინტერსპეციფიკურ კომპრომისებს, რომლებიც არეგულირებენ მცენარეთა ინფექციური დაავადებების მთელ ეპიდემიოლოგიურ პროცესს და დადასტურდა რომ პროგნოზირებული მოდელების გამოყენებით, ძალიან ცოტა მკურნალობამ შეამცირა დაავადების დაწყებამდე გამოყენებული ქიმიკატების რაოდენობა.

საკვანძო სიტყვები: მარცვლეული კულტურები, ინფექციური დაავადება, კლიმატის ცვლილებები, მოდელირება.

მზია ლობჯანიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**სამკურნალო, არომატული, სანელებელი და
საღებარი მცენარე თავშავა ჩვეულებრივი
Origanum Vulgare L. გამრავლების ფორმები
სამრეწველო პლანტაციებში**

საქართველოს ერთ-ერთ სიმდიდრეს მისი მრავალფეროვანი ფლორა წამოადგენს. რომელსაც მუდმივი დაცვა, აღდგენა და კონსერვაცია სჭირდება. ჩვენი მცირემიწიანი ქვეყნისათვის ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავე და აქტუალურია.

სამკურნალო, თაფლოვან, საღებარ, არომატულ და სანელებელ მცენარეებზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება, რადგან მათ ვერ ცვლის სინთეზური გზით მიღებული ქიმიური პრეპარატები. გამომდინარე იქიდან, რომ მცენარეში ონტოგენეზის პერიოდში წარმოქმნილი ნივთიერებები უმნიშვნელოვანესია ცხოველური, მათ შორის ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლიტური პროცესებისათვის, შესაბამისად, მათი უპირატესობა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იკვეთება. სამკურნალო მცენარეების გამოყენება უსაფრთხო, მარტივი და ეფექტურია, რადგან არ არის ტოქსიკური, ორგანიზმში არ იწვევს ალერგიულ ან სხვა უარყოფით მოვლენას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

თავშავას კულტივირებისას, პლანტაციის გაშენებამდე პირველ რიგში გამოკვლეული უნდა იყოს ეკოპარამეტრები: ნიადაგის ნაყოფიერება, ნალექები, ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა, გარემოს დაბინძურების ხარისხი და სხვ. ისინი პროდუქტულობის და ხარისხის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ლიმიტირებადი ფაქტორებია. თავშავა მომთხოვნია ნიადაგის ნაყოფიერებისადმი. მისი კულტივირებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ უდიდეს როლს თამაშობს ნიადაგის დამუშავების ხარისხი, რათა ოპტიმალური რეჟიმით მოხდეს საკვები ელემენტების, ტენის და სხვა პარამეტრების დიფერენცირება-გამოყენება ეკოლოგიურად სუფთა მაქსიმალური მოსავლის მისაღებად.

საქართველო ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყანაა და სწორედ მისი უნიკალური გეოგრაფიულ-კლიმატური ფაქტორები და ნიადაგის შედგენილობა მცენარეთა მრავალფეროვანი ძვირფასი სახეობების, მათ შორის: სამკურნალო, თაფლოვანი, საღებარი, არომატული და სანელებელი მცენარეების კულტივირების შესაძლებლობას იძლევა. მათი მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია ქვეყნის ეკონომიკისათვის და უნიკალური გენეტიკური თვისებების მქონე მცენარეთა შენარჩუნებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო, არომატული, სანელებელი და საღებარი მცენარე, გამრავლების ფორმები.

ნონა მიქაია,
პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნა საქართველოში

შესწავლილ იქნა კულტურულ მცენარეთა და ტყის 5 სახეობის ულვაშფირფიტოვანი (Scarabaeidae) ხოჭოს ნემატოფაუნა. ჩვენ მიერ აღრიცხულია ნემატოდების 15 ფორმა. ექსპერიმენტები ჩატარდა, როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. კვლევის შედეგად ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების (Scarabaeidae) ნემატოფაუნის ტაქსონომიური ანალიზიდან ჩანს, რომ რეგისტრირებული ნემატოდას 15 ფორმიდან დომინირებს Oxyurida -ს წარმომადგენლები (8 სახეობა). ნაკლებად გვხვდება Rhabditida -ს წარმომადგენლები 5 სახეობა. Mermithida-ს რიგის სახეობებიდან აღრიცხულია მხოლოდ 2 სახეობა. ამრიგად, აღნიშნული ნემატოდების სახეობები ერთნაირად არ არის წარმოდგენილი ულვაშფირფიტოვან ხოჭოებში: ჩვენ მიერ გამოკვლეული სახეობების უმრავლესობა ოქსიურიდებს (Oxyurida) მიეკუთვნება, აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ულვაშფირფიტოვან ხოჭოებში (Scarabaeidae) ძირითადად ოქსიურიდებისა (Oxyurida) და რაბდიტიდების (Rhabditida) წარმომადგენლებია რეგისტრირებული. ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების (Scarabaeidae)

ნემატოდების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებული ხოჭოების IV ხნოვანების ლარვები უფრო ხშირადაა ნემატოდებით დაინვაზირებული (87%), ვიდრე სქესმწიფე ფორმები(23%), რაც შეეხება I და II ხნოვანების მატლებს, მათი დაინვაზირება უმნიშვნელოა, 1%. მდ. ვერეს ხეობაში მოპოვებული მასალიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეპნ სახეობათა 1/5 მიეკუთვნება ნემატოდების იმ ჯგუფს, რომელთაც ახასიათებთ მასპინძლის სხეულიდან ნიადაგში მიგრაცია. ნემატოდების მესამე სტადიის ინფექციური იუვენილების ინვაზიის ექსტენსივობა უფრო მაღალია, ვიდრე პირველი და მეორე სტადიის იუვენილების. ულვაშფირფიტოვან ხოჭოებში (Scarabaeidae) აღრიცხული ნემატოდების 15 ფორმიდან აღმოსავლეთ საქართველოში ნაპოვნია 10, დასავლეთ საქართველოში 5. ორივე რეგიონისათვის საერთოს წარმოადგენს 7 ფორმა. ერთი ფორმა გვხვდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ჰექსამერმისი (Hexameris). ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების (Scarabaeidae) მიმართ ბიოკონტროლის ეფექტურობის დასადგენად გამოცდილ იქნა ნემატოდას კომერციული შტამი შტეინერნემა კარპოკაპსაე (Steinernema carpocapsae) და ახალი სახეობა ჰეტერორჰაბდიტის პოინარი (Heterorhabditis poinari). პირველის ეფექტურობა ხოჭო-მარტორქის მატლებზე ლაბორატორიულ ცდებში აღწევდა 95,1%-ს, ხოლო მეორის ეფექტურობა თუთის აბრეშუმის პარკმხვევიაზე – 89,55%. ამრიგად, შტეინერნემა კარპოკაპსაე-სა (Steinernema carpocapsae)

და ჰეტერორჰაბდიტის პოინარი-საგან (Heterorhabditis poinari) დამზადებული ბიოპრეპარატი ეფექტურობით გამოირჩევა და პერსპექტიულია მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის.

საკვანძო სიტყვები: ულვაშფირფიტოვანი ხოჭოები, ნემატოფაუნა, ტაქსონომიური ანალიზი, ბიოპრეპარატი.

ელისო მურადაშვილი,

დოქტორანტი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ზაირა ტყეზურავა,

ასოცირებული პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**პომიდვრის სამხრეთამერიკული მენაღმე ჩრჩილის -
Tuta absoluta (Meyrick) თაობათა პოტენციური
განვითარება შიდა ქართლსა და სამცხე ჯავახეთის
რეგიონებში, საქართველოში**

პომიდვრის სამხრეთამერიკული მენაღმე ჩრჩილი - *Tuta absoluta* (Meyrick) (Lepidoptera: Gelechiidae) როგორც პომიდვრის კულტურის ძირითადი მავნე სახეობა, როგორც მინდვრის, ისე სათბურსა და შენახვის პირობებში. იგი აზიანებს ასევე Solanaceae-ს ოჯახის სხვა მცენარეებს (კარტოფილი, ბადრიჯანი, თამბაქო, გოჯი ბერი და სხვ.) და ასევე ამ ოჯახის ველურ სახეობებს. *T. absoluta* პირველად 2011 წელს აღმოაჩინეს

საქართველოში, იგი სწრაფად გავრცელდა ქვეყნის ყველა რეგიონში, მისი მაღალი რეპროდუქციული უნარის გამო და გახდა ძირითადი მავნებელი. T.absolutais გავრცელდა და დააზიანა მცენარეები როგორც სათბურებში, ასევე ღია გრუნტში. ბოლო წლებში T. absoluta პოპულაციის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია პომიდვრის მნიშვნელოვანი ზიანი საქართველოში. ზოგადად, დაბალ ზონაში და სათბურში სავეგეტაციო სეზონზე შეიძლება განვითარდეს T. absoluta -ს 10-12 თაობა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია T. absoluta-ს ფენოლოგიის დადგენა და მისი განვითარება ორ გეოგრაფიულად და კლიმატურად განსხვავებულ რეგიონში შიდა ქართლსა (550-600 მმ) და სამცხე-ჯავახეთში (1000-1100 მმ) , სადაც კვლევები ჩატარდა 2020-. 2023, რათა დაგვედგინა ამ მწერის ბიოლოგიური თავისებურება და განსხვავებულობა.

მინიმალურ და მაქსიმალურ ტემპერატურებზე დაფუძნებული მოდელი საიმედოდ აღწერს პოპულაციის დინამიკას, შეფასებულა, რომ T.absoluta-ს შეუძლია მოგვცეს 8-10 თაობა სათბურის პირობებში, პომიდვრის კულტურაში ზამთარ-გაზაფხულზე მზარდი სეზონის განმავლობაში, ხოლო ღია გრუნტში მინდვრის კულტურებში, მავნებელი იძლევა 6-7 თაობას შიდა ქართლში პირობებში გაზაფხული-ზაფხულის პომიდვრის ნარგაობებში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განსხვავებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები ვითარდება მწერის 4-5 თაობა

სათბურის პირობებში პომიდორზე და 2-3 თაობას პომიდვრის და კარტოფილის ნარგავებში ღია გრუნტში.
საკვანძო სიტყვები: Tuta absoluta, ფენოლოგია, თაობათა რაოდენობა.

თამარ ნარიმანიშვილი,
აგრონომიის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სარეველა მცენარეები საშემოდგომო ხორბლის ნათესში

სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობა ითვლება ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად. ხორბლის მაღალი მოსავლიანობა აგრარული დარგის ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდის წინაპირობაა. დღეისათვის გასავრცელებლად დაშვებული ხორბლის ჯიშების არსებული მოსავლიანობა ვერ აკმაყოფილებს ფერმერთა და მოსახლეობის ეკონომიკურ და კომერციულ მოთხოვნილებებს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პოტენციალი გაცილებით მაღალია და მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებით და თანამედროვე უხვმოსავლიანი ჯიშების შერჩევით, შესაძლებელია მკვეთრად ავამაღლოთ მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი. იმისათვის, რომ მაღალმოსავლიან ჯიშებს შევუქმნათ ხელსაყრელი პირობები მათი პოტენციალის მაქსიმალურად

გამოსავლენად, საჭიროა გამოვიყენოთ ხორბლის მოვლა-მოყვანის უახლესი ტექნოლოგიები.

მსოფლიოში მიმდინარე ცვალებადმა კლიმატურმა პირობებმა, აუცილებელი გახადა ისეთი მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიების გადახედვა, როგორცაა ხორბლის თესვის ვადა. თესვის ვადის სწორად შერჩევაზე დამოკიდებული ნათესის თანაბარი აღმოცენება, მისი შემოდგომიდანვე ნორმალურად განვითარება და წარმატებით გადაზამთრება. მნიშვნელოვანი გადახრა, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით უარყოფით გავლენას ახდენს მოსავალზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოში ხორბლის ადგილობრივი წარმოება მეტად არასტაბილურია, ნათესი ფართობების დინამიკა კლებადი ტენდენციით ხასიათდება. ქვეყანაში წარმოებული ხორბალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 18 კგ-ია, როცა ფიზიოლოგიური ნორმით 110-134 კგ. ხორბალი საჭირო, ესეც იმ შემთხვევაში თუ იგი სრულად არის უზრუნველყოფილი სხვა პროდუქტით. მცირეა ნათესი ფართობები და შესაბამისად დაბალია მოსავლიანობა.

საკვანძო სიტყვები: სარეველა მცენარეები, ხორბალი, სამცხე-ჯავახეთი, მაღალმოსავლიან ჯიშები, უახლესი ტექნოლოგიები.

ზაზა სამსონიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
რევაზ ზედგინიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ელექტრომობილების წარმოებისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური ასპექტები

ნაშრომში განხილულია ელექტრომობილების წარმოებისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური ასპექტები. არის მცდელობა ყველა იმ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ასპექტის იდენტიფიცირებისა და ანალიზისა, რომლებსაც ადგილი აქვს შიგაწვის ძრავიანი ავტოტრანსპორტის ელექტრომრავიანით ჩანაცვლების პროცესში. როგორც ცნობილია, ელექტრომობილების დამუხტვა დამატებით ტვირთად დააწვება არსებულ ელექტროგენერაციისა და განაწილების სისტემებს. შეფასებულია ელექტროგენერაციის მოსალოდნელი ზრდის ოდენობა (დაახლოებით 30%) შემოთავაზებულია და განხილულია ატმოსფეროს დამბინძურებლების კლასიფიკაციაში ახალი კლასიფიკატორი.

შეფასებულია ელექტრომობილების რაოდენობის ზრდის პერსპექტივები სამეცნიერო-საინჟინრო-ტექნიკურ გადაწყვეტილებებთან მიმართებით და ეკოლოგიური შედეგები დასახლებული პუნქტებისათვის და გლობალურად. დასახლებულ

პუნქტებში უმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა ჰაერის, გარემოს ხმაურითა და სითბური დაბინძურების კუთხით. ხოლო გლობალურად, იზრდება გარემოზე ზემოქმედება დამატებით ელექტოენერჯის გამომუშავებასთან, აკუმულატორების კომპონენტების დამატებით მოპოვება-გადამუშავება-წარმოებასთან და მათ უტილიზაციასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ელექტრომობილი, ექსპლუატაცია. ეკოლოგიური ასპექტები, ატმოსფეროს დაბინძურება.

ზაირა ტყეზუჩავა,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მწვანე კონვეიერი, მისი მნიშვნელობა და გამოყენება

პროდუქტიული მეცხოველეობა ზაფხულში თითქმის მოკლებულია სამოვრულ და დამატებით მწვანე საკვებს. აღნიშნულის შედეგია ზაფხულში წველადობის კლება, საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა, მწვანე კონვეიერში კულტურათა სწორი შერჩევით მნიშვნელოვნად გაგრძელდეს სამოვრული პერიოდი, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე უზრუნველყვით ცხოველი და მოზარდი ცილებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებით და მინერალური მარილებით მდიდარი მწვანე და წვნიანი საკვებით.

მწვანე კონვეიერი გულისხმობს ცხოველთა სულადობის შეუფერხებელ და სრულ მომარაგებას მწვანე საკვებით, ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია განვახორციელოთ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ხასიათის ღონისძიებები, სადაც გათვალისწინებული იქნება ცხოველის ფიზიოლოგიური მოთხოვნების და პროდუქტიულობის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შერჩევა და მათი აგროტექნოლოგიის შემუშავება სრულფასოვანი, ცილებით მდიდარი საკვების მისაღებად; საკვები თესლბრუნვების შემუშავება კონკრეტული მეურნეობისათვის; ბუნებრივი საკვები სავარგულების მოვლა; საძოვრის მოწყობა, მოთიბული მასის მიტანა საკვებურებამდე და სხვა. მწვანე კონვეიერში საკმარისია ჩაირთოს: 7-8 კულტურა, ბუნებრივი და ნათესი საძოვრები, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები, სასილოსე კულტურები, საკვები ძირხვენები და სხვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუალედურ ნათესებსაც. სპეციალურ საკვებ თესლბრუნვაში კულტურათა ჩართვა, საკვების შორ მანძილზე გადატანის შემცირების მიზნით, ეწყობა ფერმის ახლო მდებარე ნაკვეთზე. მწვანე საკვები, გათიბული ანდა გამოვებული ოპტიმალურ ვადებში, შეიცავს პრაქტიკულად ცხოველის კვებისათვის საჭირო ყველა ნივთიერებას. მწვანე საკვების ხარისხობრივი დახასიათება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ოპტიმალურად ითვლება

შემდეგი მონაცემები: მშრალი ნივთიერების შემცველობა-18%, საძოვრული საკვების მშრალ ნივთიერებაში უჯრედისი_20-25%_ბაგაზე მოტანილ საკვებში არაუმეტეს 25-28%, ნედლი პროტეინი-15-16%, ნიტრატული აზოტი არაუმეტეს 0,07%, ფოსფორი-0,35%, კალიუმი-2,1-3,3%, მაგნიუმი-0,25%, კალციუმი-0,35%, ნატრიუმი-0,15%. 1კგ ბალახი საშუალოდ უნდა შეიცავდეს 0,18 საკვებ ერთეულს. მწვანე კონვეიერის სწორი ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების ხელოვნური საძოვრები და დამატებითი მწვანე საკვების სახით: კომბოსტოს ფოთლის, ძირხვენების ფოჩის, ბაღჩეული კულტურების (ყაბაყი, გოგრა, საზამთრო) ნაყოფების, მიწავაშლას ტუბერების და სხვათა გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: პროდუქტიული მეცხოველეობა, მწვანე კონვეიერი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებები.

რუსუდან ურიდია,
ასოცირებული პროფესორი,
ევროპის უნივერსიტეტი,
საქართველო
ნინო ქავთარაძე,
ქიმიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული
ქიმიის ინსტიტუტი,
საქართველო
ქეთევან ქოჩიაშვილი,
ქიმიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული
ქიმიის ინსტიტუტი,
საქართველო

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბიორემედიაცია

მძიმე მეტალებით დაბინძურება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. მათი მაღალტოქსიურობა და ნათესებში დაგროვება სერიოზულ საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების უსაფრთხოებას. ეს პრობლემები ისტორიულმა ემისიებმა გამოიწვია. დაბინძურების ფართობი გაზრდილია გეოგრაფიული არეალის მიხედვით. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების აღდგენის ტემპის დაჩქარება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღდგენის მიზნით ეფექტურია ბიორემედიაციის გამოყენება, რაც ძირითადად ითვალისწინებს მიკროორგანიზმების როლს მძიმე მეტალების გაუვნებელყოფის მიზნით. აღნიშნული დაბინძურების შესამცირებლად მსოფლიო მიმართავს სხვადასხვა მეთოდებს, თუმცა მისი ეფექტურობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: კლიმატი, ნიადაგის ტიპი,

ტენიანობა, pH. ამ ფაქტორებიდან პრინციპულია მიკროფლორის შესწავლა, ვინაიდან მათი ზემოქმედებით და გააქტიურებით ეს პროცესი შესაძლებელია მართვადი გავხადოთ. ბაქტერიებს შეუძლიათ მძიმე მეტალების გადაყვანა იმ ფორმაში (ან გაიზარდოს მათი ბიოშელწევადობა), რომლებიც შეიძლება ადსორბირდეს მათი მემბრანის ცილებში. ნიადაგში ბაქტერიები ადვილად მიგრირებენ და ხელმისაწვდომ ფორმაში გადასული მძიმე მეტალები ადვილად შეაღწევენ მათ უჯრედში. მძიმე მეტალები სასუქების უკონტროლო და ჭარბი რაოდენობით გამოყენების შედეგად შეიძლება ხანგრძლივად აკუმულირდნენ ნიადაგში. მცირე დოზით ისინი სტიმულატორებიც კი არიან, მაგრამ გადაჭარბებული რაოდენობა საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ნიადაგის ბიოლოგიური დამუშავება კარგი ალტერნატივაა, რადგან ის ეკონომიური და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. ბიოლოგიური მეთოდი კი ითვალისწინებს ფიტორემედიაციას და ბიორემედიაციას. ჩვენი კვლევების მიზანია შექმნას კონსორციუმი ტექნოგენური უბნებიდან იზოლირებულ მიკროორგანიზმებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღდგენისათვის და შემდგომი განვითარებისათვის ეფექტური საშუალებები. კვლევისთვის შერჩეულ იქნა მიკროორგანიზმთა ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ მძიმე მეტალების შებოჭვას ნიადაგიდან ან მათ ნაწილობრივ დაშლას.

კვლევები მიზნად ისახავს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან ამოღებული მიწების რემედიაციას.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სოფლის მეურნეობა, მძიმე მეტალები, ბიორემედიაცია.

ირინა ხელისუფალი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ნონა მიქაია,
პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**ფიტოპათოგენური ნემატოდა *Aphelenchoides* sp.
ენექტურობა ხოჭოს -Spruce bark beetle *Ips typographus*
მიმართ საქართველოში**

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ფიტოპათოგენური ნემატოდების ენტომოპათოგენური თვისებების შესწავლა და გამოყენება ეს თვისებები *Ips typographus*-ის ბიოკონტროლისთვის. ქერქი ხოჭო (*Ips typographus*) ხოჭოების ოჯახიდანაა. ის ისევე აზიანებს ტყეებს, როგორც ბალახს. მავნებელმა იპსმა ტიპოგრაფმა ზიანი მიაყენა ფიჭვისა და ნაძვის პოპულაციას საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ფართო მასშტაბებს მიაღწია. ექსპერიმენტები ფიტოპათოგენურ ნემატოდებზე, მათი კულტივაცია და ნემატოდის სუსპენზიის მიღება ჩატარდა ლაბორატორიულ პირობებში. შედეგებმა აჩვენა რომ ფიტონემატოდების

(Aphelenchoides-sp.) მაღალი ენტომოპათოგენური თვისებები დაფიქსირდა ხოჭო-ტიპოგრაფებზე, 59,5%. რომლის სიკვდილიანობა დამოკიდებულია ნემატოდის სახეობაზე, ტემპერატურასა და ნემატოდების კონცენტრაციაზე. საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფიტოპათოგენური ნემატოდების ეფექტურობა ხოჭოს წინააღმდეგ (*Ips typographus*) ლაბორატორიული პირობები ნამდვილად გამართლებულია და შესაძლებელია ამ მწერის ბიოკონტროლი. სამომავლოდ კვლევა ჩატარდება ტყის პირობებში, სპეციფიკური წიწვოვანი ნემატოდური სუსპენზიით დამუშავებით.

საკვანძო სიტყვები: ფიტოპათოგენური ნემატოდები, *Aphelenchoides* sp., ქერქიჭამია ხოჭო(ტიპოგრაფი) *Ips typographus*, Spruce bark beetle.

ეკონომიკა და ბიზნესი

აკაკი ბაკურაძე,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ნაირა ვირსალაძე,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკური მოლოდინის საკითხისთვის

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებამ, საქართველოს მისცა ახალი შესაძლებლობები, ბევრად მეტი პოლიტიკურ-ეკონომიკური სარგებელი და სტაბილურობა, რასაც თან მოყვება ინტეგრაციული პროცესების ინტენსივობის გაძლიერება, თავისი დადებითი და უარყოფითი გავლენებით.

არის თუ არა ქვეყანა ამისთვის მზად, ზუსტად მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ამ ეტაპზე ევროკავშირზე სხვა უკეთესი, მდგრადი და განვითარებადი გაერთიანება არ ჩანს. გლობალური პროცესების შიდაეკონომიკურ პროცესებზე გავლენების შეფასება აუცილებელია, თუმცა მარტივი არ იქნება, მაგრამ საგარეო ვაჭრობის მრავალწლიანი დინამიკური ტენდენციების შეფასება გარკვეულწილად „მოემსახურება“ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, შიდაეკონომიკურ პროცესებზე გავლენების შეფასება, საგარეო ვაჭრობა.

თინა გელაშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

აგროსაინფორმაციო სისტემები მისი როლი მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაციაში

დღეისათვის ახალი ცოდნის გამოყენება ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც მისი გენერირება და გავრცელება. 21-ე საუკუნის დღის წესრიგმა, ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნებმა და ამოცანებმა შეცვალა კომუნიკაციის და ინფორმაციის გავრცელების მოთხოვნები; ჩნდება ახალი ტიპის ურთიერთობები და ერთობლივი მუშაობის გზები, კავშირები, ქსელები და კონსორციუმები, რომლებიც დაფუძნებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ცოდნის გაზიარებასა და წვდომაზე; იქმნება ახალი კვლევის არქიტექტურა, რომელიც აკავშირებს ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ მკვლევარებს, სადაც ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ პრიორიტეტებს; იცვლება სოფლის მეურნეობის სექტორში ცოდნის სტრუქტურა - ბევრი ადამიანი ურთიერთობს ახალი იდეების გენერირებისთვის, ან ცვლილებებზე რეაგირებისათვის;

სასოფლო სამეურნეო საინფორმაციო სისტემა(AIS) და სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემები (AKIS), რომელთა შემადგენლობაშიც შედის სამინისტროები და უწყებები, მეწარმეები და აგროსერვისების

მიწოდებლები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, დონორები, ფერმერები და სხვა მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრარულ სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასა და ინფორმაციის მიწოდებაში. მათ მიერ იქმნება, გადამუშავდება და ცოდნის ათვისების მიზნით კომბინირებულად მიეწოდება აგრომეწარმეებს (Oliveira, Painho, Santos, Sian, & Barriguinha, 2014).

ნაშრომში შესწავლილია აგროსაინფორმაციო სისტემების მუშაობის საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოში არსებული საინფორმაციო სისტემების სტრუქტურა, მათი ურთიერთკავშირები და აღნიშნული სისტემების როლი მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების იმპლემენტაციის საკითხებში.

საკვანძო სიტყვები: აგროინფორმაცია, მართვის სისტემები, მდგრადი განვითარება.

ცისკარა ზარანდია,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

ბესიკ ცქიფურიშვილი,

დოქტორანტი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

მწვანე ეკონომიკა: მსოფლიო გამოცდილების ანალიზი

პლანეტაზე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ამოცანის მიღწევის პროცესში არსებულ მექანიზმებს, ინსტრუმენტებსა და მეთოდებს შორის მწვანე ეკონომიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს არსებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას და ამავდროულად ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

ცალკეულ ქვეყნებში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების დონის შეფასებისას, გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ აღიარებული ინდექსების სისტემა. ინდექსების საშუალებით შესაძლებელი ხდება ქვეყნების რაოდენობრივი შეფასება და მათი რანჟირება. აღნიშნული მიზნით ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა „მწვანე“ ეკონომიკასთან ყველაზე უფრო დაკავშირებული - მწვანე ეკონომიის გლობალური ინდექსი (The Global Green Economy Index (GGEI)) და მწვანე ზრდის ინდექსი (Green Growth Index (GGI)). განხილულია ევროპის კავშირის, გერმანიის, დანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცდილება, ამ ქვეყნების „მწვანე“ ეკონომიკის ძირითადი სექტორები, როგორცაა განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის, ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია); მწვანე შენობები (ენერჯიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები); სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები); წყლის მენეჯმენტი

(წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება); ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

მსოფლიოში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პრაქტიკის შესწავლა ანალიზი გვიჩვენებს, რომ „მწვანე“ ეკონომიკის ახალი მიმართულებების და ეკოლოგიური ინოვაციების წახალისება მოითხოვს საბაზრო და პოლიტიკურ სტიმულებს. ამ თვალსაზრისით ინოვაციებს შეუძლიათ ისეთი სარგებელის მოტანა, როგორცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, გარემოზე ზეწოლის შემცირება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: გლობალური უსაფრთხოება, მწვანე ეკონომიკა, ინდექსების სისტემა, ეკოლოგიური ინოვაციები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

როინ თათეშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მოგების გადასახადით დაბეგვრის თავისებურებები

ნაშრომში განხილულია მოგების გადასახადის ახალი ე.წ „ესტონური მოდელის“ დაბეგვრის თავისებურებები.

ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის თავისებურებები მეტად აქტუალური გახდა მოგების გადასახადის არსებული, ე.წ. „ესტონური მოდელის“ ამოქმედებასთან დაკავშირებით

საგადასახადო მიზნებისთვის ორგანიზაციის ცნება განიმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელშიც სხვა სუბიექტებთან ერთად მოიაზრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. ორგანიზაციად არ ითვლება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმე იურიდიული პირები.

ორგანიზაცია მოგების გადასახადით მხოლოდ, ორ შემთხვევაში დაიბეგრება

- 1) ორგანიზაცია როდესაც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ანუ საგადასახადო მიზნებისათვის გამოდიოდეს როგორც საწარმო
- 2) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ უნდა დაიხარჯოს ორგანიზაციის საქმიანობის მიზნის მისაღწევად;

ახალი „ესტონური მოდელის“ შესაბამისად მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოიანგარიშება განაწილებული მოგების / დივიდენდის/ ან გაწეული ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის, შედეგად. ხშირად ჩნდება კითხვა რატომ ხდება მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხის ბაზის მიღება განაცემის 0,85-ზე გაყოფით, ეს საკითხი გასაგები რომ გახდეს, განხილულია შესაბამისი მაგალითები, რაც ნათელს ხდის, რომ გასაცემი თანხა არ შეიცავს მოგების გადასახადს. იმისათვის, რომ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა მივიღოთ, საჭიროა, დასაბეგრ ხარჯს

უკუგადათვლით დავამატოთ მოგების გადასახადის განაკვეთი - 15%,

განხილულია თუ როგორ იბეგრება მიკრობიზნესის, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი

როგორც ჩანს, საწარმოებს, ზემოთ აღწერილ ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის იდენტურ ობიექტთან ერთად დამატებით აქვთ კიდევ ერთი დაბეგვრის ობიექტი - განაწილებული მოგება, რომელსაც მიეკუთვნება მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98 მუხლის თანახმად, განაწილებულ მოგებას აგრეთვე მიეკუთვნება:

ა) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;

ბ) გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

განხილული მაგალითების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მოგების გადასახადის მოქმედი მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: დაბეგვრა, მოგების გადასახადი, საგადასახადო კოდექსი, განაწილებული მოგება.

ნათია კიკნაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
როინ თათეშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

განვითარებადი ქვეყნებისთვის რთულია დამოუკიდებლად დააღწიონ თავი ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისს და გააუმჯობესონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ისეთ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, როგორც არის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD (Organization for Economic Co-operation and Development). OECD შეიქმნა 1961 წლის 30 სექტემბერს და შედგება ეკონომიკურად და დემოკრატიულად განვითარებული 38 წევრი ქვეყნისგან.

OECD-ის ერთ-ერთი მთავარი როლი არის საერთაშორისო სტანდარტების დაწესება სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა გადასახადები, ანტიკორუფციული და კორპორატიული მმართველობა. ეს სტანდარტები ხელს უწყობს თანმიმდევრული და

სამართლიანი ეკონომიკური გარემოს შექმნას მთელს მსოფლიოში.

OECD ეხმარება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში. OECD-ისთან თანამშრომლობა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნისთვის გამოყოფილი დახმარების უდიდესი ნაწილი სწორედ OECD-ის წევრ ქვეყნებზე მოდის. ამ დახმარების ნაწილია პროგრამა სახელწოდებით ანტიკორუფციული ქსელი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის (OECD/ACN), რომლის ფარგლებშიც პერიოდულად ხდება მონაწილე ქვეყნების ანტიკორუფციული გარემოს შემოწმება და კონკრეტულ რეფორმებზე რეკომენდაციების

OECD-ის ასევე აქვს მრავალი ინიციატივა ქვეყნებისთვის ვისაც სჭირდებათ დახმარება საგადასახადო კუთხით, ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა არის TIWB (საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე), რომელიც დიდ როლს ასრულებს და ეხმარება აუდიტორებს თავის საქმიანობაში.

უნდა აღნიშნოს საქართველოს ჩართულობა გლობალურ ფორუმთან დაკავშირებით. გლობალური ფორუმი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის ძირითადი მიზანია მის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობდეს საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობა და ინფორმაციის გაცვლა შეესაბამებოდეს საერთაშორისო

სტანდარტებს. თავდაპირველად გლობალურ ფორუმში გაწევრიანებული იყვნენ OECD-ს ქვეყნები და იურისდიქციები. ამჟამინდელი მონაცემებით გლობალური ფორუმის წევრია 150-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორისაა G-20-ის და OECD-ის წევრი ყველა ქვეყანა. გლობალური ფორუმის სამდივნო მდებარეობს პარიზში.

ინფორმაციის გაცვლა ქვეყნებს შორის რომ მოხდეს კანონის ფარგლებში და აღმოფხვრილი იქნას გადასახადების თავის არიდების და კანონის სხვა უხეში დარღვევის ფაქტი, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი საკვანძო ელემენტები როგორცაა: ინფორმაცია, სამართლებრივი ინსტრუმენტი, კომპეტენტური ორგანო, ინფრასტრუქტურა და რესურსები, სამართლებრივი უფლებამოსილებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამჭვირვალობაზე და ანგარიშვალდებულებაზე ფოკუსირებით, საქართველოს შეუძლია შექმნას გაუმჯობესებული ანტიკორუფციული მექანიზმები ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორებში, რაც ხელს უწყობს უფრო ძლიერი და ეფექტური მმართველობის სისტემის შექმნას. OECD-ის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკის პოპულარიზაციას, რომელიც აუმჯობესებს ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის OECD-ის სრულუფლებიანი წევრი, ის აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაციასთან მისი პოლიტიკისა და პრაქტიკის საერთაშორისო

სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ეს მონაწილეობა საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სტანდარტები, ანტიკორუფციული მექანიზმები, ანგარიშვალდებულება, გლობალური ფორუმი.

თენგიზ კუპრაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მარკეტინგი სპორტში

სპორტული მარკეტინგი არის მარკეტინგის ქვეჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია როგორც სპორტული ღონისძიებებისა და გუნდების პოპულარიზაციაზე, ასევე სპორტის საშუალებით სხვა პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციაზე. ამ შემთხვევაში, დაწინაურებული პროდუქტი შეიძლება იყოს ფიზიკური პროდუქტი ან ბრენდი. მიზანია მიაწოდოს კლიენტს სპორტის პოპულარიზაციის სტრატეგიები ან სხვა პროდუქტის, სერვისის, ბიზნესის ან მიზეზის პოპულარიზაცია სპორტის საშუალებით. სპორტული მარკეტინგი ასევე შექმნილია მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად მეტაბოლური პროცესების მეშვეობით. ეს სტრატეგიები მიჰყვება ზოგადი მარკეტინგის ტრადიციულ ოთხ P-ს: პროდუქტი, ფასი,

პოპულარიზაცია და ადგილი. კიდევ ოთხი ასო "P" -მდე დაემატა სპორტულ მარკეტინგს იმის გამო, რომ სპორტი მომსახურებად ითვლება. დამატებითი 4Ps: დაგეგმვა, შეფუთვა, პოზიციონირება და აღქმა. ოთხი დამატებითი ელემენტის დამატებას ეწოდება "სპორტული მარკეტინგის მიქსი". სპორტული მარკეტინგი არის სპორტული პოპულარიზაციის ელემენტი, რომელიც მოიცავს სპორტული ინდუსტრიის ფართო სპექტრს, როგორცაა მაუწყებლობა, რეკლამა, სოციალური მედია, ციფრული პლატფორმები, ბილეთების გაყიდვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა. სპორტული მარკეტინგი დაყოფილია სამ მიმართულებად: პირველი არის სპორტული ასოციაციების რეკლამა, როგორცაა ოლიმპიური თამაშები, ესპანეთის ფეხბურთის ლიგა და NFL, ასევე სპორტული გუნდები, როგორცაა მადრიდის რეალი და ნიუ-იორკ იანკები. მეორე ეხება სპორტული ღონისძიებების, სპორტული გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების გამოყენებას სხვადასხვა პროდუქტის პოპულარიზაციისთვის. მესამე სექტორი არის სპორტის პოპულარიზაცია მოსახლეობაში მონაწილეობის გაზრდის მიზნით. სპორტულ ბიზნესსა და მათ მომხმარებლებს შორის მუდმივი ურთიერთქმედება საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს გაეცნონ თითოეული მომხმარებლის შესახებ უფრო ღრმა დონეზე. შედეგად, კლიენტები უფრო მეტს გრძნობენ მნიშვნელოვნად, რაც იწვევს ლოიალობის გაზრდას. ამრიგად, სპორტული ბიზნესი ზრდის ორგანიზაციასა და კლიენტს შორის ურთიერთქმედების და კომუნიკაციის დონეს და ეს ზრდის კლიენტების ღირებულებას.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, სპორტი, რეკლამა.

ჯემალ მამაიაშვილი,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების მოქმედების სფერო და
უფლებამოსილება**

ჩვენი მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიზნებისა და სამუშაო პროცედურების წარმოჩენა, ასევე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოქმედების სფეროს, უფლებამოსილებისა და გამოყენების ვადების განმარტება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო(ბასსს) შეიქმნა 2001 წელს როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) ფონდის ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების, კერძოდ , ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, განსახილველი პროექტებისა და სხვა სადისკუსიო დოკუმენტების დამტკიცება ბასსს-ს ევალება.

2001წლის 20 აპრილის სხდომაზე ბასსს-მა მიიღო რეზოლუცია: ძალაში დარჩენა წინა წესდების დროს

მიღებული ყველა სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუ არ შეიცვლება ან არ გაუქმდება, ან სანამ შეიცვლება ან სანამ არ გაუქმდება. ბასსს უფლება აქვს შეცვალოს ან გააუქმოს ბასსკ-ის წინა წესდების შესაბამისად გამოცემული ბასს და ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის ინტერპრეტაციები, ასევე გამოსცეს ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

როგორც ბასსს-ს ასევე ჩვენი მიზანია:

- საზოგადოების ინტერესებისათვის შეიქმნას მაღალი ხარისხის გასაგები და პრაქტიკულად განხორციელებული აღრიცხვის გლობალური სტანდარტების ერთი კომპლექტი, რომელიც მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში და სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში მაღალი ხარისხის გამჭვირვალე და შესადარი ინფორმაციის ასახვას, მსოფლიო კაპიტალის ბაზების მონაწილეთათვის და სხვა მომხმარებლებისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარების მიზნით.
- აღნიშნული სტანდარტების გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა.
- სხვადასხვა პუნქტებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისას გაითვალისწინოს მცირე და საშუალო საწარმოების სპეციფიკური მოთხოვნილებები.

ბასსს-ო თავის მიზნებს ძირითადად ახორციელებს ფასს-ის შემუშავებითა და გამოქვეყნებით. ასევე ეხმარება მომხმარებლებს მიიღოს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილები.

ფასსს-ო ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის ასახვის

მოთხოვნებს, რომელიც ეხება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვან ოპერაციებსა და მოვლენებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, რომელიც გამოადგება მას ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, მცირე და საშუალო საწარმოების სპეციფიკური მოთხოვნილებები.

თამილა ნუცუბიძე,
პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი,
საქართველო

**შრომის ბაზრის ტენდენციები და სოციალური
უზრუნველყოფა განვითარებად და მზარდი
ეკონომიკის ქვეყნებში: გამოწვევები და
შესაძლებლობები**

ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო და ანალიტიკური ლიტერატურის მიმოხილვა. სტატიის მიზანია, ჩაერთოს საერთაშორისო დისკუსიაში და გაამახვილოს ყურადღება დასაქმებულთა სოციალური დაცვის გაუმჯობესების აუცილებლობაზე მსოფლიოს

განვითარებად და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში. სტატისტიკური და ხარისხობრივი მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ დასაქმების არაფორმალური და არასტანდარტული ფორმები ჭარბად არის წარმოდგენილი განვითარებად ქვეყნებში, რაც აუცილებლად მოითხოვს სოციალური დაცვის პოლიტიკის მიდგომების გაუმჯობესებას. განხილულია სასიცოცხლო ციკლის სოციალური დაცვის მიდგომების განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები განვითარებად ქვეყნებში. მუდმივი სოციალური დაცვა წარმოადგენს აუცილებელ ინვესტიციას ადამიანთა განვითარების ხელშესაწყობად და მდგრადი განვითარებისთვის. ნაშრომი უყრის საფუძველს ახალი ემპირიული კვლევების წამოწყებისთვის სოციალური პოლიტიკის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, შემოსავლები, პენსია, სოციალური დაცვა.

ამალია შაყულაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

გლობალიზაცია და დაბალანაზღაურებადი მუშახელი

აქტიური ვაჭრობის პოლიტიკის არგუმენტების საფუძველია, რომ მთავრობებმა ხელი უნდა შეუწყონ დარგებს, რომლებიც წარმოშობენ ტექნოლოგიურ საგარეო ეფექტს, რომელიც ბევრად სცილდება საბაზრო

რეგულირების დეფექტების სტანდარტულ არგუმენტებს.

განვითარებადი ქვეყნებიდან სამრეწველო ექსპორტის ზრდის კვალდაკვალ წარმოიშვა ახალი ანტიგლობალისტური მოძრაობა. ამ მოძრაობის ძირითადი საზრუნავი, სხვა საკითხებთან ერთად, ექსპორტის დარგებში დასაქმებული მუშახელისათვის გადახდილი დაბალი ხელფასები იყო. ანტიგლობალისტური მოძრაობის აქტივისტების მოთხოვნებში, როგორცაა შრომითი სტანდარტები განვითარებადი ქვეყნები საფრთხეს ხედავენ.

იმის მიუხედავად თუ რამდენად უწყობს ხელს გლობალიზაცია ეკონომიკურ ზრდას, ის, ასევე გარკვეულწილად უარყოფითად ზემოქმედებს გარემოზე, რაც სულ უფრო და უფრო მზარდია.

არსებობს მზარდი შეშფოთება, რომ გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს დაბინძურების მაღალი დონის გამომწვევი დარგების გადაადგილება ისეთ ადგილებში, სადაც რეგულაციები არც ისე მკაცრია.

აქტივისტები მიუთითებენ, იმას რომ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის დარგებში დასაქმებული მუშახელის დაბალი ხელფასები და შესაბამისად, ცუდი სამუშაო პირობები ვერ აუმჯობესებდა მუშახელის მდგომარეობას.

გლობალიზაციის კრიტიკოსების აზრით ვაჭრობა მუშახელის ინტერესებზე უარყოფითად ზემოქმედებს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, პროდუქტიულობის შეფარდებითი მაჩვენებლები, დაბალტექნოლოგიები, მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოება, ჭარბი

უკუგება, მეზობლის გადატაკების პოლიტიკა, საგარეო ფაქტორები.

ლავრენტი ჩიბურდანიძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ცისკარა ზარანდია,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ლაშა ჩიბურდანიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორების ინტერპრეტაციის საკითხისათვის

თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არამარტო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, არამედ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ იმ ქვეყნებისთვის, რომლების განვითარების სტადიაში იმყოფებიან. მსოფლიოში არსებული თავისუფალი კაპიტალის დიდი მოცულობა, მისი სწორი გადანაწილება და ბიზნესში ჩადება გლობალური ეკონომიკის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. ინვესტიცია ლათინური წარმოშობის ტერმინია (investire) და შემოსვას, თავისუფალი კაპიტალის დაბანდებას ნიშნავს. ინვესტიციის მიზანი მოგების,

ეკონომიკური სარგებლის, სოციალური და სხვა სახის ეფექტის მიღება. საინვესტიციო საქმიანობის პროცესის ობიექტების მცირედი ჩამონათვალიც კი: ინოვაციური ბიზნესის, ახალი ტექნოლოგიების ათვისება, მაღალმწარმოებლური უახლესი ძირითადი საშუალებების შექმნა, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შექმნა და სხვა მრავალი გვამღევეს სრულ წარმოდგენას ინვესტიციების ფაქტობრივ მნიშვნელობაზე. საინვესტიციო პროცესის ტექნოლოგიის კუთხიდან გამომდინარე, შეიძლება სამი ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროდ წარმოვადგინოთ: პირველი - თავისუფალი კაპიტალის მქონე პირი ანუ ინვესტორი, მეორე - ინვესტირების სფერო ანუ საინვესტიციო ობიექტი და მესამე, მეტად მნიშვნელოვანი სფერო - საინვესტიციო გარემო. ჩვენ ვთვლით, რომ საინვესტიციო გარემო ფართო, კომპლექსური ცნებაა და მას შეიძლება ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორების როლიც მივანიჭოთ. საინვესტიციო გარემო მოიცავს: ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მთლიან საფინანსო სისტემას (საბანკო სისტემა, საგადასახადო გარემო, ფასიანი ქაღალდების ბაზარი), სწორედ ამ ფაქტორების არსებული მდგომარეობა და მიგვაჩნია ძირითად გასაღებად უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დაჩქარების ფაქტორების კვლევა აქტუალური სადისკუსიო საკითხია. ავტორები მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოს გააჩნია

მნიშვნელოვანი პოტენციალი მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის, რესურსული პოტენციალის, ადამიანური რესურსებისა და სტრატეგიული ხედვის თვალსაზრისით მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. სწორედ ეს გახდა ჩვენი კვლევის მიზანი - გაანალიზდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში და განისაზღვროს მათი დაჩქარებისა და ზრდის ფაქტორები პერსპექტივაში. კვლევის პროცესში შესწავლილი და გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორცაა: უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმდინარე მდგომარეობა და პრობლემები საქართველოში; სახელმწიფოს როლი საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებაში; უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ინოვაციური მიდგომები; არსებული საინვესტიციო გარემოს სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალი; უცხოური ინვესტიცია; საინვესტიციო გარემო; ინვესტიციის მოზიდვის ფაქტორები; ეკონომიკური ზრდა.

რაისა ხაჩატურიანი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სკოლამდელი განათლების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ განათლების ეროვნულ სისტემაში, არამედ მთლიანად ქვეყნის ადამიანური რესურსების და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. ამიტომ პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში სიცოცხლის პირველივე წლებიდან აუცილებელია საფუძველი ჩაეყაროს მის ყოველმხრივ განვითარებას - ფიზიკურს, ინტელექტუალურს, სოციალურ-კომუნიკაციურს, ეკონომიკურს და ა.შ.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სკოლამდელი განათლების თანამედროვე პრობლემები, როგორცაა: სკოლამდელი დაწესებულებების არასაკმარისი დაფინანსება, სასწავლო პროცესში მშობლების არასაკმარისი ჩართულობა, სკოლამდელი განათლების არათანაბარი ხარისხი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხზე, როგორცაა სკოლამდელი ასაკის ბავშვების ეკონომიკური აღზრდა, რადგან ისინი, როგორც მომავალი მოსწავლეები და შემდეგ სტუდენტები წარმოადგენენ ქვეყნის პოტენციურ სამუშაო ძალას. ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ სკოლამდელ პერიოდში ჩამოყალიბებული ცოდნის ბაზა, ჩვევები და უნარები მათი შემდგომი წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის უპირობო საფუძველია. აღნიშნულია უფროსი სკოლამდელი

ასაკის ბავშვების ეკონომიკური აღზრდის მნიშვნელობით განპირობებული ფაქტორები: საზოგადოებრივი წყობის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, მაღალი და დაბალი ეკონომიკური შემოსავლის მიხედვით მოსახლეობის საზოგადოებრივი დაყოფა, ბავშვთა საზოგადოების პოლარიზაცია მატერიალური, საგანმანათლებლო და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, ბავშვთა სფეროს კრიმინალიზაცია, ბავშვთა თავდაცვითი რეაქციები პრობლემური სიტუაციების დამოუკიდებლად გადაწყვეტის პროცესზე და ა.შ.

მოკლედ განხილულია სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური წინაპირობები, როგორცაა: ცნობიერების უნარი და ნებაყოფლობითი თვითრეგულირება, სოციალური მოვლენების სამყაროს აქტიური შესწავლა, დეცენტრაციის უნარის ჩამოყალიბება და განვითარება.

მოყვანილია და გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის სკოლამდელი განათლების წარმატებული პროგრამების (ფინეთი, შვედეთი) მაგალითები.

სტატის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ სკოლამდელი განათლების მომსახურების ხარისხის მართვისადმი სისტემატური მიდგომების ნაკლებობა იწვევს ამ დარგის ჩამორჩენას და, შესაბამისად, განვითარება ჩიხში მიჰყავს. ამის დაძლევა კი შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს, ქვეყნის რეგიონების, მუნიციპალიტეტების, კერძო ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით კონსოლიდაციით.

საკვანძო სიტყვები: ბავშვები და ეკონომიკა, სკოლამდელი განათლების როლი, სკოლამდელი განათლების პრობლემები, ბავშვების ეკონომიკური აღზრდა.

ნანა ჯღარკავა,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის ცვლილებები მოითხოვს ახალ მიდგომას დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტაში. რესურსები უსასრულო რაოდენობის არ არის. მისი მეტი რაოდენობით ხარჯვა, ამცირებს რესურსებს მომდევნო თაობებისთვის. ამჟამინდელ ეკონომიკაში ვიღებთ რესურსებს ბუნებიდან, ვამზადებთ პროდუქტებს და ბოლოს ვყრით მათ ნარჩენებად - პროცესი ხაზოვანია. აღნიშნული პრობლემის შემსუბუქების ერთ-ერთი პირობაა ეკონომიკის დარგებში დახურული ციკლის წარმოებაში ცირკულარული ეკონომიკის დანერგვა. სტატიაში მოცემულია როგორ გაჩნდა წრიულობის იდეა, რა ეტაპები გაიარა და ვინ შეუწყო ხელი მის განვითარებას განხილულია ცირკულარული ეკონომიკის თეორიული მოდელები, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სისტემის ცვლილებები საკუთრების ხასიათში, ტექნოლოგიებში, ფიზიკურ კაპიტალში, ადამიანურ კაპიტალში, ინსტიტუციებში. შემოთავაზებულია ხუთი

ზოგადი ბიზნეს მოდელი, მსოფლიოში და საქართველოში მოქმედი მდგრადი რესურსების მომხმარებელი, რესურსების აღმდგენი, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გამხანგრძლივებელი, შესაძლებლობების გამზიარებელი და პროდუქტის, როგორც მომსახურების მიმწოდებელი ფირმები.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, ეკოლოგიური ხასიათის ცვლილებები, დახურული ციკლის წარმოება, წრიულობის იდეა.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

მარკ მეტსი,
დოქტორანტი,
ტალინის უნივერსიტეტი,
ესტონეთი
მაქსიმილიან შიჩი,
პროფესორი,
ტალინის უნივერსიტეტი,
ესტონეთი
პიტერ დოდსი,
პროფესორი,
ვერმონტის უნივერსიტეტი,
აშშ

ტვიტერზე უკრაინის მიმართ არსებული ყურადღების ცვლილება 2008-2023 წლებში

კვლევა ეხება მსოფლიო ყურადღებას „უკრაინის“ მიმართ ტვიტერზე 2008-დან 2023 წლებში, სადაც გამოყენებულია მონაცემები 28 ენაზე. ჩვენ ანალიზს ვუკეთებთ 15-წლიან პერიოდში ყურადღების მოდელების მიკროსკოპულ ცვლილებებს. მონაცემები ასევე აღებულია რუსულ-უკრაინული ომის კომპიუტერული კვლევებიდან. ეს შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ლინგვისტური სხვაობები ყურადღების მოდელებში როგორც 2014, ისე 2022 წლების რუსეთის თავდასხმის დროს. მთლიანი ტექსტებისა და უფრო მოთხოვნადი მეთოდის,

სენტიმენტების ანალიზის გამოყენების ნაცვლად ჩვენ ვიკვლიეთ n-გრამების სიხშირე, რამაც გამოავლინა, რამდენად ხშირად გამოიყენებოდა კონკრეტული სიტყვა სხვა სიტყვებთან მიმართებით. ჩვენ ვაკვირდებოდით მასშტაბების რეგისტრაციის ცვლილებებსა და გადახრებს ძირითადი რანგის სიხშირისგან. დავადგინეთ აშკარა განსხვავება საერთაშორისო ყურადღების ცვლილებას შორის სხვადასხვა ენების მიხედვით, რომელიც ასახავდა გლობალური მხარდაჭერისა და ინტერესის ცვლილებებს. 2014 წლის თავდასხმას მოჰყვა ყურადღების თანდათანობით შემცირება მაშინ, როდესაც 2022 წლის თავდასხმას მოჰყვა ყურადღების ძლიერი და მდგრადი ზრდა, განსაკუთრებით გერმანულ, ბერძნულ და რუმინულ ენებში. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2019 წელს ტრამპისა და ზელენსკის სკანდალი, რამაც ასევე გავლენა მოახდინა ყურადღების მოდელზე. ეს მიდგომა ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ტენდენციებს. კვლევა ხაზს უსვამს მულტიდისციპლინური მეთოდის მნიშვნელობას მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოვლენაზე გლობალური რეაქციის შესწავლისას. ჩვენი ანალიზი აჩვენებს საერთაშორისო ყურადღებას ახალი პერსპექტივიდან, გვამღევეს მნიშვნელოვან მოსაზრებას, როგორც რაოდენობრივი ანალიზისთვის, ისე საზოგადოებასთან კომუნიკაციის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, ტვიტერი, კომპიუტერული სოციალური მეცნიერება, n-გრამა, ყურადღება.

ომერ ფარუკ ალპერენი,
დოქტორანტი,
სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის
ინსტიტუტი,
თურქეთი
ვასილ ტაბატაძე
პროფესორი
სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის
ინსტიტუტი,
თურქეთი
კამილ კარაჩუპა
დოქტორანტი,
სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის
ინსტიტუტი,
თურქეთი

**ჰაშ-პოლარიზაციის წრფივი წყაროს
ელექტრომაგნიტური გაბნევა ორმხრივი იმპედანსის
მქონე წრიულ რკალზე**

წინამდებარე ნაშრომი დეტალურად იკვლევს წრიულ რკალზე ელექტრომაგნიტურ გაბნევას იმპედანსური სასაზღვრო პირობებით. ჰაშ-პოლარიზაციის მქონე წრფივი წყარო გამოიყენება როგორც დაცემული ველი და იმპედანსური სასაზღვრო პირობები მოითხოვება წრიული რკალის ორივე მხარეს. წრიულ რკალზე ელექტრომაგნიტური გაბნევა იხსნება ინტეგრალური განტოლებების მეთოდით ორთოგონალური მრავალწევრის გამოყენებით და ხდება შიდა და გარე დენის სიმკვრივების გამოსახვა. კიდევუ პირობის შესრულებისთვის დენის სიმკვრივე გამოისახება გეგენბაუერის მრავალწევრით, შესაბამისი წონითი ფუნქციით. წინა კვლევებისგან განსხვავებით

წინამდებარე შრომა იკვლევს ელექტრომაგნიტური ველის ყოფაქცევას წრფივი წყაროს მდებარეობის, აპერტურის ზომის, და სხვადასხვა იმპედანსის მნიშვნელობებისთვის. კვლევამ აჩვენა რომ რეზონატორი იმპედანსის ზოგიერთი მნიშვნელობისთვის და წყაროს ზოგიერთი მდებარეობისთვის იძლევა უკეთეს შედეგს ვიდრე იდეალური ელექტრული და მაგნიტური გამტარი რეზონანსის ზოგიერთი შემთხვევისთვის. შემოთავაზებულია ეფექტური ანალიტიკურ-რიცხვითი მეთოდი მოცემული გეომეტრიისთვის და იმპედანსური სასაზღვრო პირობებისთვის. მოცემულია დეტალური ანალიზი და შედარება სხვა მეთოდებთან. შემოწმებულია დირიხლეს და ნეიმანის პირობების კერძო შემთხვევები.

საკვანძო სიტყვები: ჰაშ-პოლარიზაციის წრფივი წყარო, ელექტრომაგნიტური გაბნევა, წრიული რკალი.

ემრე იშჯანი
დოქტორანტი,
სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის
ინსტიტუტი,
თურქეთი
ვასილ ტაბატაძე
პროფესორი,
სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის
ინსტიტუტი,
თურქეთი

**მიწაში მოთავსებული დიელექტრიკული
ელიფსური ცილინდრისთვის ექოს შემცირება
დამხარე გამომსახივებლების მეთოდით**

წინამდებარე ნაშრომი გვთავაზობს ახალ რიცხვით მეთოდს დიელექტრიკულ გარემოში მოთავსებულ დიელექტრიკულ ელიფსურ ცილინდრზე გაბნეული ექოს შესამცირებლად, დამხარე გამომსახივებლების მეთოდით. მეთოდი იყენებს გაუსის რადიო იმპულსს 6-12 გჰც სიხშირულ დიაპაზონში. დიელექტრიკული შეღწევადობის და ელიფსის განზომილებების ოპტიმიზაციით მიიღწევა უხილავობა და მეტამასალით დაფარვა აღარ ხდება საჭირო. რიცხვითი ექსპერიმენტი უჩვენებს რომ მიდგომა ისევე ეფექტურია როგორც სასრული სხვაობების მეთოდი დროის არეში და მომენტების მეთოდი და უფრო სწრაფად ხსნის ამოცანას. მეთოდი გვთავაზობს რადარული კვეთის შემცირებას და სტელს შესაძლებლობების გაძლიერებას დიელექტრიკული ნაღმებისთვის. კვლევა გვიჩვენებს რომ გამოყენებული ტექნიკა არის საკმაოდ ეფექტური და პრაქტიკული მიდგომა გაბნევის ამოცანის ამოსახსნელად. ასევე იძლევა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას გამოთვლის ეფექტურობაში და უხილავობაში ფართო სიხშირულ დიაპაზონში.

საკვანძო სიტყვები: დიელექტრიკული ელიფსური ცილინდრი, რიცხვითი მეთოდი, დიელექტრიკული შეღწევადობა, რიცხვითი ექსპერიმენტი.

ვასილ ტაბატაძე

პროფესორი

სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის

ინსტიტუტი,

თურქეთი

ემრე იშჯანი

დოქტორანტი,

სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის

ინსტიტუტი,

თურქეთი

კამილ კარაჩუჰა

დოქტორანტი,

სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკის

ინსტიტუტი,

თურქეთი

**ელექტრომაგნიტური გაბნევა იდეალურად გამტარ
პარალელურ კვადრატულ ფირფიტებზე და მათი
რეზონანსული თვისებების შესწავლა დამხმარე
გამომსხივებლების მეთოდის გამოყენებით**

წინამდებარე ნაშრომი იყენებს დამხმარე გამომსხივებლების მეთოდს და გვთავაზობს 3 განზომილებიან იდეალურ ელექტრულ გამტარ პარალელურ კვადრატულ ფირფიტებზე, დიფრაქციის ამოცანის შესწავლას მკვეთრი კიდეებით. დაცემული წყარო არის სხვადასხვა პოლარიზაციის და მდებარეობის ჰერცის დიპოლი. დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი წარმატებულად გაფართოვდა არა-გლუვ გეომეტრიებზე კიდის ეფექტების გათვალისწინებით. მოხდა რეზონანსული თვისებების და ველის განაწილების შესწავლა

ფირფიტის ზომის, ფირფიტათა შორის მანძილის და დაცემის კუთხის სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის რიცხვითი ექსპერიმენტის საშუალებით. შედეგები გვიჩვენებს როგორ იცვლება ველის განაწილება და რეზონანსული ყოფაქცევა იდეალურად გამტარი ორი ფირფიტის და დაცემული წყაროს სხვადასხვა პარამეტრების შემთხვევაში, რომელიც სიახლეს წარმოადგენს. შემოწმდა მეთოდის კრებადობა რაც ადასტურებს მეთოდის სიზუსტეს და სასაზღვრო პირობების შესრულებას. ასევე მოხდა შედარება ფეკო მეთოდთან და ნაჩვენებია რომ დახმარე გამომსახივებლების მეთოდი ხსნის აღნიშნულ ამოცანას იგივე სიზუსტით და მნიშვნელოვნად მცირე დროში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრომაგნიტური გაბნევა, კვადრატულ ფირფიტები, რეზონანსული თვისებები, გამომსახივებლების მეთოდი.

გულნარა ჯანელიძე,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო
ბადრი მეფარიშვილი,
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო

**განაწილებული გენეტიკური ალგორითმების
გამოყენება ნაკადური დიდი მონაცემების
დამუშავებისთვის**

დიდი მოცულობის ნაკადური მონაცემების დამუშავებისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. ასეთი მონაცემების დამუშავების სირთულე დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ნაკადი უწყვეტია და სწრაფად ცვალებადი, რომლებიც გენერირდება სხვადასხვა წყაროდან და ხშირად ხასიათდება შემოდინების მაღალი სიჩქარით, დიდი მოცულობით და მოკლე სასიცოცხლო ციკლით. ნაკადური მონაცემების არსი მდგომარეობს მის უნარში წარმოადგინოს აქტუალური ინფორმაცია რეალური დროის რეჟიმში, რაც ხდომილებებზე დროულად რეაგირების, ცვალებად პირობებზე ადაპტირების საშუალებას იძლევა. ნაშრომში წარმოდგენილია ლამბდა არქიტექტურის და განაწილებული გენეტიკური ალგორითმების გამოყენების ანალიზი დიდ მონაცემთა დამუშავების და მაღალი წარმადობის გამოთვლების ამოცანებისთვის.

ევოლუციურმა გამოთვლებმა დაადასტურეს მისი გამოყენების ეფექტურობა ოპტიმიზაციის რთული ამოცანების გადაწყვეტაში, მაგრამ ინფორმაციული ეპოქის სწრაფი განვითარებით და მის კვალდაკვალ დიდი მონაცემების გააქტიურებით გაიზარდა და გართულდა ევოლუციური მიდგომების მიმართ დასმული ამოცანები. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საძიებო სივრცე მოიცავს ლოკალური ოპტიუმების უზარმაზარ რაოდენობას და ტრადიციული გენეტიკური ალგორითმი ვერ უმკლავდება მონაცემთა ნაკადების დამუშავებას

რეალურ დროში. ნაკადური დამუშავების მიზანია გაუმკლავდეს დიდი მონაცემების სისწრაფეს და დაამუშაოს იგი რეალურ დროში მისი შემოსვლისთანავე. ეს მიდგომა ამუშავებს ნაკადებს თანმიმდევრობით, ისე რომ ცალკეული ახალი მონაცემები შეიძლება ჩაირთოს მოდელის განახლებაში დაბალი დაყოვნებით. შესაბამისად, მოდელი ადაპტირდება ახალ შემომავალ მონაცემთა ნაკადზე.

განაწილებული გენეტიკური ალგორითმები (DGA) ინარჩუნებს კლასიკური გენეტიკური ალგორითმის (GA) ძირითად პრინციპებს, თუმცა იყენებს განაწილებულ გამოთვლით რესურსებს ეფექტურობისა და მასშტაბურობის გასაუმჯობესებლად. DGA-ს მთავარი იდეაა, რომ მისი ფუნქციონირება ხდება მრავალ მანქანაზე ან პროცესორზე, რათა უფრო ეფექტურად გადაჭრას ოპტიმიზაციის რთული პრობლემები. ალგორითმი ჰყოფს ინდივიდების პოპულაციას ქვეპოპულაციებად, რომლებიც დამოუკიდებლად მუშავდება სხვადასხვა გამოთვლით კვანძზე. ეს ქვეპოპულაციები ვითარდებიან და პერიოდულად ცვლიან ინფორმაციას გლობალური ძიების მისაღწევად.

ნაშრომში შემუშავებულია განაწილებული გენეტიკური ალგორითმი ლამბდა არქიტექტურის პირობებში. აღწერილია ალგორითმის მუშაობის სრული ციკლი, დაწყებული რეალურ დროის მოცემულ მონაკვეთში შემავალი მონაცემების ფრაგმენტებად დაყოფით, დამთავრებული ოპტიმალური ამონახსნის

პოვნით. ამდენად, ლამბდა არქიტექტურისა და განაწილებული გენეტიკური ალგორითმების მიდგომების უპირატესობების ერთობლივი გამოყენებით მიზანშეწონილია დიდ მონაცემებში ოპტიმიზაციის ფართომასშტაბიანი ამოცანების გადაწყვეტა რეალურ დროში.

საკვანძო სიტყვები: ლამბდა არქიტექტურა, განაწილებული გენეტიკური ალგორითმი.

ნინო ბერიძე,
ასისტენტ-პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მწვანე ტექნოლოგიები, ნარჩენების მართვის ეფექტური გზა ტექნოლოგიური ინოვაციების საშუალებით

მწვანე ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნარჩენების მართვის ტრანსფორმაციისთვის უახლესი ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით. ეს ნაშრომი იკვლევს უახლეს მიღწევებს, რომლებიც რეკოლუციას ახდენენ სექტორში, ხაზს უსვამს მათ პოტენციალს ნარჩენების განადგურების გამოწვევებთან გამკლავების მიზნით მდგრადობის ხელშეწყობისას. ძირითადი ტექნოლოგიური მიღწევები მოიცავს ბიოდეგრადირებადი პოლიმერების განვითარებას,

ხელოვნური ინტელექტის (AI) ნარჩენების დახარისხებას და პლაზმის გაზიფიკაციას.

ბიოდეგრადირებადი პოლიმერები, რომლებიც მიღებულია განახლებადი რესურსებიდან, მნიშვნელოვნად ამცირებს ნაგავსაყრელის ტვირთს და გარემოს დაბინძურებას. ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე ნარჩენების დახარისხების სისტემები აძლიერებს გადამუშავების პროცესების ეფექტურობასა და სიზუსტეს მასალების იდენტიფიკაციისა და სეგრეგაციის გზით უპრეცედენტო სიჩქარით. პლაზმური გაზიფიკაცია, ნარჩენების ენერგიად გადაყვანის ახალი ტექნოლოგიაა, რომელიც ნარჩენებს გარდაქმნის სუფთა ენერგიად და ღირებულ ქვეპროდუქტებად, ამცირებს ნაგავსაყრელის გამოყენებას და ამცირებს სათბურის გაზების ემისიას.

გარდა ამისა, ნარჩენების მართვის ჭკვიანი სისტემები, რომლებიც იყენებს ნივთების ინტერნეტის სენსორებს და მონაცემთა ანალიტიკას, საშუალებას იძლევა მოხდეს მონიტორინგი რეალურ დროში, ნარჩენების შეგროვება და დამუშავების ოპტიმიზაცია. ეს ტექნოლოგიები ხელს უწყობს რესურსების უკეთ განაწილებას, ამცირებს საოპერაციო ხარჯებს და აუმჯობესებს ნარჩენების მართვის საერთო ეფექტურობას.

ამ ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით, მწვანე ტექნოლოგიები არა მხოლოდ აგვარებს ნარჩენების მართვის უშუალო გამოწვევებს, არამედ ხელს უწყობს უფრო ფართო გარემოსდაცვით მიზნებს, როგორცაა კლიმატის ცვლილების შერბილება და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება. უახლესი

ტექნოლოგიების ეს ინტეგრაცია ნარჩენების მართვის პრაქტიკაში ნიშნავს მნიშვნელოვან ნახტომს მდგრადი და ეკოლოგიურად სუფთა მომავლისკენ.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ტექნოლოგიები, ნარჩენების მართვა, ტექნოლოგიური ინოვაციები, გარემოსდაცვით მიზნები.

დარეჯან ვედიაკოვი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ქსელიდან გამომავალი სიგნალის მდგრადობის შემოწმება ხმაურის პირობებში

ტექნოლოგიების განვითარების სისწრაფე დღის წესრიგში აყენებს სიგნალის ციფრული დამუშავების კვლევის აქტუალობას. რა თქმა უნდა დღეს ამ მიმართულებით არსებობს უამრავი კვლევა, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა არსებული მეთოდების დახვეწა-გაუმჯობესებისათვის. ქსელის გამართულობის აუცილებელი პირობაა რომ სისტემაში შემავალი სიგნალის შესაბამისი გამომავალი სიგნალი არ განიცდიდეს დიდ ცვლილებას. ამის ერთერთი მახასიათებელი არის კაუზალობა. კაუზალობის შემოწმების ერთერთი ალგორითმი აგებული გვაქვს MATLAB ში. იმ ალგორითმით კვლევა ჩატარებული გვაქვს სიგნალზე ხმაურის გარეშე, ვთვლით რომ უნდა გაგრძელდეს კვლევა და ექსპერიმენტები ჩატარდეს ქსელის მდგრადობის შესამოწმებლად ხმაურის

პირობებში, რადგან ხმაური რეალური სისტემებისთვის გარდაუვალია. გამოკვლეული ქსელში შემავალ სიგნალს დავამატეთ ე.წ. გაუსის ხმაური და შევისწავლეთ საშუალო გადახრა უხმაურო და ხმაურიან გამომავალ სიგნალებს შორის. კვლევა ჩატარდა ხმაურის სხვადასხვა შემთხვევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: კაუზალობა, სიგნალის ციფრული დამუშავება, გაუსის ხმაური.

ლერი ნოზაძე,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

სახელმწიფო და ეკონომიკური სუბიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფო ეკონომიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესების, მდგრადობის, დამოუკიდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების დაცვას უწყობს ხელს. ესაა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ეროვნული სუვერენიტეტის დონეს განსაზღვრავს.

ეკონომიკურ სუბიექტთან მიმართებაში სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე ეფექტური დონის შენარჩუნებაზე მოქმედ ფაქტორებად მიგვაჩნია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის სისტემების საქმიანობის ოპტიმიზაცია;

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დოკუმენტაციის შემუშავება; ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვაში წარმოების მართვის ყველაზე ეფექტური ფორმების გამოსაყენებლად, რაც განუყოფლად არის დაკავშირებული საწარმოს აქტიურ საინფორმაციო სივრცესთან, რომლის მდგომარეობა საწარმოო რესურსის მხარდაჭერის სპეციფიკური ტიპით - საინფორმაციო რესურსით განისაზღვრება.

მართვის სისტემის საინფორმაციო სივრცის აქტიური გამოყენებით დამატებით უპირატესობებს ვლდებულობთ ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზების, ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მოძიების და განვითარების და წარმოების პროცესის მართვის ვირტუალიზაციის მიმართულებით.

საწარმოს საინფორმაციო ველი შიდა და გარე ველებად იყოფა. შიდა ველი მოიცავს საწარმოში მიღებულ ინფორმაციას, სააღრიცხვო მონაცემებს, სავალდებულო ანგარიშებს მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის; შიდა დოკუმენტური ნაკადის მონაცემებს; ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის საკუთარი ანალიზის შედეგებს და სხვა.

გარე ინფორმაციას მივაკუთვნებთ კანონებს, განკარგულებებს, ბრძანებებს სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს სახელმწიფოს დონეზე; ხშირად წინააღმდეგობრივ რეგულაციებს ინდუსტრიაში რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე; კომენტარებს ზემოაღნიშნულ რეგულაციებზე; მონაცემებს ინდუსტრიის მდგომარეობის შესახებ;

კონსულტანტებისა და ექსპერტების დასკვნებს, მარკეტინგული კვლევისა და აუდიტის შედეგებს და სხვა.

ბიზნესის უსაფრთხოების ეფექტურობაში ვგულისხმობთ ღონისძიებათა სისტემას შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ სფეროებში: დაცვა კრიმინალური სამყაროსგან; დაცვა კანონის დარღვევისაგან; დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან; დაცვა საკუთარი თანამშრომლების უკანონო ქმედებებისგან.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სუბიექტის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ორ ასპექტში განვიხილავთ: - მისი კონფიდენციალურობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და პერსონალის ქონებრივი და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ტექნოლოგიები, ბიზნესი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჯულიეტა ტაბეშაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**ციფრული სიგნალის დამუშავების ალგორითმის
მათემატიკური აპარატი და რამდენიმე
პრაქტიკული რეალიზება**

საკონფერენციო თემაში განხილულია "ციფრული სიგნალის დამუშავების ალგორითმის მათემატიკური აპარატი და მისი რამდენიმე პრაქტიკული რეალიზება. სიგნალის ანალიზს ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო მის მათემატიკური გარდაქმნას, არამედ ამ გარდაქმნის შედეგად შესაბამისი პროცესების და ობიექტების სპეციფიკურ თავისებურებებზე დასკვნების გაკეთებას. სიგნალის ანალიზის მიზანია: - სიგნალის რიცხვითი პარამეტრების განსაზღვრა (ენერგია, საშუალო სიმძლავრე, საშუალო კვადრატული მნიშვნელობა და ა.შ); -სიგნალის დაშლა ელემენტარულ მდგენელებად სხვადასხვა სიგნალების თავისებურებების შესადარებლად; - სიგნალებს შორის დამოკიდებულებების რაოდენობრივი განსაზღვრა და შეფასება. ასეთი შეფასებები მიიღებიან კორელაციური და სპექტრული ანალიზის მეთოდების გამოყენებით;

ციფრული სიგნალის დამუშავების ალგორითმის მათემატიკური აპარატი და რამდენიმე პრაქტიკული რეალიზება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული სიგნალი, ალგორითმის მათემატიკური აპარატი, პრაქტიკული რეალიზება, კორელაციური და სპექტრული ანალიზის მეთოდები.

მთვარისა ქურციკიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
თამარ ნოზაძე,
ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
საქართველო

მაგნიტური ნაწილაკებით ჰიპერთერმია კიბოს თერაპიაში რიცხვითი მოდელების გამოყენებით

მაგნიტური ნაწილაკებით (MNP) ჰიპერთერმიის თერაპია არის მკურნალობის ტექნიკა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკე ან როგორც დამხმარე რადიაცია და/ან ქიმიოთერაპია კიბოს უჯრედების მოსაკლავად. მკურნალობის დროს, MNP-ები შთანთქმავს ელექტრომაგნიტური ველის (EMF) ენერჯის ნაწილს და წარმოქმნის ლოკალიზებულ სითბოს, როდესაც ზემოქმედებს ალტერნატიული მაგნიტური ველი (AMF). MNP-ის შთანთქმის EMF ენერჯია, რომელიც ხასიათდება შთანთქმის სპეციფიკური სიჩქარით (SAR), პირდაპირპროპორციულია AMF სიხშირისა და კოჭში გადამცემი დენების სიდიდის. გარდა ამისა, AMF აღწევს ქსოვილის შიგნით და იწვევს ელექტრულად გამტარ ქსოვილებში გრიგალურ დენებს, რომლებიც პროპორციულია ელექტრული ველის ($J = \sigma E$). გრიგალური დენები იწვევს ჯოულის გათბობას ($\langle J \cdot E \rangle = 0,5 \cdot \sigma \cdot E^2$) ნორმალურ ქსოვილში ენერჯის გადაცემის სიჩქარე მუხტის მატარებლებზე გამოყენებული

ელექტრული ველებიდან. ჯოულის ეს გათბობა შეიცავს მხოლოდ ელექტრულ ველს, რადგან მაგნიტური ველი ყოველთვის პერპენდიკულარულია გამტარ მუხტების სიჩქარეზე, ანუ ის არ ასრულებს მუშაობას მოძრავ მუხტზე. MNP-ის გამო SAR-ის მსგავსად, AMF კოჭის მიერ წარმოებული ელექტრული ველი პირდაპირპროპორციულია AMF სიხშირისა და კოჭაში დენების სიდიდესთან. შედეგად, ჯოულის გათბობა პირდაპირპროპორციულია სიხშირის კვადრატისა და დენის სიდიდის. AMF მაგნიტური ველების სწრაფი შემცირების გამო მანძილზე, MNP ჰიპერთერმიის მკურნალობა ღრმა სიმსივნეებში მოითხოვს მაღალი სიდიდის გადამცემ დენებს სიმსივნეში კლინიკურად მისაღწევი MNP განაწილებისთვის. ეს აუცილებლად იწვევს ნორმალურ ქსოვილში მნიშვნელოვანი ჯოულის გაცხელებას და უფრო გართულებულია სტანდარტული MNP ჰიპერთერმიის მიდგომისთვის ღრმა სიმსივნეებისთვის, როგორცაა პანკრეასის, პროსტატის, ღვიძლის, ფილტვის, საკვერცხის, თირკმლის და კოლორექტალური კიბო. ეს ნაშრომი წარმოგიდგენთ ახალ ადამიანის ზომის AMF სპირალს და MNP ჰიპერთერმიის სისტემის დიზაინს ღრმა სიმსივნეების უსაფრთხოდ და ეფექტურად სამკურნალოდ. შემოთავაზებული დიზაინი იყენებს წრიული კოჭების ელექტრული და მაგნიტური ველების სივრცით განაწილებას. კერძოდ, ის ჯერ ამცირებს SAR-ს გრიგალის გამო ნორმალურ ქსოვილში გამტარების ქსოვილისგან მოშორებით (ანუ კოჭის რადიუსის გაზრდით) და მეორეც ზრდის მაგნიტურ ველს სამიზნე ზონაში ($z = 0$) გამო. კოჭებამდე ($|z| > 0$) კოჭების

რადიუსის გაზრდით ($|z| > 0$). ეს მიდგომა არის პერსპექტიული ალტერნატივა, რომელიც მიზნად ისახავს დაძლიოს სტანდარტული MNP ჰიპერთერმიის შეზღუდვა ღრმა სიმსივნეებისთვის, გადამცემის კოჰის ელექტრული და მაგნიტური ველის განაწილების გამოყენებით ადამიანის სხეულში სიმსივნურ რეგიონებში AMF-ის მაქსიმიზაციისთვის და ნორმალური ქსოვილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ადამიანის ზომის კოჰის AMF, MNP აქტივაცია და გრიგალური დენის განაწილების მახასიათებლები გამოკვლეულია ღრმა სიმსივნეების უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობისთვის რიცხვითი მოდელების გამოყენებით. კერძოდ, გამოთვლითი შედეგები, როგორცაა AMF, ჯოულის გათბობის SAR და ტემპერატურის განაწილება წარმოდგენილია სრულ სხეულზე, 3D ადამიანის მოდელისთვის. SAR და ტემპერატურის განაწილება ნათლად აჩვენებს, რომ შემოთავაზებული ადამიანის ზომის AMF კოჰას შეუძლია მიაწოდოს კლინიკურად შესაბამისი AMF რეგიონს, რომელიც დაკავებულია ღრმა სიმსივნით MNP ჰიპერთერმიის თერაპიის გამოსაყენებლად, ხოლო ნორმალურ ქსოვილებში ჯოულის ნაკლებ გათბობას იწვევს, ვიდრე ჩვეულებრივ AMF ტექნიკას.

საკვანძო სიტყვები: მაგნიტური ნანო ნაწილაკები, ჰიპერთერმია, კიბოს თერაპია, რიცხვითი მოდელები, გამოთვლითი შედეგები.

ლელა წითამვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
მარიამ კენჭოშვილი,
ეკონომიკის დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აკადემიურ სივრცეში, პერსპექტივები და გამოწვევები

ხელოვნური ინტელექტი (AI) სულ უფრო მეტად შემოიჭრა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყველა მიმართულებით, მათ შორის აკადემიურ სივრცეში. განსაკუთრებით საპრობლემოა საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომებსა და სადოქტორო დისერტაციებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება. ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ხდება AI ინსტრუმენტების გამოყენება აკადემიურ სივრცეში, ვაფასებთ მათი გამოყენების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს. ვიხილავთ ხელოვნური ინტელექტის გავლენას აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე და AI-ის სამომავლო გავლენას განათლებაზე.

კვლევითი ნაშრომის დაწყებიდან მონაცემების გაანალიზებამდე, AI ინსტრუმენტები გთავაზობთ მნიშვნელოვან მხარდაჭერას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ასევე აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს აკადემიური მთლიანობისა და სტუდენტური მუშაობის ორიგინალურობის შესახებ.

AI-ს გამოყენების დადებითი მხარეა დროის დაზოგვა კვლევისა და წერის პროცესებში, გაფართოებული მონაცემთა დამუშავება და ანალიტიკური შესაძლებლობები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი და სხვ.

AI-ს გამოყენების უარყოფითი მხარეა ანალიტიკური უნარების დაქვეითება, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებზე ზედმეტმა აქცენტირებამ შესაძლოა ძირი გამოუთხაროს ტრადიციულ სასწავლო პროცესებს, ხელოვნური ინტელექტის გენერირებული კონტენტის პოტენციალი ასევე ძირს უთხრის ადამიანის კრეატიულობისა და ორიგინალურობის ღირებულებას.

პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფა შექმნილია აკადემიურ ნაშრომებში კოპირებული ან მჭიდროდ პერიფრაზირებული შინაარსის შემთხვევების დასადგენად. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის უნარი - აღმოაჩინოს ხელოვნური ინტელექტის მიერ დაწერილი ტექსტი, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის AI-ის დახვეწილობაზე, რომელიც გამოიყენება ტექსტის გენერირებისთვის და თავად ანტიპლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის მახასიათებლებზე. მთავარი გამოწვევას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ტექსტი, განსაკუთრებით უახლესი მოდელებისგან, როგორცაა GPT-4, მას შეუძლია შექმნას ძალიან ორიგინალური შინაარსი, რომელიც არ ემთხვევა არსებულ წყაროებს. ამ

ორიგინალურობამ შეიძლება გაართულოს აღმოჩენა ტრადიციული პლაგიატის დეტექტორებისთვის.

AI აგრძელებს წინსვლას, პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფა ასევე ვითარდება. მომავალი ვერსიები, სავარაუდოდ, მოიცავს უფრო დახვეწილ ალგორითმებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის ამოცნობისთვის.

ჩვენ მიმოვიხილეთ პლაგიატის თითქმის ყველა თანამედროვე დეტექტორი: Turniti, Antiplaiat, Grammarly, Copyscape, Plagscan, Unicheck, Quetext, Urkund, iThenticate, მოვახდინოთ საცდელი ნიმუშის ფორმირება, მასში ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის ჩასმა და შემდგომ - დეტექტორის შედეგის ანალიზი, სამწუხაროდ დეტექტორების უმეტესი ნაწილი ვერ აფიქსირებს ტესტში მათ არსებობას.

დასკვნა. AI-ის გამოყენება აკადემიურ გარემოში იძლევა მნიშვნელოვან ბენიფიტს, ეფექტურობის გაუმჯობესებიდან და დამთავრებული კვლევის სიზუსტის ამაღლებამდე. თუმცა, ის ასევე უქმნის გამოწვევებს აკადემიური პატიოსნებას და აკადემიური უნარების განვითარებას. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტის უპირატესობები აკადემიური სტანდარტების დაცვით, სასწავლო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ გაიდლაინები და წახალისონ ამ ტექნოლოგიების ეთიკური გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი(AI), აკადემიური კეთილსინდისიერება, პლაგიატის დეტექტორები, გენერირებული ტექსტი.

ირაკლი ხაჩიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ლელა წითაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ნაკადური მონაცემების განაწილებული დამუშავება გენეტიკური პროგრამირების გამოყენებით

რეალური დროის რეჟიმში მონაცემთა ნაკადური გადაცემა მონაცემების ოპერატიულად დამუშავებისა და გაანალიზების საშუალებას იძლევა, რაც მოითხოვს დაყოვნებათა მინიმუმამდე შემცირებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია პარალელური გამოთვლები და მონაცემთა წარმოდგენის ოპტიმიზება. ნაშრომში წარმოდგენილია ნაკადური მონაცემების განაწილებული დამუშავების პრობლემის გადაწყვეტა გენეტიკური პროგრამირების გამოყენებით. შემუშავებულია მონაცემთა ნაკადში ოპტიმალური ამონახსნის პოვნის ალგორითმი, რომელიც მოიცავს სრულ პროცესს შემავალი ნაკადის ფრაგმენტებად დაყოფიდან ოპტიმალური ამონახსნის პოვნამდე.

ნაკადის ცალკეულ ფრაგმენტში დაგენერირებულია ხის სტრუქტურები და შემდგომ ეტაპზე მათზე შესრულებულია გენეტიკური პროგრამირების ოპერაციები, რომელშიც გამოყენებულია ორიგინალური მიდგომები. პროცესი გრძელდება დროის მომდევნო მონაკვეთებში შემავალი ნაკადისთვის, ვიდრე არ დაკმაყოფილდება დასრულების კრიტერიუმი. შემუშავებული მეთოდის გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება გამოთვლითი ოპერაციების რაოდენობა ანუ მოთხოვნის შესრულების ხანგრძლივობა. შესაბამისად იზრდება სისტემის სწრაფქმედება და ეფექტურობა. აღნიშნული მიდგომის უპირატესობაა, რომ იგი უნივერსალურია და ფართო სპექტრის ამოცანების გადაწყვეტას შეძლებს.

საკვანძო სიტყვები: გენეტიკური პროგრამირება, განაწილებული სისტემები, დიდი მონაცემები.

ასტროფიზიკა

ატი ადალატი,
ასოცირებული პროფესორი,
ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
შემახის ასტროფიზიკური ობსერვატორია
აზერბაიჯანი

გიგანტი პლანეტების თანამედროვე კვლევის შედეგები

მზის სისტემის გიგანტი პლანეტების: იუპიტერის, სატურნის, ურანისა და ნეპტუნის შინაგანი ენერგიების ზუსტი მნიშვნელობები ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი, მიუხედავად იმისა, რომ მათი შინაგანი ენერგიის განსაზღვრა წარმოებდა სხვადასხვა კოსმოსური მისიებით და დედამიწიდან არაერთი დაკვირვებებით, მაგრამ მიღებული მონაცემები სხვადასხვა შედეგებს იძლევა, ამიტომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით კვლევას, ამ მიზნით ჩვენს მიერ განხილულია და შეფასებულია გიგანტი პლანეტების შინაგანი ენერგიები და ამ ენერგიების წყაროები, ასევე განხილულია შინაგანი ენერგიის გავლენა გიგანტი პლანეტების ატმოსფეროზე.

გიგანტი პლანეტების შინაგანი ენერგია, რომლებიც ზომითა და მასით უფრო დიდია, ვიდრე დედამიწის, დამოკიდებულია: - გრავიტაციული შეკუმშვის შედეგად წარმოქმნილ სითბოზე, ფაზური გადასვლების დროს გამოთავისუფლებულ ენერგიაზე, პლანეტის ატმოსფეროში წყალბადის მოლეკულების

გარდაქმნაზე, მთვარეებით გამოწვეულ მოქცევით გათბობაზე. სითბოს გადინებაზე პლანეტის ბირთვიდან, ბუნებრივ კონვექციაზე და პლანეტის ბირთვში რადიოაქტიულ ნივთიერებათა დაშლაზე.

საკვანძო სიტყვები: გიგანტი პლანეტები, პლანეტის შინაგანი ენერგია, რადიოაქტიურ ნივთიერებათა დაშლა, წყალბადის მოლეკულის გარდაქმნა, პლანეტის ბირთვი.

ვოვა აივაზიანი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
რაგული ინასარიძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ხელოვნური თანამგზავრის შეჯახება დიდიმოსის თანამგზავრ დიმორფოსთან და მისი შემდგომი ცვლილება DART-ს პროექტის ჩარჩოებში

საერთაშორისო კოლაბორაციული პროგრამა „დედამიწასთან მოახლოებადი საშიში ასტეროიდების შესწავლასთან“ დაკავშირებით, NASA-მ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, კოსმოსური მისიის ფარგლებში შეიმუშავა პროექტი „DART“ (Double Asteroid Redirection Test, ორმაგი ასტეროიდის მიმართულების შეცვლა). პროექტის მიზანი იყო ორმაგ ასტეროიდ დიდიმოსის (Didimos) თანამგზავრ დიმორფოსზე

(Dimorphos) ხელოვნური თანამგზავრის შეჯახება და დადგენა, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა ეს პროცესი ასტეროიდის თანამგზავრზე. კოსმოსური მისია დაიწყო 2021 წლის ოქტომბერში და წინასწარი გამოთვლებით შეჯახება უნდა მომხდარიყო 2022 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში. ამ პროექტში NASA - ს თხოვნით ჩართული იყო დედამიწაზე განლაგებული ობსერვატორიები რათა დაეფიქსირებინათ შეჯახების პროცესი.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დედამიწასთან მოახლოებადი საშიში ასტეროიდების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელმა რ. ინასარიძემ, 70 - სმ მენისკურ ტელესკოპზე მიიღო უნიკალური დაკვირვებითი მასალა, სადაც კარგად მოჩანს შეჯახებამდე და შეჯახების შემდგომი პროცესი. შეჯახების მომენტი დაფიქსირდა 2022 წლის 26 სექტემბერს ღამის 3 სთ 14 წუთზე თბილისის დროით.

პირველადი დაკვირვების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დიდიმოსი, რომლის დიამეტრია 780 მეტრი, ხოლო მისი თანამგზავრის - 160 მეტრი, შეეჯახა 6 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი 570 კგ წონის მქონე კოსმოსური აპარატი. შეჯახების შედეგად დიმორფოსის ზედაპირიდან ამოიფრქვა 1000 ტონამდე მტვერი და ქვის ლოდები. გამოთვლებმა აჩვენა, რომ თანამგზავრ დიმორფოსს ღერძის გარშემო ბრუნვის სიჩქარე გაეზარდა მთელი 32 წუთით. აგრეთვე დადგინდა, რომ დიმორფოსს შეჯახების შემდეგ შეეცვალა ორბიტის ელემენტები, რაც იმას ნიშნავს, რომ ასტეროიდის

თანამგზავრმა საერთოდ შეიცვალა მოძრაობის ტრაექტორია. სწორედ ეს იყო პროექტ „DART“ - ის მიზანი - დაედგინა შეიცვლიდა თუ არა ასტეროიდი ორბიტას შეჯახების შემდეგ. ამის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოსმოსური მისია წარმატებით შესრულდა.

ამ მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია მოვახდინოთ წინასწარ აღმოჩენილი საშიში ასტეროიდის ორბიტის შეცვლა და ამით დედამიწა გადავარჩინოთ ასტეროიდის შეჯახებას.

საკვანძო სიტყვები: ასტეროიდები, ასტეროიდის ორბიტის ელემენტები, ხელოვნური თანამგზავრები, ორბიტის ელემენტების ხელოვნური ცვლილება

სოფია ბერაძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
მანანა ვარდოსანიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

რატომ არის მნიშვნელოვანი მასიური ვარსკვლავების შესწავლა

რატომ არის მნიშვნელოვანი მასიური ვარსკვლავების კვლევა? მასიური ვარსკვლავების კვლევამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა SN

1987A ზეახლის აფეთქების შემდეგ, როცა აფეთქება განიცადა ლურჯმა ზეგიგანტმა და არა წითელმა - იქამდე ითვლებოდა, რომ II ტიპის ზეახლის წინაპარი უნდა ყოფილიყო წითელი ზეგიგანტი ვარსკვლავი. 1998 წელს სამყაროს აჩქარებული გაფართოება დადგინდა Ia ტიპის ზეახლების დაკვირვებების საშუალებით, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბრწყინვალე ლურჯმა ცვალებადმა (ბლც) შეიძლება განიცადოს ნამდვილი ზეახლის აფეთქება ე.წ. „დიდი ამოფრქვევის“, ანუ „ცრუ ზეახლის“ მოვლენიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ასე აღმოჩნდა ერთმანეთთან გადაჯაჭვული ყველა ადრეული სპექტრული ტიპის მასიური ვარსკვლავი, რომლებსაც ერთმანეთთან და ზეახლებთან მჭიდრო ევოლუციური კავშირი აერთიანებთ. მაგალითად, ბლც-ები არის შთამომავალი მასიური O ტიპის ვარსკვლავებისა, რომლებმაც სავარაუდოდ ამოწურეს წყალბადის მარაგი თავიანთ ბირთვში. ბლც-ები განიცდიან მასის ეპიზოდურ კარგვას და უნდა წარმოადგენდნენ გარდამავალ ფაზას O სპექტრული კლასის ვარსკვლავებიდან WR ვარსკვლავებისაკენ და/ან წითელი ზეგიგანტებისაკენ. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მასიურ ვარსკვლავებზე, რომლებსაც ბოლო რამდენიმე წელი ვაკვირდებოდით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

საკვანძო სიტყვები: მასიური ვარსკვლავები, ლურჯმა ზეგიგანტი, სპექტრული ტიპის მასიური ვარსკვლავი, გარდამავალი ფაზა.

გივი კაპანაძე,
ფიზიკის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
თემური კვერნაძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სსიპ აბასთუმნის ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური
ობსერვატორია,
მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველო
ოთარ კვარაცხელია,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სსიპ აბასთუმნის ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური
ობსერვატორია,
მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველო

ახალი სუპერ იუპიტერის ტიპის კანდიდატი ეგზოპლანეტა ცხელი B ვარსკვლავის გარშემო

კოსმოსური ტელესკოპის TESS-ის (TESS; Paegart et al. 2021) დაკვირვებითი მონაცემების დამუშავების პროცესში ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა ახალი კანდიდატი ეგზოპლანეტა ცხელი გიგანტი B ვარსკვლავის TIC 74487535 გარშემო. ვარსკვლავი განლაგებულია ჩვენი გალაქტიკის ანტიცენტრის მიმართულეობით კუროს თანავარსკვლავედში კოორდინატებით RA (J2000) 05:34:44.6; DEC (J2000) 24:50:44.5 და დაშორებულია დედამიწიდან 772 პარსეკის მანძილზე (Bailer-Jones et al. 2021). ვარსკვლავი არის ცხელი B8 III სპექტრული კლასის ქ. ჩარგეიშვილის

კლასიფიკაციის მიხედვით (Chargeishvili 1998) და მისი ვარსკვლავიერი სიდიდეა V (Johnson) = 11.755 mag (Henden et al. 2015). TESS-ის 43-ე, 44-ე, 45-ე, 71-ე და 72-ე სექტორების სიკაშკაშის მრუდები გაანალიზებულ იქნა სპეციალურად ამ მიზნით თ. კვერნაძის მიერ შექმნილი ინტერაქტიული პროგრამული უზრუნველყოფით "პითონის" (Python) გარემოში. ჩვენ ასევე გამოვიყენეთ Lightkurve პროგრამული პაკეტი TESS-ის არქივიდან ამ ვარსკვლავის TPF გამოსახულებების დასამუშავებლად. აღნიშნულ გამოსახულებებზე გამოვიყენეთ სხვადასხვა ზომის შეზღუდული დიაფრაგმის ნილაბი რათა მაქსიმალურად შეგვემცირებინა მახლობელი სუსტი ვარსკვლავების გამოსხივების გავლენა. კანდიდატი ეგზოპლანეტის გავლის ხანგრძლივობა შეადგენს $t_{14} = 02:02:13$ (hms), სიკაშკაშის მინიმუმი - 0.007 mag, გავლის ცენტრალური მომენტი - T_c BJD = 2 459 502.088 და ორბიტული პერიოდი - $P = 3.007$ დღეს. ეგზოპლანეტის გავლის ფაზური მრუდის მოდელირება მოხდა პროგრამული პაკეტის AstroImageJ (Collins et al. 2017) მეშვეობით. მოდელირების შედეგები უჩვენებს, რომ ეგზოპლანეტა არის სუპერ იუპიტერი შემდეგი პარამეტრებით: $R_p = 3.10 R_{jup}$, $a/R^* = 7.5$, $i = 83.4$ deg, $u_1 = 0.23$ და $u_2 = 0.32$.

საკვანძო სიტყვები: კოსმოსური ტელესკოპი, დაკვირვებითი მონაცემები, გამოსხივების გავლენა, შეზღუდული დიაფრაგმის ნილაბი.

გივი ქიმერიძე,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
რევაზ ჭილაძე,
პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი გალაქტიკების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა

დამზერილი მასალის ანალიზის საფუძველზე მოხერხდა შერჩეულ გალაქტიკათა აქტივობის გამოვლენა, შესწავლილია ცვლადი გამოსხივების სიკაშკაშის მრუდების ორკომპონენტიანი სტრუქტურა, ოპტიკური, რადიო და რენტგენული ცვალებადობის კორელაცია. გალაქტიკების ბირთვების უწყვეტი და ხაზოვანი სპექტრების ანალიზი.

შერჩეული გალაქტიკების მრავალფეროვანი ფოტომეტრიისა და სპექტროფოტომეტრიის მონაცემების ანალიზი გასცემს პასუხს კითხვაზე, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი გალაქტიკების ფიზიკურ და ქიმიური მახასიათებლებს შორის, რომელთა ანალიზის საფუძველზე გვექნება კიდევ ერთი მყარი არგუმენტი და ნათელი წარმოდგენა სამყაროს ევოლუციის შესახებ;

დამზერილი მასალის ანალიზის საფუძველზე, გვექნება შერჩეული გალაქტიკური გროვების ხილული და სივრცული განაწილების რეალური სურათი.

საკვანძო სიტყვები: გალაქტიკა, გალაქტიკის ევოლუცია, გალაქტიკების ფორმები, გალაქტიკების ფოტომეტრია, გალაქტიკების სპექტროფოტომეტრია

ედუარდ ჯანიაშვილი,
დოქტორანტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**ბნელეზადი ვარსკვლავთ სისტემების ძიება და
გამოკვლევა კოსმოსური აპარატების დაკვირვებების
გამოყენებით**

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში დაგროვდა კოსმოსური მისიების (Kepler, TESS, K2) მიერ, ცის სხვადასხვა უბანში, ვარსკვლავებზე დაკვირვებითი მონაცემები. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ და შევისწავლოთ ახალი ცვალებადი ვარსკვლავები და შემდეგ ჩავრთოთ ისინი ობსერვატორიების დაკვირვებით პროგრამებში. ჩვენს მიერ აღმოჩენილია 90 - მდე სხვადასხვა ტიპის ცვალებადი ვარსკვლავი აქედან 11 ბნელეზადი ვარსკვლავთ სისტემა. ახლა მიმდინარეობს აღმოჩენილ ცვალებად ვარსკვლავთა ტიპების იდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: ცვალებადი ვარსკვლავები, ბნელეზადი ვარსკვლავები, ვარსკვლავთ ტიპები, კოსმოსური მისიები.

სამართალი და საჯარო მმართველობა

კობა ბუაძე,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

რეციდიული დანაშაულების პრევენცია, პროფილაქტიკა და სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების პერსპექტივები

თანამედროვე პირობებში რეციდიული დანაშაულის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკური რეფორმების წარმატებით ჩატარებას, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას, ქვეყანაში ვითარების საერთო გაჯანსაღებას და სხვა. იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საერთო-სოციალურ დონეზე. მიგვაჩნია რომ რეციდიული დანაშაულის თავიდან აცილებაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებები, როგორცაა: სამართალდამცავ ორგანოს თანამშრომელთა საჯარო გამოსვლები, დისკუსიები ტელევიზიით, რადიოთი, პრესის ფურცლებზე, მშრომელთა კოლექტივების წინაშე და რაც მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდამრღვევებთან ბრძოლის გასაძლიერებლად. რეციდივის აღბათობა ბევრადაა დამოკიდებული პირველი დანაშაულებრივი ფაქტის რეაქციაზე. სახელდობრ, დაექვემდებარა თუ არა პირი,

რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, სისხლის სამართლებრივ ზემოქმედებასა და გამოსწორებას. რეციდიული დანაშაულის პროფილაქტიკა გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვის სტადიაზე, მოიცავს დამნაშავეებისათვის სასჯელის ფაქტობრივი აუცდენლობის უზრუნველყოფასა და იმ ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, რეციდიული დანაშაულობის პროფილაქტიკა ვფიქრობთ სასჯელდსრულებით დაწესებულებაში უნდა მოიცავდეს ოპერატიულ ღონისძიებათა შემდეგ კომპლექსს: ა) მსჯავრდებულთა განთავსებას პიროვნული მახასიათებლების ხარისხის მიხედვით; ბ) სარეჟიმო მეტად მკაცრ კონტროლს მსჯავრდებულთა ურთიერთობებთან მიმართებაში, რათა არ მოხდეს ანტისაზოგადოებრივი მიმართულების მქონე ჯგუფების შექმნა; გ) პროფილაქტიკური ზემოქმედების გამკაცრებას იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელთაც განზრახული აქვთ მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვლავ ჩადენა; დ) მკაცრ კონტროლს იმ მსჯავრდებულთა მიმართ ვინც ცდილობს დანაშაულებრივი ავტორიტეტის გამომჟღავნებას და პირთა ჯგუფზე ზემოქმედების მოხდენას. ე) სამართლებრივ ღონისძიებათა დროულ გამოყენებას იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებმაც ახალი დანაშაული ჩაიდინეს; ვ) სასჯელის შემდგომი მოხდის პროგრესული სისტემის გამოყენებასა და ოპერატიულ დაკვირვებას. ოპერატიული პრაქტიკიდან გამომდინარე პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს ასევე სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ

პირზე სათანადო თვალყურის (კონტროლის) დაწყებასა და მათთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას.

დაკვირვებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიზანი კი უნდა იყოს დაეხმაროს სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებულ პირებს ახალ პირობებთან შეგუებაში და აღმოუჩინონ მათ დროული დახმარება წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში, აარიდონ რეციდივს, რომელიც ყველაზე ხშირად შეიმჩნევა მათი გათავისუფლებიდან პირველ ხანებში.

საკვანძო სიტყვები: დანაშაულის რეციდივი, დანაშაულის პროფილაქტიკა, სასჯელის მოხდა, პენიტენციური რეციდივი, აღმზრდელობითი მუშაობა.

სოფიო გოხელაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
ნელი ღონღამე,
მაგისტრი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ქალის მოტაცება ფეოდალური კანონების მიხედვით და მისი სამართლებრივი მდგომარეობა

სამართალი დღეს 21-ე საუკუნეში ცხოველდება ინტერესი გავიგოთ თუ რა მდგომარეობაში იყო ქალი სხვა ეპოქაში, კერძოდ, ჩემი ნაშრომის მიზანია, ვაჩვენო,

თუ რა სამართლებრივი მდგომარეობა ეკავა ქალს შუა საუკუნეებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქართული იურიდიული აზროვნების განვითარების მაჩვენებელია ქართული სამართლის ძეგლები : ბაგრატ კურაპალატის, ბექასა და ალბუღას, გიორგი ბრწყინვალის, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნები, ასევე საეკლესიო სამართლის, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტები. ზემოთ აღნიშნულ სამართლის ნორმებში მკაფიოდ ვლინდება ქალის უფლებრივი მდგომარეობა საქორწინო, საოჯახო, სამემკვიდრეო და სახელმწიფო სფეროში. განხილულია აგრეთვე პირადი უფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისადმი კანონმდებლობის დამოკიდებულების საკითხი. მე ვამახვილებ ყურადღებას მხოლოდ ერთ საკითხზე : ქალის მოტაცების შესახებ და იყო თუ არა ქალი დაცული სამართლის მიხედვით. (არა მარტო ქართული სამართლის, არამედ სხვა ქვეყნების, ფრანკების სალიკური სამართლისა და სომხური - მხითარ გომის სამართლის მიხედვით.) სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ხდებოდა მომტაცებლის დასჯა, ზოგადად ქალის მოტაცებას ძალადობად და უწყესობად თვლიდნენ და ამ მოვლენას ებრძოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართალი, ეკლესია, კიდეც უფრო მკაცრად, რადგან იგი მოტაცებას აიგივებდა ტყვეთა სყიდვასთან. ქართული საეკლესიო სამართალი დამყარებული იყო სჯულის კანონზე, რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა საქართველოში. ამდენად,

ყველა ქვეყნის სამართალი, როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ შუა საუკუნეებში იცავდა ქალს და მის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელსაც კონკრეტული საზოგადოებრივი წყობილება განსაზღვრავდა.

საკვანძო სიტყვები: ქალი, საოჯახო, სამემკვიდრეო, სჯულის კანონი.

ნინო ზედგინიძე,
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
საქართველო

**მედიაცია, როგორც საზოგადოებაზე
ორიენტირებული მართლმსაჯულება -
მიღწევები და გამოწვევები**

მედიაცია არის საშუალება, რომლითაც ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, ერთმანეთში წარმოშობილი დავა მოაგვარონ სასამართლოს გარეშე. მედიაციის ინსტიტუტი, როგორც შედარებით ახალი საქართველოში ჯერ კიდევ საჭიროებს პოპულარიზაციას და მეტ მხარდაჭერას. წარმოვიდგინოთ დაბალანსებული პროცესი, სადაც მხარეების საჭიროებები და ინტერესები თანაბრად მნიშვნელოვანია. ის არის საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ერთ-ერთი წარმატებული ფორმა, რომელიც გარდა იმისა, რომ

ადამიანებს აძლევს საშუალებას დროისა და ფინანსების დაზოგვით უმოკლეს დროში მიიღონ სასურველი შედეგი, ასევე სახელმწიფოს აზოგინებს როგორც ადამიანურ, ასევე ფინანსურ რესურსებს. მედიაციის პროცესი მონაწილეებს აძლევს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებას, რაც სასამართლო პროცესზე გართულებულია დადგენილი კანონმდებლობის ჩარჩოებიდან გამომდინარე. ამ პროცესის ხიბლს ისიც წარმოადგენს, რომ წაგებული და მოგებული მხარეები, მართალი და მტყუანი არ ვლინდება და პროცესის ყველა მონაწილე მათივე ერთობლივად მიღწეული შედეგით კმაყოფილია. ეს ნაშრომი იქნება მოკლე მიმოხილვა საქართველოში დღეს მოქმედი მედიაციის საწყისებისა, დავინახავთ, რა გაკეთდა იმისთვის, რომ მოვსულიყავით იქამდე, სადაც დღეს ვართ, რა არის მთავარი გამოწვევები, რაც აფერხებს მედიაციის ფართოდ გამოყენებას, რა მიზეზებით ვერ ჰპოვებს ის პოპულარობას და ფართო გამოყენებას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის, რამდენად ხშირად მიმართავს სასამართლო საქმის მედიატორისთვის გადაცემის პრაქტიკას და რა პერსპექტივები გააჩნია ამ ინსტიტუტს სამომავლოდ.

საკვანძო სიტყვა: მედიაცია, სასამართლო, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება.

ნუგზარ თევდორაძე,
სამართლის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება აუცილებელი მოგერიებისათვის- შედარებითი ანალიზი

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა სისხლის სამართალში, რადგან გარკვეულ შემთხვევებში მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სამართლით დარეგულირებული ერთ-ერთი გარემოებაა აუცილებელი მოგერიება, რომელზეც ცნობები მოიპოვება, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების, ასევე ქართულ უძველეს სამართლებრივ წყაროებში. საკონფერენციო თემაში ყურადღება გამახვილებულია აუცილებელი მოგერიების ადგილსა და შინაარსზე უცხო ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. განხილულია ის პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებელი მოგერიება, რათა იგი ჩაითვალოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად. ასევე გაკეთებულია შედარებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასთან და გამოკვეთილია ის საერთო ნიშნები, რომლებიც წარმოადგენს მოგერიების

შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობას. აუცილებელი მოგერიება, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, მართლზომიერების პირობები.

საკვანძო სიტყვები: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლებრივ წყაროები, მოგერიება, მართლზომიერების პირობები.

ბაკურ ლილუაშვილი,
ასოცირებული პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება

სამოქალაქო საპროცესო სამართალში სამართალწარმოებისას მხარეთა შორის მორიგებით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად მხარეთა მორიგებას ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ერთი მხრივ, მორიგება წარმოადგენს მხარეთა პროცესუალური უფლებების განხორციელების უფლებას, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მორიგების საფუძველზე სასამართლო განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტას თავის მხრივ მოყვება ისეთივე სამართლებრივი შედეგი, როგორც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას. ე.

ი. პროცესუალური სამართლის გაგებით მორიგება სამართლებრივი პროცესია და იგი მოიცავს როგორც მხარეთა შორის წარმართულ დამოუკიდებელ სამართლებრივ პროცესს და ამავე დროს უშუალოდ სამოქალაქო პროცესის შემადგენელ ნაწილს. მეორე მხრივ, მორიგება ესაა მოდავე მხარეთა შორის მატერიალური სამართლის ნიშნით დადებული გარიგება. მაგრამ დასადგენია ის გარემოება, რომ აღნიშნული გარიგება წარმოადგენს თუ არა კლასიკური გაგებით გარიგებას. ანუ შეიძლება თუ არა მორიგება ცალმხრივი ნების გამოვლენით განხორციელდეს. ცალმხრივი ნების გამოვლენით პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს (მაგ. სარჩელის აღიარება და სხვ).

მაგრამ მორიგების შემთხვევაში იგი ორივე მხარის მიერ გამოხატული ნებაა და უნდა განვსაზღვროთ, რა პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოყვეს მას.

კვლევის მეთოდოლოგია: თემის განხილვის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი, ასევე ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. შედეგები და გამოყენება: სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა მორიგება განხილულ უნდა იქნეს როგორც მატერიალური სამართლის, ასევე სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ნიშნებით. აღნიშნული ნიშნებით საკითხის განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მორიგების სამართლებრივი ბუნება და ამ მორიგებით შესაძლო სამართლებრივი შედეგები. დასკვნა:

სამოქალაქო სამართალწარმოებისას მხარეთა შორის დავაზე მორიგება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს პირობებში საქმის განხილვის, ასევე აღსრულების ეტაპზე; მორიგების სამართლებრივი უზრუნველყოფა სასამართლოს კომპეტენციაა; სასამართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგება, მხარის შეუსრულებლობის შემთხვევაში ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

საკვანძო სიტყვები: მხარეთა მორიგება; მატერიალური ნიშნით მხარეთა მორიგება; პროცესუალური ნიშნით მხარეთა მორიგება; საქმის წარმოების შეწყვეტა.

მალხაზ ლომსაძე,

პროფესორი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

თამუნა მურჯიკნელი,

მაგისტრი,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

შუალედური ამსრულებლობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის

დანაშაული ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერი იურისტების შესწავლის საგანს. წინამდებარე ნაშრომში საუბარია იმის თაობაზე, რომ ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით ჯგუფი ყოველთვის უფრო საშიში

კრიმინოლოგიური ფაქტორია. საერთოდ, პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი საშიშროების შემცველია, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაული. დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა აადვილებს მისი ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას. დაბრკოლება, რომელიც გადაულახავი იქნებოდა ინდივიდუალურად მოქმედი პირისათვის, ადვილად შეიძლება გადალახოს რამდენიმე კაცის გაერთიანებულმა ძალ-ღონემ. ნაშრომში შუალობითი ამსრულებლობით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემის გადაჭრის დასაბუთების ცდაა გადმოცემული. დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის კვალიფიკაციისათვის საკმარისია დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი. თუ დანაშაულში მონაწილეობს ორი პირი მაინც და მათ შორის ერთ-ერთი შერაცხვისუუნაროა, ქმედება დაკვალიფიცირდება ჯგუფურ დანაშაულად, მაგრამ ბრალის საკითხის გადაწყვეტის დროს შერაცხვისუუნარო პირს დანაშაულის ჩადენა ბრალად არ შეერაცხება, ხოლო შერაცხვისუუნარიანი პირი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულისათვის. ვფიქრობთ, ნაშრომი დახმარებას გაუწევს მეცნიერ-იურისტებს, პრაქტიკოს მუშაკებსა და იმ პირებს, ვინც დაინტერესებულია ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემებით.

საკვანძო სიტყვები: შუაღედური ამსრულებლობა, კრიმინოლოგიური ფაქტორი, შერაცხვისუუნარო პირი, ბრალად შერაცხვა.

სოფიო ორმოცაძე,
დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველო

მოსამართლის განსხვავებული/თანმხვედრი აზრის გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შედეგებზე

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრის არსებობის საკითხი, კონსტიტუციური სამართლის თავისებური ინსტიტუტია. სამართლის მეცნიერებაში ამ ინსტიტუტისადმი ორგვარი დამოკიდებულება არსებობს. პოზიტიური მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ განსხვავებული/თანმხვედრი აზრი უზრუნველყოფს კონკრეტული საქმის ყოველმხრივ და მრავალსპექტიან განხილვას. საზოგადოებისათვის და სამეცნიერო სფეროებისათვის ცნობილი ხდება იმ არგუმენტებისა თუ შენიშვნების შესახებ, რომელიც გამოთქვას იმ ეტაპისათვის უმცირესობაში აღმოჩენილმა მოსამართლეებმა. მოსამართლეთა განსხვავებული/თანმხვედრი აზრის მოტივაციებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ საზოგადოებაში, სამეცნიერო წრეებში მათი განხილვის შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების გადასინჯვის საკითხიც, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციური სამართლის დინამიკაში განვითარებისათვის. თუმცა, საკითხის სამომავლოდ სხვაგვარად მოწესრიგების

დაშვება, აფერხებს გადაწყვეტილებათა შედეგების მიმართ სტაბილურობის განცდას. განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ნეგატიური მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ იგი ლახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ავტორიტეტს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შედეგების ქმედითობაზე. გარდა ამისა შესაძლებელია განსხვავებულმა/თანმხვედრმა აზრმა განსაზღვრულობის ნაცვლად, კიდევ უფრო დამაბნეველი გახადოს ის კონსტიტუციური დებულებები, რომელთა განმარტებასაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პროცესში ახდენს საკონსტიტუციო სასამართლო. ასევე, ბოროტად, არამიზნობრივად იქნას გამოყენებული განსხვავებული აზრი ანდა თანმხვედრი აზრის არგუმენტაცია, რამაც ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებებით დადგენილი შედეგების რეალიზებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა მიმართაც განსხვავებული აზრები აქვს გამოთქმული მოსამართლეებს ვერ მოქმედებს დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით. მართალია, განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ინსტიტუტი მიზნად ისახავს კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით მოსამართლეთა დამოუკიდებელი ნების საფუძველზე, სრულყოფილად განიმარტოს კონსტიტუციურ დებულებათა მნიშვნელობა. თუმცა, კონცეფციის

მთავარ გამოწვევად გვესახება ის გარემოება, რომ არსებობს საფრთხეები, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთა განსხვავებული/თანმხვედრი აზრმა ნეგატიური გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე და საფრთხე შეუქმნას სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობისა და შეუცვლელობის გარანტირებას.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, განსხვავებული-თანმხვედრი აზრი.

ირაკლი შენგელია,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

დამნაშავე ქალის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება

კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, ქალი დამნაშავეები, ფსიქოლოგიური მოტივი, სოციოლოგიური მოტივი, ძალადობის მსხვერპლი. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია არის სწავლება დამნაშავეების სურვილების, ფიქრების, განზრახვებისა და რეაქციების შესახებ. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია სწავლობს, თუ რატომ ჩაიდინა ინდივიდმა დანაშაული და ეხმარება სამართალდამცავებს დამნაშავის ქცევის გაანალიზებაში. ადამიანი ასაკობრივ ზრდასთან ერთად ყალიბდება ინდივიდუალურ პიროვნებად, რომელიც

მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით, უნარით, ინტერესებით, მოთხოვნილებებით განსხვავდება სხვებისგან. საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისათვის კი მას ესაჭიროება ფიზიკური, სულიერი და გონებრივი შესაძლებლობების სრული რეალიზება, საზოგადოებრივ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულების გამომუშავება. შესაბამისად, ყველა ადამიანს აქვს მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია მისი არსებობისთვის. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია სწავლობს დანაშაულის მომზადებისა და ჩადენილი დანაშაულების როლს, ადამიანის განწყობას, დამნაშავის პიროვნებას, მისი აღზრდის გზებსა და საშუალებებს, ის დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკულ მონაცემებსაც იძლევა, მისი ძირითადი მოთხოვნა კი დამნაშავე პირის ღრმა ფსიქოლოგიური შესწავლა. შეუძლებელია მისი პიროვნების ღრმა ფსიქოლოგიური შესწავლის გარეშე დასკვნების გაკეთება. ქალები დამნაშავედ არ იბადებიან, ისინი დამნაშავედ ყალიბდებიან, თუ რა უბიძგებს მათ დანაშაულის ჩადენისაკენ ზოგადად, საჭიროა მიმოვიხილოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, თუ რა ედება საფუძვლად იმას, რომ ქალი საზოგადოებას ევლინება დამნაშავედ. არსებობს რამდენიმე მოტივი დანაშაულის ჩადენის პირველი ესაა სოციალური მოტივი და მეორე ესაა ფსიქოლოგიური მოტივი. სოციალური მოტივი - ესაა დანაშაულის ჩადენის მიზეზი, გამოწვეული

უადრესი სიღარიბისა და სიმდიდრისაკენ ლტოლვისაგან, ამ მიზეზით დგამს ნაბიჯს პიროვნება, რომელიც თვლის, რომ ამ ნაბიჯით გამოსწორდება ვითარება და საკუთარი ოჯახი ფეხზე დადგება, თუმცა ამით ვითარება არ იცვლება. რა ქნას ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ? პასუხი ერთია რეალობას თვალეში ჩახედოს. რეალობა კი ძალიან მძიმეა. ამიტომ დამნაშავე კვლავ ჩადის მეორე დანაშაულს, შემდეგ მესამეს და უკვე ეფლობა დანაშაულის მორევში. ფსიქოლოგიური მოტივი - ესაა დანაშაულის ჩადენის მიზეზი, გამოწვეული ბავშვობის მძიმე ტრამვებით, წარმოდგინეთ ბავშვი რომელიც ყოველდღე უყურებს მშობლებს შორის ჩხუბს, ძალადობას, ან თვითონაა ძალადობის მსხვერპლი. ამის გამო დამნაშავეს ადრეული ასაკიდანვე უმახინჯდება ფსიქოლოგია და სრულყოფილ პიროვნებად ვერ ყალიბდება. დანაშაულის ჩადენით ის თავის დამკვიდრებას ცდილობს რეალობაში, რადგან ჰგონია რომ სწორად იქცევა, თუმცა ის ნელ-ნელა ხვდება მავნე გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური მოტივი, სოციალური მოტივი, კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია, პიროვნება, ძალადობის მსხვერპლი.

ია ხარაზი,
ასოცირებული პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

საბაჟო დაბეგვრის სახეები და მათი როლი ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირებაში

საკონფერენციო გამოსვლაში ყურადღებაა გამახვილებული გადასახადის მარეგულირებელ ფუნქციაზე, რომელიც პროტექციონისტული ფუნქციის ნაირსახეობად განიხილება. მისი არსი გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ დიფერენცირებული განაკვეთების მიხედვით ხდება იმპორტირებული ნედლეულისა და, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის დაბეგვრა, ხოლო ექსპორტის დროს ისეთი საქონლის ექსპორტის შეზღუდვა, რომლის დიდი ოდენობით გატანა ქვეყნიდან მაკროეკონომიკური ასპექტებით არ არის მიზანშეწონილი. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდრო კავშირშია გადასახადების ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოებისათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების, თუ შემცირების პოზიციებიდან, მუდმივად იწვევს გადამხდელებთან სისტემატურ შეხებას, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიაზე. საყურადღებოა, რომ მარეგულირებელი ფუნქცია დიდ ეფექტს იძლევა ეკონომიკური სტაბილიზაციის

პირობებში. ამასთან, კრიზისის პირობებში მისი მნიშვნელობა ეცემა.

საბაჟო ტარიფები ევროპული საბაჟო სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოებში არსებულ გადასახადებს შორის ყველაზე ადრე გვხვდება. უნივერსალური განმარტება სიტყვა „ტარიფის“ არ არსებობს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერმინით აღინიშნება გადასახადი, რომლითაც იბეგრება ექსპორტის, იმპორტის ან სახელმწიფო საზღვრის გავლით ტრანსპორტირება.

ვაკითარებთ მოსაზრებას, რომ: საქართველოს საგადასახადო - საბაჟო კოდექსების იმპლემენტაციის პროცესში, არაერთი ხარვეზი და შენიშვნა იქნა გამოვლენილი, რომელიც საჭიროებს იდენტიფიცირებას დაუყონებლივ და ამ ხარვეზების აღმოფხვრას, სწორედ ეს გახლავთ დღეს-დღეობით საქართველოსთვის ძირითადი პრობლემა, რომელიც საჭიროებს დაუყონებლივ რეაგირებას და ისეთი ცვლილებების განხორციელებას საგადასახადო-საბაჟო კოდექსებ და მასთან მიბმულ კანონქვემდებარე აქტებში, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ სურათზე. ამისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მცირე და დიდ ბიზნესზე ხელშეწყობა, მეწარმეთა წახალისება, რაც საბოლოოდ შესაძლებელს გახდის უფრო მეტად დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს საგადასახადო კანონმდებლობა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდ გამოწვევად რჩევა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფილებაში მოყვანა, არა

მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპის ქვეყნებისთვის. ეს კი მოწმობს იმ ფაქტს, რომ საგადასახადო კანონმდებლობა მეტად რთულ და სპეციფიკურ სფეროს წარმოადგენს. ასევე, მიმოხილულია საბაჟო გადასახადების სახეები: იმპორტის, დღგ-ის, აქციზის გადასახადების და მათ გადახდევინებაში არსებული ხარვეზები, რაც დამახასიათებელია იმპორტის ამ გადასახადებით დაბეგვრის მექანიზმების გამოყენებისას.

საგადასახადო კოდექსის ხარვეზად მიმაჩნია ერთ დღეში და, სხვა შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში ერთი და იგივე რაოდენობის საქონლის შემოტანის განსაზღვრა; ბუნებრივია იმპორტიორს 30 კალენდარულ დღეზე გათვლით მეტი რაოდენობის თუ წონის საქონლის შემოტანა უნდა შეეძლოს, ვიდრე ერთ დღეში. ასევე, 199-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტში საუბარია პრეფერენციაზე, თუკი მოხდება უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში, მაშინ ასეთი საქონელი იმპორტის გადასახადისაგან თავისუფლდება. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია ტერმინი „კონფისკაცია“, მაგრამ როგორც ვხედავთ, იგი დარჩა საგადასახადო კოდექსში. ვფიქრობთ, რომ აქაც ტერმინი „კონფისკაცია“ უნდა შეიცვალოს „საქონლის ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ“, ან კიდევ ვთქვათ, „ჩამორთმევა და განადგურება“, საქონლის სახეობიდან გამომდინარე და ა.შ.

ვაკითარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში, არაერთი ხარვეზი და შენიშვნა იქნა გამოვლენილი, რომელიც საჭიროებს იდენტიფიცირებას დაუყონებლივ და ამ ხარვეზების აღმოფხვრას, სწორედ ეს გახლავთ დღეს-დღეობით საქართველოსთვის ძირითადი პრობლემა, რომელიც საჭიროებს დაუყონებლივ რეაგირებას და ისეთი ცვლილებების განხორციელებას საგადასახადო კოდექსში, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ სურათზე. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებების გატარება: მათ შორის, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მცირე და დიდ ბიზნესზე ხელშეწყობა, ბიზნეს-ოპერატორთა წახალისება, რაც საბოლოოდ შესაძლებელს გახდის უფრო მეტად დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს საგადასახადო კანონმდებლობა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდ გამოწვევად რჩევა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფილებაში მოყვანა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი ევროპის ქვეყნებისთვის.

საკვანძო სიტყვები: „საბაჟო გადასახადი“; „ტარიფი“ – “telos”, GATT; დღგ; აქციზი; იმპორტის გადასახადი; მთლიანი ეროვნული შემოსავალი; გადასახადის მარეგულირებელი ფუნქცია“; ასოცირების ხელშეკრულება.

გიორგი ხმალამე,
დოქტორანტი,
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,
საქართველო

ორპალატიანი პარლამენტი, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი

“ბიკამერალიზმი” (ლათინურიდან - “bi” - ორი, “camera” - პარლამენტი) თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული საპარლამენტო ინსტიტუციური სისტემაა. დღესდღეისობით იგი ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარიზმში და მათი რაოდენობა თანდათან მატულობს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ეს განვითარება და ამგვარი მყარი ინსტიტუტების იმპლემენტირება, ამგვარი რეფორმატულობა, პოსტკომუნისტური ქვეყნების დემოკრატიზაციის შედეგია. დროის სვლასთან ერთად ორპალატიანი პარლამენტის არსმაც განიცადა ცვლილება, რეფორმირდა დროსა და სივრცეში, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვდა იმდროინდელი საჭიროებები.

ასევე, თუკი ადრე ორპალატიანი სისტემა მხოლოდ ფედერალური ქვეყნების, ფედერალური სახელმწიფოების მახასიათებლად მოიაზრებოდა, ანუ, იმ ქვეყნების რომლებიც ჩამოყალიბდნენ ფედერაციებად და სხვადასხვა დამოუკიდებელი ერთეულები ერთ სახელმწიფოდ გააერთიანეს.

ისინი, ცხადია, განსხვავდებოდნენ ტერიტორიისა და მოსახლეობის მიხედვით, ამიტომაც მოსალოდნელი იყო სხვადასხვა ერთეულებს სხვადასხვა რაოდენობის

წარმომადგენლობა ჰყოლოდათ პარლამენტში, შესაბამისად მათი ინტერესი, ერთნაირად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, სწორედ ამიტომ, პარლამენტში შეიქმნა ორი პალატა, რომელშიც ადგილები ნაწილდებოდა მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, მეორეში კი თანაბრად, ტერიტორიების მიხედვით, მიუხედავად მოსახლეობის რაოდენობისა და იმისა, დიდი იყო თუ პატარა ტერიტორიული ერთეული. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, სულ სხვა რეალობა გვაქვს, ორპალატიანი სისტემის მრავალი დადებითი თვისების გამო იგი, არა მარტო ფედერალური სახელმწიფოების საპარლამენტო რეალობაში არის დამკვიდრებული, იგი არაფედერაციულ ქვეყნებშიც მრავლად გვხვდება. მაგალითად დღეისთვის არსებული ორპალატიანი საპარლამენტო სისტემათა სიმრავლე, მრავალფეროვნება ბიკამერალიზმის არსის თანამედროვე აღქმის ერთგვარ ევოლუციაზე მეტყველებს. შესაბამისად, ბიკამერალიზმი სახელმწიფოში, არამხოლოდ ტერიტორიული მოწყობის ამსახველია, არამედ, სხვა ფუნქციების მატარებელიცაა. აღნიშნულ სისტემასაც შეიძლება მოვუძებნოთ უარყოფითი მხარეები, როგორცაა, მაგალითად, პროცესის დროში გაჭიანურება და ხარჯიანობა, თუმცა ამ დადებითი და უარყოფითი შეფასებების სამართლებრივი შედარებისას, ცხადია ის გარემოება, რომ ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ბევრად გადაწონის უხარისხო პროდუქტს, ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სტატუსს

ვანიჭებთ და ქვეყნის ბედს ვანდობთ, ქვეყნის განვითარების პერსპექტივას ვანდობთ, ქვეყნის სიძლიერეს ვანდობთ.

საკვანძო სიტყვები: პარლამენტი, სტაბილურობა, პალატა, ბიკამერალიზმი.

დავით ხობელია,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სახეს. სამართალდარღვევის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს, თუ რომელი ქმედება არის სამართალდარღვევა და აწესებს შესაბამის სახდელებს. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც მიღებულია 1984 წელს და სამოქმედოდ ძალაში შევიდა 1985 წელს, ანუ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. მიუხედავად მასში შესული ცვლილებებისა ის ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მრავალი ცვლილება შევიდა, 2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით, განხორციელდა 419 ცვლილება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, ის მაინც ვერ პასუხობს თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს, ვინაიდან ცვლილებები მიმართული არ ყოფილა კოდექსის ახლებური სისტემისა და შინაარსის ჩამოყალიბებისაკენ. მიუხედავად ცვლილებებისა, დღეს მოქმედი კოდექსის რედაქციის მიხედვით ქმედების შემადგენლობათა თემატური სტრუქტურა მაინც საბჭოთა კანონმდებლობის იდეოლოგიას ეფუძნება, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ხშირად ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ობიექტი. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს სამართლიანი პროცესის გაცილებით ნაკლებ გარანტიებზე მიუწვდება ხელი, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან პატიმრობის გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას. ის არ ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოებისგან, რომ სწრაფად შეატყობინონ დაკავებულს მისი უფლებები, არ მოითხოვს მოსამართლისგან მტკიცების ისეთი სტანდარტების გამოყენებას, როგორცაა

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, ხოლო ბრალის დადასტურების და სახდელის შეფარდების პროცედურების შეკვეცილი და გამარტივებული ხასიათი, ნაკლებად იძლევა შედეგიანი წარმომადგენლობის ან შედეგიანი გასაჩივრების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასურველი ა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა/გადაცდომათა ახალი კოდექსის შემუშავება და მიღება, რომელიც შესაბამისი იქნება დღევანდელი დღის და არ იქნებოდა საბჭოთა კოდექსის გადაკეთებული ვერსია. ამდენად მეტად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული, პასუხისმგებლობა, პრინციპი, საფუძველი.

გიორგი ხუნაშვილი,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით
განსაზღვრული არარა ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის დეფინიციის შესაბამისობა
საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით
განსაზღვრულ არარა აქტის შინაარსთან**

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლსა

და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 112-ე მუხლს შორის წინააღმდეგობრივი მიმართება ისეთი ინსტიტუტისადმი, როგორცაა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2005 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებით კანონმდებელმა შემოიტანა ახალი ინსტიტუტი არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით. სზაკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად აქტის არარად ცნობის ერთ-ერთი საფუძველია: გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული დებულების შემოტანით თავიდანვე ცხადი გახდა კანონმდებლის მიზანია, რომ ერთმანეთისგან გამიჯნოს არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის მუხ. 60), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ისეთი სახეებისგან, როგორებიცაა ბათილად ცნობა (სზაკ-ის მუხ. 601) და ძალადაკარგულად გამოცხადება (სზაკ-ის მუხ. 61). დასახელებული მუხლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის ერთ-ერთ საფუძვლად როგორც უკვე ვთქვით განსაზღვრავს მის გამოცემას არაუფლებამოსილი პირის ან არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების არასავალდებულო(შესაძლო) საფუძველია თუ დანიშნვის აქტი გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და ამავე დროს სახეზეა ამ აქტისადმი

მოხელის კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოება. ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზე შესაძლებელია მხოლოდ იმ მოხელის მიმართ ვისაუბროთ, რომელიც სამსახურში უკვე დანიშნულია, ხოლო არაკომპეტენტური თანმდებობის პირის მიერ მოხელის დანიშვნის თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით კი ითვლება ძალის არმქონედ.

საკვანძო სიტყვები: არარა, სამართლებრივი, აქტი, ადმინისტრაციული, საჯარო.

რობიზონ ხურცილავა,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
მარიამ სანებლიძე,
დოქტორანტი,
კავკასიის უნივერსიტეტი,
საქართველო

დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპია. საერთაშორისო დონეზე მიღწეული უპრეცედენტო პროგრესის მიუხედავად, ინდივიდებისა და ინდივიდუალური ჯგუფების დაცვა მსოფლიოს

მრავალი ქვეყნის დღის წესრიგის ნაწილი ჯერ კიდევ არის, რომელსაც შორსმიმავალი შედეგი აქვს ორგანიზაციებსა და საზოგადოებაზე. სტატია იკვლევს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც მოიცავს მის წარმოშობას, გამოვლინებებსა და შედეგებს. სტატია განმარტავს რთულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც დისკრიმინაცია ვრცელდება დაქირავების, დაწინაურების, კომპენსაციის და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პროცესებზე. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში მოიცავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელსაც აქვს თანასწორობის დარღვევის ეფექტი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სტატია განმარტავს, თუ როგორ უწყობს ხელს ცალსახა მიკერძოება, სტრუქტურული უთანასწორობა და კულტურული ნორმები სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული პრაქტიკის გამყარებას. ის ასევე აანალიზებს დისკრიმინაციის კანონებისა და აღსრულების მექანიზმების ირგვლივ არსებული სამართლებრივი ლანდშაფტი, რაც ხაზს უსვამს როგორც პროგრესს, ასევე მუდმივ გამოწვევებს დისკრიმინაციულ ქცევებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, სტატია განიხილავს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის უფრო ფართო ზემოქმედებას, მათ შორის მის გავლენას თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, სამუშაოს შესრულებაზე და სოციალურ ერთიანობაზე. სტატიაში გაანალიზებულია შრომითი დისკრიმინაციის სამართლებრივი მნიშვნელობა, სახეები, შევიწროება, როგორც

დისკრიმინაციის გამოვლინება, დასაქმებულის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, მატერიალური და მორალური ზიანის დადგომის საფრთხე და ანაზღაურების სასამართლო პრაქტიკა. დისკრიმინაციისა და შევიწროვებისგან დაცვა ადამიანის ბუნებითი და ფუნდამენტური უფლებათა, რომელიც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან და ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს, რომელმაც შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი ზიანიც გამოიწვიოს, რომლის კომპენსირება ძალიან რთული ან, უფრო მეტიც, შეუძლებელი აღმოჩნდეს. სტატია ხაზს უსვამს დამსაქმებლების და დაინტერესებული მხარეების ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას, რათა ხელი შეუწყონ ინკლუზიურ სამუშაო ადგილებს და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ინდივიდისთვის, განურჩევლად მათი რასისა, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკისა თუ სხვა დემოგრაფიული მახასიათებლებისა. შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის განხილვა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის საკითხია, არამედ აუცილებელია ეკონომიკური კეთილდღეობის შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: დისკრიმინაცია, შრომითი ურთიერთობი, სოციალური სამართლიანობა, ეკონომიკური კეთილდღეობა, დაქირავება, დაწინაურება, კომპენსაცია.

Linguistics

Lamzira Kobaidze,
Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia

Geminate vowel in the Mtiuluri Dialect (The example of Sakhudabeli and Orgora)

It is known, that the long vowels produced from joining of the sounds are characterized for the mountain dialect of the Eastern Georgia. The sounds can be produced by different ways: 1. By joining of similar sounds, 2. For restoration of the lost sound, 3. As a result of a stress, 4. By making them long deliberately. At this stage, it is worth to note the Mtiuluri dialect and the examples of the current changes in two villages of Samtskhe-Javakheti, Sakudabeli and Orgora. Despite the fact that there are few households in the village, the geminate (long) vowel is found in their speech changing the style of local population speech and makes the local speech different from the Mtiulian residents of other villages. Study of the issue from the mentioned perspective gives very interesting picture both for linguists and for other concerned parties by the issue. Our goal is to identify, or highlight the peculiarity which makes the speech of those two villages different from the speech of other villages.

Key words: Gemination, geminate vowel, long vowels, stress.

Maya Kukchishvili,
Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia

**Concept “Sun” in “the Vepkhistaosani” (“The Knight
in the Panther’s Skin”) and its Equivalent in Greek
Translation (Corpus linguistic Research)**

The poem “Vepkhistaosani” by Shota Rustaveli is the monument of the XII century maintaining its importance even in the XXI century.

The goal of the study is corpus linguistic and critical analysis of the Greek translation of the poem “Vepkhistaosani” by **Emmanuel Mitafidi**. The corpus linguistic analysis of the sun concepts is presented in the article, in particular, the concept sun, as an equivalent of astrological sign in the Greek translations of “Vepkhistaosani”.

Our goal is to study relevance of the Greek translation of the “Vepkhistaosani” to the original text. Accordingly, the concepts of Georgian original text were compared to the equivalents applied in the Greek translation.

The study and corpus linguistic analysis of the “Vepkhistaosani” original text and Greek translation is presented in the scientific community for the first time.

Both classic and modern methods are applied during corpus linguistic and critical analysis of the mentioned empirical material. Critical analysis of a text and comparative methods are used out of the classical methods and corpus

linguistic analysis method is applied from the modern ones, and phrasal alignment form was selected from the paralleling of the original text and Greek translation of the poem.

According to the corpus linguistic analysis the sun is mentioned for 319 times in the “Vepkhistkaosani”. It is one of the mostly-used words and together with the astrological meaning, it has an esthetic purpose.

The corpus linguistic analysis of the “Vepkhistkaosani” provided the statistical data, the frequency of use of the Sun on one hand, but also an interesting result of the comparison from the perspective of translation studies of the corpus analysis findings, in particular, analysis of the equivalents in the Greek translations.

According to the material observed, the diversity and frequency of the translation is the result of the subjunctive and objective principles and methods applied by a translator. Parallels and corpus linguistic analysis of the text enabled us to study and identify the applied equivalents.

Based on the study, the concept of the sun mostly denotes an astrological body. It is not only the artistic technique but also the concept for describing internal nature of the characters, symbolizing the light, brightness, brilliance and life.

It can be noted that the contextual part of the poem “Vepkhistkaosani” is more or less preserved in the Greek translation, but a translator also applies own interpretation, what is beyond the uniqueness of the poem and is more becoming a free translation.

Key words: Rustaveli, "the Vepkhistaosani", Greek translation, corpus linguistic research, solar concept, equivalents.

Mariam Balasanian-Gognadze,
Associate Professor,
Samtskhe-Javakheti State University,
Georgia

Khojabegi history etymology and phonetic problems

The dictionary of toponyms gives historical information about settlement of Armenian people on the base of local Armenian people's stories. It also indicates which province these Armenian people arrived from in each village. Most of the Armenians arrived from Erzurum and settled in the villages of Samtskhe-Javakheti.

